



ლიცეიურაფურული –  
სამოგადოებრივი ქურნალი

№ 3 // 2020

მთავარი რედაქტორი  
ამირან გომართელი

პასუხისმგებელი რედაქტორი  
თამარ გელითაშვილი

რედაქტორ-სტილისტი  
ქათევან მერკვილაძე

კომპიუტერული გრაფიკა  
და დიზაინი  
ქეთი გომართელი

სარედაქციო კოლეგია

ანდრო ბედუპაშვილი  
თავმჯდომარე

რონ აზუსელიძე  
გიორგი ალიაგაშვილი  
ივანე ამირხანაშვილი  
გალათერ არაგული  
პარლო გარდაველიძე  
ლაშა ბაძრაძე  
ნარა ბეგივი  
გიორგი ბერულავა  
ლევან ბრეგაძე  
გენრი ღოლიძე  
გურამ ღოჩანაშვილი  
ზეიად კვარაცხელია  
გაგა ნახუცრიშვილი  
გიორგი სოსიაშვილი  
მაია ტურაბელიძე

---

ქურნალი გამოდის  
საჭართველოს განათლების,  
მეცნიერების, კულტურისა და სპორტის  
სამინისტროს მხარდაჭერით

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ. №1

საკონტაქტო ტელეფონები: 599335133;  
599565644

ciskari1852@gmail.com

<https://www.facebook.com/ciskari1852>



# სარჩევი

პოვინა ანი ქავთარაძე ლექსები	3	გიორგი ხულორდვა მაგალითოდების „სპარსული პოეზიის შედევრები“	34
თამაზ ხარაიშვილი ლექსები	7	ბელი ქართლის ვახტანგ გურული ამაო მცდელობა (ტაო-კლარჯეთი და ლაზეთი 1944-1953 წლების საერთაშორისო ურთიერთობებში)	39
პოვინა ვანო ჩხიფაძე მოთხოვის ლექსები	10	ახალი თარგმანები ერნესტ ჰემინგუეი ბედნიერების ძიებაში მოთხოვის ინგლისურიდან თარგმნა მათა ბოლაშვილმა	53
პოვინა. ესეისტის ნინო დარბაისელი-სტრონი „დარჩი ოთახში“ (იოსებ ბროდსკის ერთი ლექსის ქვეტექსტი)	21	ახალი თარგმანები ერნესტ ჰემინგუეი ბედნიერების ძიებაში მოთხოვის ინგლისურიდან თარგმნა მათა ბოლაშვილმა	53
ქეთევან გახოვია ტომას ვულფის „შინ ველარასოდეს დაბრუნდები“	30	არტოვიტი იოსებ ჭუმბურიძე სად იმალება ფერწერის ღმერთი?! (ნათელა იანქოშვილის ახალი სიცოცხლე)	67

გარეანზე: ნათელა იანქოშვილი -  
ნინო ჭავჭავაძის პორტრეტი

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქტირაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ;  
გთხოვთ, მასალების ელვერსია გადმოგზავნოთ ვორდის ფაილით;  
უურნალის ყოველი ნომრის ელვერსია მომდევნო ნომრის გამოსვლისთანავე  
განთავსდება ჩვენს ფეისბუქგვერდზე: <https://www.facebook.com/ciskari1852>

## ანი ქავთარაძე



●  
შენ, ვინც დაგლალე უსასრულო გადამოწმებით,  
ვინც თვეებია, ვერ აძარებ ჩემთან გამოცდას,  
მე გულდახეულს გისტუმრებდი მუდამ ძილის წინ,  
ახლა გიყურებ და ვხვდები, რომ ჩემს გზას გამოსცდი.

მე, ვინც ბოლომდე ვერ მიგიღე ისე, როგორც ხარ,  
მე, ვინც ვერ დავთმე პოეტური არევ-დარევა  
ხასიათების, დამიჯერე, ისე ცუდად ვარ,  
ფინჯანი ყავის მიშველიდა ახლა დალევა.

ოდნავ მომწარო არომატი, ფიქრი ფანჯრებთან,  
თანაც წვიმაც თუ დაუშენდა, მეტი სიმძაფრე  
მიეცემოდა ჩემს ხასიათს, უნდა დავჯდე და  
ნაპატიები შეცდომები სულზე ვიკანრო.

თვალები ხშირად მიშავდება, იცი, ბოლო დროს...  
ერთხელ მესიზმრა, დაგტოვე და ხელებს გიქნევდი...  
დამშვიდობებას რომ მიჰვავდა, ეს მომაგონდა...  
არც არაფერი დაგვრჩებოდა, რომ არ გითმენდე.

მე, ვინც მომქავო ხასიათმა გადამიყოლა,  
შენ, ვინც დაგლალე უსასრულო გადამოწმებით,  
რომ ჩააბარო წარმატებით ყველა გამოცდა,  
ბოლოს მაინც ვერ შემომრჩები ისე გულწრფელი,  
მე რომ მინდოდა.



სუსტი ზამთარი, „გაზაფხულის ვალსი“, პიანო...  
რაღაც უთოვლო წელიწადებს პირი აენყოთ.  
ისე ვარ, თითქოს სადღაც დიდხანს დავიგვიანე,  
რაღაც დავკარგე, გამოვტოვე, ანდა საერთოდ

გამოვეთიშე წერასჩვეულ მსუბუქ განწყობებს,  
თუმც ხასიათებს ვერ შევიცვლი, ისევ ისა ვარ.  
მეკვიატება ხოლმე ხშირად ნაზი აკორდი,  
თუმცა მუსიკის სილრმემდე კი ველარ მივყავარ.

ჰო, კლავიშებზე ხეტიალი ხელებს ვერ ათბობს,  
ჭორები დადის, დაკარგულად ვითომ ვითვლები,  
თითქოს რაღაცა გამოვტოვე, რაღაც გამომრჩა,  
გაუუცხოვდნენ წერასაც კი ჩემი თითები.

რაღაც უთოვლო წელიწადებს პირი აენყოთ,  
სუსტი ზამთარი, „გაზაფხულის ვალსი“, პიანო,  
ერთს თუ გაბედავ, მთელი გულით რაღაც დაწერო,  
მერე ალარსად, ალარასდროს დააგვიანო.



კვალი, ნათითური სულზე,  
სითბო დამთამაშებს მხრებთან.  
ძველი წარმოსახვის სუნი,  
ძველი ფანტაზის ქექვა...  
შენი არ ნათქვამი – არა!  
შენი ვერ ნათქვამი – ვერა!  
გზები, ჩახერგილი არსად,  
გზები, მოგროვილი ერთად.

და თმას გამუდმებით ვიშლი  
და თმას ისე ალარ ვიკრავ...  
მთები, მწოლიარე ნისლში,  
მინდა, მთის გულში რომ ვიდგე.  
ყველა ვერ გაგება მესმის,  
ყველა სიმარტივეს გიგებ.

უცხოს არ გაუღო კარი,  
კარი გადაკეტე ხუთჯერ.  
ფიქრი, სათუთი და მკრთალი.  
თვალებს უშფოთველად ვხუჭავ.  
ფანჯრებს ეტმასნება ქარი  
და თუ ჩამეძინა, ჩუმად!

ზამთრის სიცივე და სითბო,  
დღეს თოვლს დავიწყება ჰქვია.  
საბანს იკეცავენ მთები,  
წყაროს იწურავენ, ქვიან  
გზებზე დაფენილი მტვერი,  
მტვერში ამოსული ია...

ძილი, უდროო და ნაზად.  
სითბო დამთამაშებს მხრებთან.  
გზები – აცდენილი – არსად.  
გზები – მოგროვილი ერთად.



თითქოს სიმშვიდედ გადავიქეცი,  
თითქოს სამყარო მდევნის მიწიდან,  
ბევრი ვეცადე, ვერ გავიქეცი,  
ვერც აქაური ყოფა ვიწამე...  
ახლა მაღლვებს ჩემი დუმილი,  
ნედან საუბარს თავი ვარიდე,  
გულში სევდაა და უთქმელობა,  
ამოუვსები სიცარიელე!  
ალბათ, ზამთარი მალე გამყინავს,  
ვიცი, ავად ვარ, ვიცი, სუსტი ვარ.  
ვერ შევუთავსდი ჩემს სხეულს – ბინას,  
ჩემი თავიდან თვითონ მივდივარ.  
ვერც აქაური ყოფა ვიწამე,  
ბევრი ვეცადე, ვერც გავიქეცი...  
თითქოს სამყარო მდევნის მიწიდან,  
თითქოს სიმშვიდედ გადავიქეცი...




ზამთრის ზარმაც დღეებს ძილი მორევიათ,  
წვიმით დაწინწკლული თოვლის ნარჩენები  
თვალის დახუჭვისას ქრება, როგორ გითხრა,  
ალბათ, მის ადგილას, მეტხანს დავრჩებოდი.

დღეებს სიზმრებივით ვურჩევ სათაურებს,  
თითქმის ერთნაირად ხდება ყველაფერი.  
ფანჯრებს მეტისმეტად ნაზად ვაჯახუნებ,  
სუნთქვას ვიკავებ და ისე ვენახვები

ხალხის მოთვალთვალე მზერას გამუდმებით.  
სუნთქვაშეკრული და თავაწეული ხომ  
უფრო ამაყი და მოჩანს გაბედული,  
რატომ ანდა ვისთვის, ალარ ჩამეკითხო.

ზანტი ზამთარი და დლენიც ასეთივე.  
მშრალი, უსურვილო მოწყენილობები  
ისევ დამჩემდა და შენ რომ თოვლი იყო,  
ერთხელ წამოფიფქვას ჩემთვის ისურვებდი.



## თამაზ ხარაიშვილი



### მსხვერიალშენირვა

დამტოვეს მარტო –  
ამ ნამიან ველზე დამაგდეს,  
აღარ ინებეს  
გაჭრა სამარხის.  
ახლა ქარს ვუცდი,  
ანაზდად რომ ჩამოიქროლებს,  
ვიცი, სამადლოდ  
შემოდგომის ფოთლებს დამაყრის.



ჟამი ჩუმად და სწრაფად გავიდა,  
თუმც ძველებურად არის მაცდური  
შენი თვალების საფერავი და  
ბაგეთა შენთა ალადასტური.

ვუფრთხილდები და ვესათუთები,  
რაც არ ჭკნება და, რაც არ ბერდება,  
თუმც წარმავალი არის ბუნებით  
და არასოდეს განმეორდება.

ღვინდება, რადგან უფრო ძველდება  
გრძნობის ხელადა პირთამდე სავსე  
და სიჯიუტით ბალახს ედრება,  
ბალახს, რომელიც ამოდის ქვაზე..

## შემოღვარება სოფლად

დაბნელდა, ღამე ისევ  
კედლების იქით დარჩა,  
ცეცხლსაც დაედო ფასი,  
ლივლივებს კვამლის ფარჩა.

ვერ მივაჩვიე ყური  
სოფლის დიაცთა პუტუნს,  
ბუხართან ვზივარ ჩემთვის,  
ჩიბუხში ვტენი თუთუნს.

თვალწინ გაირბენს უცეპ  
ცხოვრება – ჩემი კბილა.  
უნდა ველოდოთ ერთად  
ზამთრის უშორეს დილას.

### სევდიანი სატრიულო

შენ გამახსენე, რაც არ მახსოვდა  
ამაოების შხამით გალეშილს:  
შენ მაპოვნინე, რაიც დავკარგე  
თოვლის მბზინვარე სიმხურვალეში.

ისევ მომხსენი სუსტი მხრებიდან  
უნუგეშობის მძიმე მანტია:  
სადღაც წასვლა და არდაბრუნება  
ჩემი მუდმივი მისამართია.

ალარ ჩათვალო, თითქოს სიშორეს  
ადრინდელივით ისევ ავიტან,  
უნდა გიცქერდე ყოველნამიერ  
ჩემი ფიქრების სამალავიდან.

სული წვეთ-წვეთად ჩამოილვენთა,  
წუთისოფელიც ვლიდა ზოზინით  
და ყველა ცოდვა, ჩემიც და შენიც  
ყელზე მეკიდა ავგაროზივით.



გარდასულ დღეთა ბნელში  
მოგონებები ბზინავს...  
მიყვარდი ერთობ დიდხანს,  
თანაც დიდი ხნის წინათ.

ვეძებ ნაჩუქარ წიგნში  
ბზის გახუნებულ ფოთოლს.  
იქნებ ამ ზამთარს ჩვენთვის  
უკანასკნელად მოთოვს.

დრო უმოწყალოდ გარბის,  
თუმც, დრომ რა უნდა მიყოს?!  
ვიხსენებ როგორც ზღაპარს:  
„იყო და... არა იყო...“



სულ ვიღაც მიდის, სულ ვიღაც მიდის,  
მატარებლები ტოვებენ ვაგზალს.  
მე კი არ ვიცი, საით წავიდე,  
სულ ამირიეს ფიქრებმა თავგზა.

სულ ვიღაც მიდის, სულ ვიღაც მიდის,  
სევდამოსილი შორდები ბაქანს,  
კუს ნაბიჯებით მოგდევს წარსული,  
მოგონებების დაათრევ ბაკანს.

სულ ვიღაც მიდის, სულ ვიღაც მიდის,  
გამოთხოვების ზარებს რეკავენ.  
ლექსებით ავსებ სიცარიელეს  
განშორებიდან განშორებამდე.



## ვანო ჩხილვაძე

თავისითაო!..

დედაჩემმა მიამბო:

ახალფეხადგმული ვარ, როცა ბოლომდე ვერ გენდობიან, ხელს გიშვებენ  
და არც გიშვებენ.

მიმაყუდეს საწოლთან და აქეთ-იქი-  
დან მამხნევებენ:

„დადგა ბიჭი, ხე წაიქცა... დადგა  
ბიჭი... დადგა...“ – თან ჩემკენ აქვთ  
ხელები გამოწვდილი, რომ თუ გადავ-  
ქანდები, წამეშველონ.

როგორც იქნა, მოვცილდი საწოლს,  
გავტედე, გადავდგი პირველი ნაბიჯი  
და გაღიმებული მივბანცალებ ჩემები-  
საკენ.

უცებ ფეხი ფეხზე გამომედო და,  
ვიდრე მომეშველებოდნენ, სოხანეს და-  
ვეტყებე.

მომცვივდნენ, მაგრამ ყველანი ოლას  
მკაცრმა ხმამ შეაჩერა:

– თავი დაანებეთ, არ ააყენოთ, თა-  
ვისით წამოდგეს!

– რომ ტირის? – შეეპასუხა ცხრამე-  
ტიოდე წლის დედაჩემი.

– არა უშავს, დაწყნარდება, ბავშვი

ტირილში იზრდება! მთავარია, დიდო-  
ბაში არ იტიროს!

დედამთილს, თანაც ოლასნაირს, ვინ  
აუხირდებოდა?!?

მეც მეტი რა გზა მქონდა, ვიღნავ-  
ლე, ვიღნავლე და წამოვდექი, ცრემლი  
ხეირიანად არ შემშრობოდა, რომ ხელა-  
ხალი „რეისისთვის“, გაღიმებული ისევ  
„სტარტზე“ ვიდექი...

უცნაური დედაკაცი იყო, ცხონებუ-  
ლი.

ცხოვრებამ გაამკაცრა თუ ამნაირი  
დაიბადა, ვერ გეტყვით, ეგ კია, გამუდ-  
მებით ბედისწერას კრიჭაში ედგა, და  
არც ის უთმობდა, არც – ეს.

„თუკი წაქცეულ საფრანგეთს არ შე-  
უძლია სხვების დაუხმარებლად წამოდ-  
გეს, მაშინ თავისუფლების ღირსი არ  
ყოფილა,“ – მოგვიანებით წავიკითხე  
შარლ დე გოლის დასმული დიაგნოზი.

ოლაც ასევე, იქნებ უფრო მკაცრა-  
დაც – ხელი არ ახლოთ, თავისითაო...

სად ფლავისმანიდან კირბალში გა-  
მოთხოვილი მამისბედაანთ ქალი და

სად დიდ პოლიტიკაში გამოჯერილი, ფრანგული არისტოკრატიის წიაღში ამოზრდილი დე გოლი.

სამყაროს სწორედაც ერთნაირად მოფიქრალი, მოაზროვნე ადამიანების სიბრძნე და მზრუნველობა უნარჩუნებს წონასწორობას, ადუღაბებს, ქმნის, ხვენავს, აყალიბებს საერთო სამოქმედო პროგრამას თუ ფილოსოფიას და მნიშვნელობა არცა აქვს, ეს ადამიანები კლასობრივი იერარქიის რომელ საფეხურზე დგანან, დედამინის რომელ წერტილში იმყოფება დიდი ქვეყნის პრეზიდენტი და სამყაროსთვის შეუმჩნეველი, ერთი რიგითი, კირბალელი დედაკაცი, რომელიც მსოფლიო პოლიტიკის ამღვრეულ მდინარებაში აქტიურად ჩართული კი არ გყარნახობს თავის ნება-სურვილებს, არამედ, მუხლის-თავებზე დამდგარი, მწვანილის კვალში, ნაგერალა ხახვს მარგლავს, ნათესს ღიჭა ბალახის მარწუხებიდან ასუფთავებს, ათავისუფლებს ან ოფლით მოწეულ ჭირნახულის ოქროს ბზინვარებით პირმიდგმულ ცხრილს თავზემოთ ატრიალებს და ხორბალს ანიავებს

მთავარია სიცოცხლის შინაარსი, შენი ადგილი ამ მზისქვეშეთში და არა ბედნიერი შემთხვევის წყალობით დაკისრებული როლი და რეგალიები. დიდი მდინარები და მცირე ნაკადულები ბოლოს მაინც ერთ წერტილში ერთიანდებიან, საერთო, საკაცობრიო მიზანს ემსახურებიან.

და მაინც, დაილოცოს, ღმერთო, შენი სამართალი – სად ოლა და სად...

თავისითაო, – თქვეს და წამოვდექით მეც და საფრანგეთიც.

## გარიბლება

ბოლომდე გამოლებული ფანჯრის ორივე ფრთა.

შუშაბანდის მიღმა ოდნავ შემდვრეული მუქ-ლურჯი ცა და დამდეგი დღის ჩაფიქრება – ნეილონის თხელი ფარ-

დაც კი არ თრთის, თუმცა, ბინაში ორ-პირია – ჩემ წინ და ზურგსუკან ყველა კარი ღიაა.

არც ფოთოლი ტოკავს, არც ბალახის ღერი. მეზობელი სახლის სახურავზე, ახალგაღვიძებული კატა „შიფერის“ ღარებში, ჩვეული სიფრთხილით, რბილი ნაბიჯებით, რაღაცას ეპარება.

ირგვლივ სინყნარეა, თითქოს ბუნებამაც და ადამიანმაც ჩაისუნთქა ჰაერი და სული შეიგუბა, ჯადოსნურმა კვერთხმა გააქვავა, გაარინდა მიდამო.

დივანის სახელურზე ჩამოვარდნილი ფოთოლივით დევს ჩემი გამხდარი ხელის მტევანი და მგონია, ნიავმაც რომ დაუბეროს, ფანჯარაში გაფრიალდება.

ასეთი დილა ადრეც ვნახე, ოღონდ სულ სხვაგან და სხვა გარემოში.

საწერი მაგიდის გლუვ, ცარიელ ზედაპირზე მზის პირველი სხივი ყვითელი ქვირითივით გაიშალა. დაიკენკა ზედარეკლილი ჩემი გამკაცრებული, სათვალიანი პროფილი.

მაგიდას თეთრ, ქათქათა, მგრძნობიარე ფურცელს დავაფარებ და ფოტოგრაფივით დაველოდები, რა ამოიბეჭდება, რას „ამოიკითხავს“ მგრძნობიარე ქაღალდი ლიზზებში მომწყვდეულ, დაღლილ თვალებში და საფეთქლიდან საფეთქლამდე ჭიაყელებივით ასხმარტალებულ ნაოჭებში.

სახე თანდათან დაიბზარა, დატყდა და გაზაფხულზე გაყამირებულ მინის ბელტს დაემსგავსა, ფეხის სატერფულზე ღონიერი დაწოლით, ბარით რომ ამოაბრუნებდა ხოლმე მამაჩემი.

ამოაბრუნებდა და თითქოს დატალახებულ ქვევრს მოხადა თავიო, შვებით ამოიფშვენდა ძილდამფრთხალი მინის-ქვეშეთი, შეირხეოდა ამოსასვლელად გამზადებული, გაღივებული თესლი ყვავილისა და მარცვლისა, გაიზმორებოდნენ ჩახვეულ-ჩახუტებული, გაზანტებული ჭიაყელები, აფუთფუთდებოდნენ ბუდედანგრეული ჭიანჭველების ათასეულები, ჩამოიშლებოდა საიდუმ-

ლო ხვრელები, თაგვებისა და კუნაპეტივით შავი ხოჭოების სადგომები, მწვანილეულის გამჩანაგებელი ბოსტანას ხვრელები....

ბარისპირი კეპავდა, აქუცმაცებდა, ფშვნიდა, აფხვიერებდა გამკვრივებულ ურწყავის ნიადაგს, ჩემ თვალზინ ცხადებოდა ყველა საიდუმლო, ვითომცდა უწყინარი იდილია მიწისქვეშეთისა.

ნეტავი კიდევ რა ამოიბეჭდება ფურცელზე?

ვის გამახსენებს? ყველაზე ძვირფასს და მოსანატრებელს?

ალბათ:

„მე შენ ძალიან მიყვარხარ!“

„მე შენ ძალიან, ძალიან მიყვარხარ!“

„შენ დაგენამლე!“

„ჩემო პატარა, არა, დიდო სიცოცხლევ!..“

დედა ამ სიტყვებს ხმამაღლა კი არ გვეუბნებოდა, თავის დამოკიდებულებას მოქმედებით გამოხატავდა:

როდესაც შვილებს გვაცილებდა, ეზოს წინ მანამდე იდგა, ვიდრე თვალს არ მივეფარებოდით და რომ არ დაგვვიწყნოდა, შორიდანაც გვიმეორებდა, მავედრებელ ხმას დაგვადევნებდა, მალე ჩამოდითო...

გამოთხოვებისას, სულისა და გულის ნაწილს გვატანდა და, როდესაც ორივე გაუთავდა, ბოლომდე გასცა, შემოგვწირა, აღესრულა კიდეც.

იმ საალერსო, ძვირფას სიტყვებს კი, დედამ რომ გვასწავლა, მერე სხვა ქალებს ვეუბნებოდით, სხვებთან ვხარჯავდით, ვფანტავდით, მიუხედავად იმისა, ამის ღირსები იყვნენ თუ არა...

თავის სიყვარულს მოქმედებით გამოხატავდა – მეთქი. შინ დაბრუნებულს, ზამთრის ცივ დამეებში, თბილ ლოგინს დამახვედრებდა. მოლოდინით დალლილი, წინასწარ ჩაწვეპოდა, რათა გამთოშავი ყინვა თავისი სხეულით შეესრუტა, სანაცვლოდ კი ჩემი სამყოფი სითბო ჩაეტოვა...

კიდევ?

კიდევ როგორ ჩამოთვლი, ანდა რამდენს დაიტევს ერთი ფარატინა ფურცელი!

ხსოვნა ინახავს: შუალამისას წამომდგარი საბანს ამომიგებდა, ავი თვალი-საგან დასაცავად, თავის საშინაო ხალათს საწოლზე, ფეხებთან გადამაფენდა და თხელძირა ჩუსტებით, ფრთხილად წაბაჩუნდებოდა.

დამღალა, ძმაო, დამაბერა ამ ყველაფრის და კიდევ რამდენი რამის ხსოვნამ, გადაუხდელი ვალების ჯავრმა დამბზარა. მრავალ, ალალ სიკეთეს სიკეთით რომ ვერ ვუპასუხე, ამის სადარდელმა ლამის მომინელოს.

მაგიდაზე მზის სხივების ქვირითი გამქრალა.

მაფრთხილებდა ხოლმე, შენი მფარველი ღვთისმშობელიაო და აჲა, ფურცელზე, ჩემი სახის ნაცვლად, დედალვთისა ამობეჭდილა და მისი გამოხედვა ჩაფიქრებულ დედაჩემის მაგონებს.

## საულეყოფო



მწყობრიდან გამოსული, სარემონტოდ შემდგარი ხომალდივით გახიდულ რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარ კორპუსში, კიდევ უფრო მძაფრად იგრძნობა დედამინის ერთი მეექვსედიდან გაპანდურებული სსრკ.

გადაცვეთილი, პირდაპირ ბეტონზე გადაკრული ლინოლეუმი, თეთრად გადალებილი რკინის საწოლები, მოყანყალებული, სტანდარტული კარ-ფანჯარა, ღრიფოებში თავისუფლად რომ დაგელაობს საბურთალოს ქარი, გადასასხმელი სისტემის შტატივები, გადახუნებულ-გაცრეცილი ლეიბ-ადეალები, რომლებზეც, ვინ მოთვლის, რამდენ ავადმყოფს უკვნესია, კედლებზე გამოგლეჯილი დენის ჩამრთველები და სადენები, გარეთ, ფანჯრების გასწვრივ, მტვრიან სკვერში, ხეებზე ქანაობენ სართულებიდან გადმოყრილი

ცარიელი თუ ნაგვიანი პოლიეთილენის პარკები.

ტოტებზე თავი ჩამოუხრჩიათ პოლიეთილენის მილებით დაკონწიალებულ რინგერის კოლბებს, თვალს მოგტაცებს ტოტებზე გამოფენილი, ფანჯრებიდან ხელუულმა გადმოყრილი დალაქავებული ბინტები, ჭრილობის სახვევები, დაფარავებული წინდები, ნიფხავ-პერანგები და სხვა ათასნაირი სისაძაგლე – ნივთმტკიცებები ჩვენი უკულტურობისა, ძველიდან რომ მოგვდევს და სულაც არ გახლავთ თავისუფლების მონაპოვარი .

მეც ძველი ვარ, გასული საუკუნის ნარჩენი, ჩემთვის ნაცნობ, ნარსულში შეგუებულ გარემოში გამომწესებული.

მადლობა ღმერთს, რომ მოდის, მძალავრობს ახალი, რომელიც ასეთ თვითშემოქმედებას, პერფორმანსებს ველარ აიტანს, მაგრამ საინტერესოა, ნაბან წყალს ზნეობის, სასიცოცხლო ტრადიციების ჯებირებსაც ხომ არ გააყოლებს, რისი საშიშროებაც უკვე იგრძნობა და კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ ყველანაირი სიახლე ყოველთვის არ არის ძველზე უკეთესი – ხშირად მოძალებულ, დრომოქმულ ჭანგასთან ერთად ჯეჯილსაც სრესს, ასწორებს მიწასთან.

ამასთან საზიარებლად მხოლოდ შუბლთან მიტანილი ხელი და პიონერული პატაკი არ კმარა.

და კიდევ:

საავადმყოფოს ტყვეობაში კიდევ უფრო რწმუნდები, რომ ხორცი ადამიანის სულს ვერ გადაარჩენს, პირიქით სულმა უნდა იხსნას თავისი დროებითი „თავშესაფარი“ ლპობისაგან...



საავადმყოფოს ეზოში ჩავედი, ცოტა ვირბინე, მუხლი გავმართე.

ჩემ წინ ორი კაცი გულიანად მიესალმა ერთმანეთს.

გამიკვირდა (თან გამეხარდა), ნუ-

თუ ჩვენ გარეშემო კიდევ ვინმე ვინმეს ესალმება ალალად და ადმიანურად-მეთქი.

მერე ჩემმა გაკვირვებამ გამაკვირვა – ვიფიქრებდი, რომ ოდესმე ქართველი კაცისთვის უბრალო და სასიამოვნო „რიტუალის“ შესრულება გამაოცებდა?



გვერდით პალატაში მხატვარი ნუგზარ კალანდაძე წევს.

სანახავად ძველი, ცოტა მხიარული, ნაცნობი „ნატურშიცა“ მოუვიდა და სალმის მაგიერ მიახალა:

– ბიჭო, გავიგე კვდები და ბოლოს არ უნდა დამხატო?!



გივი ჩავაცილე. ჩემი წამლის მოსატანად წავიდა, მე კი პალატაში აღარ დავტრუნდი, საავადმყოფოს ფიჭვნარში გავიარე.

ირგვლივ სხვებიც დასეირნობდნენ.

ხეების მწკრივებს შორის, აპრილის ცხელი დღისათვის შეუფერებლად, ზედმეტად თბილად ჩაცმული ქალბატონი მოდის.

უცებ შემობრუნდა და შორიდანვე მომაძახა:

– ნერვიული ვარ მე... უკვე შვიდი თვეა, რაც ამ დღეში ვიმყოფები! – სახე წყნარი აქვს, მშვიდი, მხოლოდ წარბზემოთ შეუკრთება ხოლმე ხანდახან ძარღვი და მოკლედ შექრილ თმას გამხდარ თითებს სავარცხელივით გადააყოლებს.

მომიახლოვდა და წინ გამიჩერდა.

– ძალიან უღონოდ ვარ... შეიძლება, გარეგნულად არ მეტყობა, მაგრამ უკვე სამოცდაერთი წელი შემისრულდა... გესმით? ღმერთო ჩემო, სამოცდაერთო!.. ქალები არ უნდა ლაპარაკობედნენ ასაკზე, თუმცა მე ხომ რა ხანია, ქალი აღარ ვარ! – დამაკვირდა, – გული რატომ გადაგიშალეთ? თქვენ არ ბრძანდებით უბრალო ადამიანი, ჰო,

არა...

— ცუდია, ქალბატონო, თუკი უბრა-  
ლო არ ვარ.

— ვერ გამიგეთ, მე იმ უბრალოებაზე  
არ მოგახსენებთ... იცით, ხშირად ვფიქ-  
რობ თავის მოკვლაზე, უფრო სწორად,  
გამუდმებით, მაგრამ ძალა არ მყოფ-  
ნის... არადა, ასე ყოფნაც... ვბარბაცებ,  
სხეულს ვერ ვფლობ, ტვინი დაბურული  
მაქვს...

— ქრისტიანმა თვითმკვლელობაზე  
არ უნდა იფიქროს.

— ვიცი, მაგრამ არ შემიძლია.

— უნდა შეძლოთ!.. ეგ ისეთი ჭიაა,  
სულმი თუ შეუშვით, მერე...

— როგორი კეთილი თვალები გაქვთ,  
რაღაც აქამდე განუცდელი სიმშვი-  
დე ჩამელვარა, — უკან-უკან დაიხია, —  
რაკი თქვენ მეუბნებით, დაგიჯერებთ,  
ვეცდები, ამ ჭიას კისერი მოვუგრიხო!

— შებრუნდა, წიწვებზე ფეხაკრეფილი  
მიდის და ოთახის მსუბუქ ფეხსაცმელს  
მიაჩლატუნებს...

ჩემგან ხელმარცხნივ, კორპუსის სი-  
ახლოვეს, ორსართულიანი შენობაა.

რაღაც მაკავშირებს ამ შენობასთან,  
რაღაც... რაღაც...

ჰო, ჩემი სტუდენტობისას, რესპუბ-  
ლიკურში, მეგობარს ბებია გარდაეცვა-  
ლა.

ამ შენობაში, პროზექტურაში გად-  
მოიყვანეს და მერე სასწრაფო დახმა-  
რების მანქანით სოფელში წავასვენეთ.

გოგო, რომელმაც მიცვალებულს მი-  
ხედა, გაკვეთა, გააპატიოსნა, ჩემი მე-  
გობრის ნაცნობი გამოდგა და ისიც თან  
გამოგვყვა.

უკან როცა დავბრუნდით, ცოტა  
დავლიეთ და ჩემთან დარჩა, ნაქირავებ  
ბინაში.

ჰქონდა დიდი, ტლან-  
ქი ხელები და შემთვრალი  
ერთგვარი სიამოვნებითაც  
ჰყვებოდა, როგორ „ამუშა-  
ვებდა“ მიცვალებულებს.

როცა ვკითხე, ასე ნაზი  
და ქალური, ამ პროფესი-  
ამ რითი მოგხიბლა-მეთქი  
— რა ვქნა, ვიღაცამ ეგ საქ-  
მეც ხომ უნდა აკეთოსო...

გახსენებამ ცუდ ხასი-  
ათზე დამაყენა.

ქალი ისევ მოვიდა.

— ჩემი მეუღლე, სამ-  
ხედრო გამომგონებელი,  
ავიაციაში მსახურობდა.  
ჰერსონალური მანქანა  
ემსახურებოდა და დაც-  
ვა დაჰყვებოდა. ლენინ-  
გრადში ვცხოვრობდით...  
მოულოდნელად გარდაიც-  
ვალა... ოცდაცამეტი წე-  
ლიწადია მას შემდეგ გა-  
სული... ნამოვედი, ექვსი  
წლის ბიჭთან ერთად ჩამო-  
ვედი თბილისში და თავი-



დან დავიწყე ცხოვრება... ბიჭს დღემდე ცოლი არ შეურთავს და, ალბათ, ამ სა-დარდებელმაც მიმიყვანა აქამდე... ჰო, მთავარი დამავიწყდა – დავამთავრე კონსერვატორია, ფორტეპიანოს განხრით... ხელოვნების სახლში ვასნავლიდი, ოცდაშვიდი მოსწავლე მყავდა... ახლა, ამ დღეებში, ერთ ჩემს უნიჭიერეს მოსწავლეს კონცერტი ჰქონდა... იქაც კი ვერ წავედი – გონება მაქვს დაბინდული, წონასწორობას ვკარგავ და როგორ?.. თქვენ აქამდე რომ მცნობებოდით იქნებ თქვენთან ერთად გამებედა... არადა, ფორტეპიანო ჩემი სიცოცხლეა, მავიწყებს ჩემს პრობლემებს და დაღლილობას... არა, მაინც ეს თვითმკვლელობაზე ფიქრი...

– ხომ გთხოვთ, არც ახსენოთ ეგ სიტყვა, ამოიღეთ თქვენი ლექსიკონიდან.

– დიდი მადლობა... როგორი კეთილი გამოხედვა გაქვთ, – თვალებაფახულებულმა შუბლი მოისრისა, – თქვენს გარეშემო, ალბათ, სულ სიმშვიდეს თესავთ... ეს მხოლოდ ერთეულებს შეუძლიათ!.. აუჰ, მგონი წამოწინწკლა არა? წავალ, ლაბადას ჩავიცვამ.

შებრუნდა.

თითქმის მირბის, ისევ ფეხაკრეფილი, უკან მოუხედავად.

საავადმყოფოს კორპუსს დაბოლმილმა ავაყოლე თვალი – როგორც გაზის კამერაში, ისე არ მინდა პალატაში დაბრუნება, მაგრამ რა ვქნა, წამლების მიღების დრო მაქვს.

კიძეს მძიმედ ავუყევი.

ქალბატონმა, სახელიც რომ არ მიკითხავს, ერთი ჩემს სულშიც ჩაიხედოს და ნახავს, როგორი სიმშვიდის მთესველი ვარ.

აფორიაქებული განწყობილება შიგნიდან მანგრევს. – ასე იცის სიხარულის დეფიციტმა.

ახლა ეს წვეთოვანი!.. მელოდება ნემსის თავასავსავებული ასპიტი, ვენაში ჩაფრენილი, სისხლის მწოველი მო-

ძალადე... ვეღარ მშველის ექიმის, თემურ კოდუას იმედიანი ღიმილით ნათევამი, ცველაფერი კარგად მიდისო.

რომ მიდის, ვიცი მაგრამ, კარგად თუ ცუდად...

შევედი პალატაში. უკვე მელოდება ექთანი, რინგერი, ჰეპა-მერცი, ვიტამინების ნაკრები, ამპულები, ჯანდაბა და დოზანა.

არ ვიცი, რატომ, დაწოლამდე ფანჯრიდან გადავიხედე.

ქვემოთ ნაყარი, გადახრიოვებული და დანაგვიანებული მიწაა.

„რომ გადავხტე, ნეტავ მოთავდება ყველაფერი, თუ უფრო საწამებლად გამიხდება საქმე?“ – გავიფიქრე და უცხო ქალბატონმა ირონიული ღიმილით მომხედა.

ჩემი პალატა მეოთხე სართულზეა.

## საშუალებელი

### 1.

საზაფხულოდ დასასვენებლად, როგორც სჩვეოდათ, დედაქალაქელი ნათე-საობა ახლაც სამი მანქანით ჩამოვიდა. და-ძმებმა, თავანთი ნამატით (ლმერთმა ამრავლოთ!), შეალეს ჭიშკარი, შევიდნენ მწვანედ გადაბიბინებულ ეზოში და რას ხედავენ – სადღაა ორსართულიანი, აივნიანი ოდა-სახლი, მის ნაცვლად ქვით ნაგები, კარ-ფანჯარა დანახშირებული პირველი სართულის პალატები, მოხვეული კიბე და აყინჩული აგურის ბუხარი დახვდათ, დანარჩენი ყველაფერი დამწვარა, წინა ღამით გაჩენილ ცეცხლს ნაცარტუტად უქცევია.

აქა-იქ კიდევ ხრჩოლავს და ავარდება ხოლმე ნიავდაბერილი ნავლი.

ყოფილი ოდა-სახლის შორიახლო, დაბალ სკამზე ზის საშუალ ბიძია და დამწვარ სარჩო - საბადებელს კი არა, ნანახით შეცბუნებულ, რიგში დაწყობილ ხელბარგიან ახლობლებს უყურებს.

– რა მოხდა, საშურა ბიძია, არ იტყვი? – ქალების შეკივლებისა და მუხლების გამოთქვეფის შემდეგ, აღმოხდა „დელეგაციის“ წინ მომავალ ძმისშვილს.

– რომ გითხრათ, არაფერი - მეთქი, დამიჯერებთ?

– არა, მაინც, მაინც? – ჩაეკითხა ხელმეორედ.

– ვერ ხედავთ? დეინვა და დეიბუგა, ცოცხალმა, ნიფხავ-პერანგიანმა ძლივს გამოვასწარი! – ერთმანეთს გაჰკრა ხელისგულები და ოდისკენ შებრუნდა, – ა, ბატონო, თქვენი ჩამობრძანებით რომ გამახარებდით ხოლმე, აახმაურებდით ეზო-მიდამოს, კარზე დაუკაუნებლად შემოლაგდებოდით თქვენი ბარგი-ბარსანით, განანილდებოდით ოთახებში, მოკვეთა ის დრო! ზოგიც ახლა, საიდანაც გაგეხარდებათ და, როგორც გესი-ამოვნებათ, ეგრე შედით და გამოდით, ისიამოვნეთ აულაგებელი სადილ-ვახშამით, ოლონდ, ნამეტანი არ მოგივიდეთ, ცოტა გამოუკეთეთ, ბუხარში სახაჭაპურე კეცები არ დეინვას...

– ისევ ხუმრობ თუ გადახვედი ჭკუაზე?! – მუხლები ხელმეორედ გამოითქვითა უფროსმა დამ, – მაშ, რა დაგემართებოდა, შე საცოდაო!.. იცის დიდმა მწუხარებამ მასე... იცის...

– კარგი, ერთი, თუ ქალი ხარ, ნუ დამტირი! – დაუტია საშურამ, – მე მიკითხე, როგორა ვარ... რა, ის უფრო გაგეხარდებოდა, მე დავმწვარიყავი და ოდა გადარჩენილიყო?.. ყოჩალ, გამოიცანი, ჭკუაზე კი არ გადავედი, ვხუმრობ, რა თქმა უნდა! რო არ ვიხუმრო, ამ ყველაფერს ეშველება რამე?

– ე, მასე, ჩემო ძმაო, რა არ ხდება, ამაზე უარესიც და გულს ჯავრი არ გააკარო!

– ეგრე ვიზამ, ეგრე, ხანჯალი რო დევიკრა, გულს წვეთი სისხლი არ გამოუვა და ჯავრს რაფერ გავაკარებ!..

ირგვლივ ნაცრად ქცეული, გალაკული ლამფა-ჭერის და, იატავის წებოს მწარე სუნი იდგა.

ბუხრის ყრონტიდან ნამწვი ხრჩოლავდა, ოდა სახლის ნარჩენი ცხვირ-წაგრძელებული, აბოლებული ორ-თქლმავლის დინგს ჰგავდა, ვაგონებდა-ბომბილი ლიანდაგზე ინერციითლა რომ მიგორავდა.

## 2.

მამაჩემი რომ დაიჭირეს (შეცდომით), ჩემი ქალაქელი თუ გურიიდან ჩამოსული ნათესაობა – ბიძაშვილები, იმათი შვილები, რძლები, სიძეები, ყოველ დილით მოდიოდნენ ჩვენთან, შემოუსხდებოდნენ სამზარეულოში ვეებერთელა კაცლის სასადილო მაგიდას (დიდი, დარბაზივით სამზარეულო გვერდა), მსჯელობდნენ, დაობდნენ, მამას გამოსახსნელად გამოსავალს ეძებდნენ, კი-ოდნენ, წიოდნენ, ისეთ ამბავში იყვნენ, მეორედ მოსვლა გეგონებოდა.

მერე გაშლილების სუფრას (იმხელა ენერგიას ხარჯავდნენ, შივდებოდათ, რა თქმა უნდა), ცოტას დალევდნენ, იმ-სჯელებდნენ, დაალაგებდნენ სამომავ-ლოდ ადვოკატებთან და სასამართლოს მოხელე-ჩიქვანებთან სამოქმედო-საურთიერთობო გეგმას და დაიშლებოდნენ.

დაგვამშვიდებდა საშურა ბიძია, ნუ გეშინიათ, ზოგიერთებს რომ უნდათ და ჰგონიათ, მართლა ჩალით კი არ არის ქვეყანა დახურული, სამართალი თავის გზას იპოვნისო.

მეორე დალესაც იგივე მეორდებოდა, ისევ შეიკრიბებოდნენ, თითქმის „იგივე-ნი“ და იგივე სცენარით ვითარდებოდა მოვლენები, სკამებიც კი არ აეროდათ, იცოდნენ, ვინ სად უნდა დამჯდარიყო. გააგრძელებდნენ გამოსავალი გზების ძიებას... კვლავ კამათი, წივილ-კივილ-ში გადასული დავა, ემოციები და ტრა-დიციული დასასრული, ლვინითა და სა-დილ-ვახშმით – დათიკოს გაუმარჯოს, დათიკოს, უდანაშაულოა და კაცს რომ შეეშალოს, ლმერთი მაინც არ გასწირავსო...

მოკლედ, ვინმეს რომ მოესმინა, რაც ჩვენს სამზარეულოში ხდებოდა (არ იცი გურულების ამბავი?) იფიქრებდა, თანამოაზრები კი არ არიან, სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებულები ჭამენ ერთმანეთსო.

რატომ გიყვები, ახლა, ამას:

უკვე რამდენი წელი იყო, ორი იადონი გვყავდა, დედალ-მამალი.

წყნარები, მშვიდები, ერთმანეთის მოსიყვარულები. ისხდნენ ხარიხაზე, უფრო ხშირად გვერდიგვერდ მიჭუჭკულები, ერთი თუ უსტვენდა, მეორეც აჟყვებოდა, გვატყბობდნენ თავიათი ხმებით...

მამაჩემთან დაკავშირებულმა, ხმაურიანმა „დებატებმა“ შეცვალა მათი ზნე-ჩვეულება, გაფაციცებულები თვალს ადევნებდნენ მაგიდის ირგვლივ დატრიალებულ ვნებათა ღელვას და სამზარეულოს კედელზე დაკიდებულ გალიაში იშვიათადლა გალობდნენ.

მერე კი, თანდათან, გურულების „ეგზეცუციის“ რამდენიმედღიანი კოშმარის შემდეგ, მაგიდასთან თუ ადამიანები ბდლვინავდნენ, კამათობდნენ, მუშტებს ურაბუნებდნენ, ესენი გალიაში გიუდებოდნენ, ხარიხიდან ხარიხაზე დახტოდნენ, ერთმანეთს წინკნიდნენ, ბუმბულს აცლიდნენ, გალიის კედლებს აწყდებოდნენ.

მოკლედ, ჩვენ – მაგიდასთან და იადონებს გალიაში, გაგვქონდა და გამოგვქონდა.

ერთხელაც, სამზარეულოში შესულებს, იქაურობა დუმილით შეგვხვდა, იადონები ჭყიპინით აღარ შეფრთხილდნენ გალიაში, მაგრამ მაგიდასთან მიმსხდებმა ისე დაატრიალეს ძევლი „პლასტინკა“, არც გახსენებიათ ჩიტები.

მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგ, „წუთშესვენების“ დროს იკითხა საშუალიამ, იადონების ხმა რომ აღარ ისმის, გაფრინდნენ თუ გაიყვანეთ აქედან.

ყველამ ერთად გალიას ავხედეთ –

ხარიხაზე ჩიტები აღარ ჩანდნენ.

ვიფიქრე, ალბათ, გალია ლია დაგვრჩა და გამოფრინდნენ-მეთქი, მაგრამ კარი ჩაკეტილი რომ დავინახე, გულმარების მიყო – სკამი მივიდგი, გალიაში ჩავიხედე და, ვაი შენს დამაწყევარს – დაკორტნილ - დაბდლვნილი იადონები, უსულოდ, ძირს არ ყრიან?

– ხედავთ, რა ქენით, თქვე უღმერთოები, ვერავინ მოიფიქრეთ, აქაურობისთვის დროულად მოგეცილებინათ? ნიკოლოზის ხელისუფლებამ ვერაფერი მოუხერხა აბობიქრებულ, აბდალ გურულებს და ეს გულნამცეცა ჩიტები გოუძლებდნენ? – ჩაიქნია ხელი ბიძია საშუალ და სამზარეულოდან გავიდა.

იმდღევანდელმა შეკრებამ მის გარეშე ჩაიარა.

## დილის სტუმარი

ნახევრად შეღებული ფანჯრიდან ლაპარაკის ხმა ჩამესმის.

ვფხიზლდები – ეზოში მამაჩემი და ვიღაც საუბრობენ.

– ჰოოდა, იმას ვამბობდი, შენაო, აი, შენაო, განა არ ვიცი, რაც ზემოდან, ორი იმოდენა ქვემოდანა ხაარო, მაგრამ კარგად დაიხსომე, არც მე ვარ შეზე ნაკლები, თავზე ხელი არ ამაღლებინო, თორემ დედას გიტირებო... უფრო მწარედაც უთხრა, მაგრამ პირს ხომ არ ავიმყრალებ... მოკლედ, მიაყენა, ატრუჭა კედელთან და მაგრად დაუთოხმახა, მომფხანა გული...

– იმან, რაო... – სიტყვა ჩაურთო მამაჩემმა.

– არც არაფერი, ჩაუკვდა ხელებში, არ იცი რა დედაიმასქნილია?..

ასანთის გაკვრის ხმაზე ვხვდები, უცნობი სიგარეტს უკიდებს, ღრმა ნაფაზს გულის ჯავრს ამოაყოლებს და დილის კრიალა ჰაერში ფანტავს.

მერე ისევ თავიდან იწყებს, სიტყვებს იღეჭება, ადგილზე მინას ტკეპნის, ერთსა და იმავეს იმეორებს.

არ უყვარს მამაჩემს ასეთი მიღებ-მოდებით ლაპარაკი, ვიცი, ზრდილო-ბის გამო უსმენს, შეგადაშიგ მონო-ლოგს შეაწყვეტინებს, ყასიდად შემოი-პატიჟებს, პური გავტეხოთ, შინ შემო-დიო.

სტუმარი უარობს, უთენია ოჯახს როგორ შევანუხებო, მაგრამ არც მი-დის, არც შემოდის.

მართალი არ იყო, რო დაუთოხმა-ხა?.. დაუთოხმახებდა, მაშ, რას იზამ-და, ამოუყვანა ყელშიო, რაღაცნაირად მოსწონს ეს სიტყვა, ყოველ წარმოთ-ქმაზე ჯიგარს ამოაყოლებს ხოლმე...

ახალფოთოლგამოჩიტულ გაზაფხუ-ლის ხეივანზე მერცხლები ჭყიპინით თავს იკლავენ, მაგრამ ყურს ვინ უგ-დებს.

ვინ გვითარგმნის მათი უღურტულის შინაარსს, თორემ ხომ შეიძლება, ესე-ნიც ერთმანეთს „უთოხმახებდნენ?“.

## 18. ადამიანი

ლმერთო, რამდენი რამეა მოსასწრე-ბი!

სიტყვაძუნნია ენციკლოპედია.

რა მოხდა რიო დე ჟანეიროს ცაში 1962...

ორი თარიღი და რამდენიმე წინა-დადება – დაიბადა, იღვანა, ალესრუ-ლა... ავარიულად ოკეანეზე დაშვებულ თვითმფრინავში, თავისი ერთადერთი გადარჩენის შანსი, სხვას დაუთმო.

სად არის ახლა ის ბავშვი, ახსოვს კი, ვინ და რატომ გაწირა თავი მისი სიცოცხლის გადასარჩენად? ვისი მოდ-გმისა და სისხლის კაცი იყო, ვინ გა-ზარდა, ასეთი რა სული შთაბერეს, რომ უყოფანოდ... ადვილია ნებით სიცოც-ხლის დათმობა? ასეთი რამ განა რამ-დენი ახსოვს კაცობრიობის ისტორიას?

აბა, სხვამაც სცადოს!

ანდა სად ჰქონდა ყოყმანისა და გან-სჯის დრო, როგორც ექიმს, ექსტრემა-

ლურ სიტუაციაში, ყველაზე მთავარი უნდა დაედო ტრაგედიის საპირნონედ.

რამდენი იშრომა, რამდენ ცხოვრე-ბისეულ გამოცდას გაუძლო, ვიდრე თა-ვის კუთვნილ გოლგოთაზე ავიდოდა.

ადამიანი... რაც დრო გადის, რო-გორ ღრმად ეფლობა, იკეტება აუღე-ბელ ცხრაკლიტულებში, მაღავს, ჩქმა-ლავს თავისთავს, ივიწყებს იმ უმთავ-რესს, რისთვისაც მოავლინა გამჩენმა – მძიმე, დამთრგუნველი კაბინეტები, აუდიენციები, პირმოთნეობა, გაჭერი-ლი ჰალსტუხები – ყრონტიდან ჭიპამდე დაშვებული თანამდებობრივი ვერტიკა-ლი, ზედ რომ მღილივით აცოცდა, მა-ღალი დონის შეხვედრები, ტექნიკური რევოლუციების ქარიშხალი, უნდობ-ლობა, მედროვის სიძულვილი, რომელ-საც ცეცხლფარეშივით სულ უფრო და უფრო აღვივებს მისი საბრალო სული... ადამიანი... შეიძლება, მილიონებს ჯო-ჯოხეთის კარი გაუღოს იმ თითის ერ-თი აქნევით, ბავშვობისას, მაღულად, მურაბას რომ ამოტლეკავდა ანდა ნამ-ცხვარზე მოსხმულ კრემს წაატაკებდა ხოლმე.

აი, ამ უწყინარ „უმუხრუჭო“ თითს შეუძლია, სამყაროს ბედიც კი შეცვა-ლოს!

არა სასიკეთოდ, რა თქმა უნდა.

სიკეთეზე ვიღა ფიქრობს, ის სად-ლაც, მიუგნებელ, მიუვალ რეინა-ბეტო-ნის ჯურლმულში საბოლოო განაჩენს ელოდება...

სამწუხაროდ, გვიან ვხვდებით, რა ცოტა სჭირდება, რომ ეს „ყოვლისშემ-ძლე“ გულათროთოლებულ უმწეობად იქცეს.

ადამიანი...

მახსოვს, კასრში ჩაკიდულმა რეზი-ნის მილმა დაიწუნუნა და ბოლო წვეთი ჩამოვარდა.

– ადრე თუ გვიან ყველა ჭურჭელი იცლება, – თქვა მამაჩემმა.

წლების შემდეგ, მომაკვდავს რომ დავყურებდი, რატომდაც ის დღე გა-

მახსენდა და გავიფიქრე, ადამიანიც ჭურჭელია და სულისაგან თანდათან იცლება-მეთქი.

იქნებ მამამაც მაშინ ადამიანი იგულისხმა და არ მითხრა.

**ალბათ!**

აბა, სხვაგვარად რა მნიშვნელობა ჰქონდა ამის თქმას, სიმძიმის ცენტრი სხვაგან იყო საძიებელი – ყოფნა-არყოფნის რთული და მარტივი ფილო-სოფიის დასმულ კითხვას ღვინის სულ ერთმა წვეტმა გასცა პასუხი.

თავის გაჩორენილ ტახტზე დაიცალა მამაჩემი, უხმაუროდ, გაგრძელებული ამოფვენით, დაჩუტული, სიგამხდრით და სიბერით შევარდნილი ყებიდან რომ ამოიფრქვა და თვალის ჩაღრმავებული ფოსოები ეგრევე დარჩა, როგორც ქვაბის ძირზე მიმწვარი ბურღულის ნახარშის ქერქი.

რა იყითხებოდა მის სახეზე, რა განწყობა ჰქონდა ამ ჯოჯოხეთიდან იმ ჯოჯოხეთის განსაწმენდელში მიმავალს, მე დამიტოვა ბილინგვასავით ამოსახსნელად. ოღონდ ეგ კია, ბავშვობაში მშობლების სიკვდილზე ფიქრიც რომ მზარავდა, ახლა რალაცნაირი შვებაც კი ვიგრძენი, დაისვენა-მეთქი.

**სიცოცხლისაგან დაისვენა!**

ჩვილობის შემდეგ, პირველად და უკანასკნელად, სხვები აცმევდნენ – ვიდრე სულთან გაყრილი მისი სხეული ჯერ კიდევ ელასტიური, წნელივით მოქნილი და „დამჯერი“ იყო.

„ზალის“ კარის ზღურბლთან მდგომი, ჩარჩოს მიყრდნობილი, ვუყურებდი ხალიჩაგადაფარებულ ტახტზე დასვენებულ უფლის მოზელილ თიხას, ყალიბში ჩამჯდარი ალიზივით ჯერ რომ არ გაეუხეშებინა, გამოეშრო, გაემყარებინა სიკვდილს, როგორ ემორჩილებოდა ყველას, ვისაც კი მოესურვებოდა, მონაწილეობა მიეღო მის „გაპატიოსნებაში“.

გახადეს ძველები, შემოსეს „ზიზიებით“, მოდური პიჯაკით და აცქვეტი-

ლი ყურებივით ჭვინტაპრეხილი, ახალი ფეხსაცმლით, რომელიც სამარეში ისე შემოადნებოდა ფეხზე, ერთხელაც ვერ დააბიჯებდა მიწას, იმ მიწას, მთელი სიცოცხლე ხან რომ ეფერებოდა და ხანაც ებრძოდა ბარით და თოხით...

ასაკი, რამდენიც არ უნდა იცოცხლო, კაცად ვერ გაქცევს.

**კაცად უნდა დაიბადო!**

ადამიანს სულ ენატრება, რომ დაისვენოს.

ამანაც დაისვენა – თავისი ბედნიერების ხარჯზე არ აუმღვრევია სხვათა ცხოვრება, კაცად მოვიდა და კაცად წავიდა.

მორჩა, ახლა სხვებმა იტეხონ თავი – დააწყვილა ორი თარილი – დაბადებისა და გარდაცვალებისა... სხვებმა, სხვებმა გააგრძელონ, ვინც გაუცნობიერებლად გაიმეორებს მის უესტიკულაციას, ხმის ტონალობას, ხასიათს... ყველაფერი უკლებლივ გადმოინაცვლებს შთამომავლებში, გაიყოფა, განაწილდება, როგორც მემკვიდრეობა, მაგნიტივით ყველა თავის წილს მიიზიდავს.

დაიცალა ჭურჭელი, ამოიქარა როგორც თავახდილი სპირტი, სუნამო, ან... გააჩნია, ვის სულში რა იხარშება, ვის რა ერგო, გადმოეცა თავისი ჯილაგისა და წინამორბედებისაგან.

## თამაღა

– ეტყობა, თქვენ ამ კაცს არ იცნობთ... სუფრასთან გვერდიგვერდ ჩვენც პირველად მოვხვდით და, მაჩუქეთ თქვენი სახელი, თუ შეიძლება?.. დიახ, მარტო სოფელში კი არა, მთელ ჩვენს ახლომახლოში, გამოვთვალე, თქვენ ხართ ჩემი ბატონი და, მარტო ქორწილის ასოციატები სუფრა აქვს ნათამადები... არა, ქელეხების და ისეთი, შედარებით პატარ-პატარა სუფრები კიდევ სხვაა... იმას ვინ მოთვლის... დღესაც, სირბილაძეების ოჯახში, ნიშნობის თამადა უნდა ყოფილიყო, მაგ-

რამ ესენი ვერ დაალატა... თქვენი სახელი?.. ბოდიში, ჩემო ბატონო, მგონი უკვე გკითხეთ!.. ჭირის სუფრასაც, რო არ შემრცხვეს და ტყუილი არ გამომივიდეს, ასს კაიხანია გადააჭარბა, ჩემი ანგარიშით... არა, მაინც რა ხდება შენს თავს, ადამიანო, აქ რომ დაილაპარაკებ და წამში დედამიწის მეორე მხარეს გააგონებ, ვიღაც მხართებოზე წამოგორებულ ყაზილარს და ისიც ცქვიტად გამოგეპასუხება, თითქოს გვერდით გედგას!.. კარგია, შენ ნუ მომიკვდები, ეს ყველაფერი, მაგრამ თან მეშინია, რა ძალა და ჯადოა ყურთან მიტანილ კოლოფში, ვერ გაიგებ, ღვთის წყრომაა თუ ეშმაკის წყალობა!.. კარგია, მაგრამ მეშინია-მეთქი, გითხარით!.. რა დამემართა, ისევ დაამავინყდა თქვენი სახელი... გამაგებინეთ, სადამდე წავა ეს ყველაფერი... შენი სოფლის სათიბში დაძახილი სად გაძვრა-გამოძვრა, რა ღრუბლებ-ნისლები, მთები, მწვერვალები და ვაკეები, ზღვები და მდინარეები, რამდენი ქვეყნის ცა გადასერა, ალმისავლეთიდან გინდა თუ დასავლეთიდან... ჰო, ახლა დასავლეთია მოდაში... გაძვრა ხმა ნემსის ყუნწში და... რაზე ვლაპარაკობდი და სად მოვედი... ხომ უყურებ, რაც არის, ტანი

აქვს გამორჩეული თუ მხარ-ბეჭი, ცარიელი ულვაშებია, მაგრამ სადღეგრძელებს დენის „პროვოდივით“ ხუთასკაციან სუფრას რომ გოუჭიმავს, გაოცდები და საკვირველს გადახვალ... ხანიანიც კი არაა, აგერ, ენკენისთვის ხუთში შესრულდა ორმოცდაცამეტის... კი, კი, უსუფროდ როგორ ჩაატარებდა, თვითონ ითამადა, რა თქმა უნდა... შევთვერი და ისევ უნდა გკითხო სახელი... ჰო, ორმოცდაცამეტი შეუსრულდა-მეთქი და დავიანგარიშოთ, გამოვიყვანოთ საშუალო არითმეტიკული – წინ გადამიშალა თითების კალკულატორი, – საშუალოდ, წელიწადში, რამდენი თამადობა უწევს... რა თქმა უნდა, ეგეც გამოთვლილი მაქვს... მიკვირს, მიკვირს და ლამის ვერ დავიჯერო, ამდენის შემძლე თუა ადამიანი...

მეც მინდა ჩემი გაკვირვება გამოვთქვა, მაგრამ ამის გაკვირვებასთან მაინც ახლოს ვერ მოვალ და ვჩუმდები, მხოლოდ ერთ რამეზე მწყდება გული, თამადის ჩატარებული სუფრების სტატისტიკის უამთაღმწერელმა, ჩემი სახელი როგორ ვერ დაიმახსოვრა.

თუმცა, ჩემი სახელის დახსომებაში, რა ხეირი უნდა ნახოს – თამადობა ისე ვიცი, როგორც ამან ჩემი სახელი.

## ნინო დარბაისელი



### იოსებ ბროდსკი – „დარჩი ოთახში“

(მესივი ნინო დათუკიშვილს)

ნინო, მოგესალმები,  
ხვალ დილით, ათის-ნახევარზე, ამე-  
რიკული დროით, თბილისურად კი სა-  
ლამოს შვიდის ნახევარზე, შენი წყალო-  
ბით, ქართველ რადიომსმენელს ბროდ-  
სკიზე უნდა ვესაუბრო, სულ რაღაც  
ათი წუთით, ჩემთვის ეს ისეთი ცოტაა,  
ისეთი ცოტა, თითქმის ამისმავარი –  
„მოგესალმებით, მე ვარ ნინო დარბა-  
ისელი-სტრონი; მე ბროდსკი მიყვარს,  
მჯერა – თქვენც ასევე. მომავალ შეხ-  
ვედრამდე!“ არადა, ჩვენ ხომ იმ თაო-  
ბას ვეკუთვნით, ვისაც მასზე საუპარ-  
ში, ჩურჩულში, სალამოები გაგვიტარე-  
ბია, ხელიდან ხელში გადაგვიცია მისი  
ლექსები, რომლებიც ხელნაწერებით  
ვრცელდებოდა მხოლოდ „განდობილ-  
თა“ შორის... პრინციპში, რაღაცის მო-  
ხერხება შეიძლება, თუ მართლა მარტო  
იმ ლექსზე ვისაუბრებ, რომელიც ბო-  
ლო დროს ძალზე პოპულარულია რუ-  
სეთშიც, ამერიკაშიც და, უთუოდ ამის  
გამო, ჩემმა თარგმანმაც, რომელიც

ადრე, ალბათ, შეუმჩნევლად ჩაივლიდა,  
ინტერნეტში დიდი პოპულარობა მოი-  
პოვა და მიხარია, რომ ეს თარგმანი –  
„დარჩი ოთახში“ – შენც მოგწონებია.  
შენს გემოვნებას კი, როგორც იტყვი-  
ან, შემიძლია, თვალდახუჭული ვენდო.  
ისე კი, ამთავითვე მაინც უნდა ვთქვათ,  
რომ ეს ლექსი თავად ბროდსკის არ მი-  
აჩნდა თავის მნიშვნელოვან ქმნილე-  
ბად. 1970 წლით დათარიღებული კია,  
მაგრამ, მგონი, თითქმის ოცი წელი  
წიგნშიც არსად შეუტანია. ფრთხილი  
ეჭვიც კი მინდა გაგიზიარო, რომ გაცი-  
ლებით გვიანდელი უნდა იყოს, ოლონდ  
ეგ თარიღი უზის. ასე ხომ არცთუ იშ-  
ვიათად მოქცეულან სხვა პოეტებიც.  
ისეთი დისტანციიდან ჩანს დანახული  
ლექსში ასახული სიტუაცია, ისეთი სა-  
ხასიათო პლასტები გამოსჭვივის მასში,  
რომ რემინისცენციის შთაბეჭდილებას  
უფრო ტოვებს, თუმცა ეს ტექსტოლო-  
გებმა არკვიონ!

აქ დაგიდებ ჩემს თარგმანს ორიგი-  
ნალთან ერთად:

### იოსებ ბროდსკი



დარჩი ოთახში, არ მოტყუცდე,  
რა გინდა გარეთ.  
მზეს რას დაეძებ, თუ აბოლებ  
„შიპკა“ – სიგარეტს.  
კარს იქით ყოფა უაზროა,  
შვების თარეში,  
სულ წამით გადი, თუ დაგჭირდა  
საპირფარეშო.

დარჩი ოთახში, ნუ იძახებ,  
შეეშვი მოტორს,  
სივრცე მოიცავს მრიცხველამდე  
ამ ერთ კორიდორს.  
და შენმა ფურმა თუ მთქნარებით  
თავი შემოყო,  
ისე გააგდე, ტანზე გახდაც კი  
არ დაუწყო.

დარჩი ოთახში, თითქოს ქარმა  
ჭვალი შეგასო,  
რა არის ქვეყნად სკამ-კედელზე  
საინტერესო.  
რად გინდა გასვლა, ღამით მაინც  
აქ დაბრუნდები.  
ისევ ისეთი, ტანჯვით უფრო  
განამრუდები.

დარჩი ოთახში. ბოსანოვას  
ცეკვა გიშველის.  
პალტოს ქვეშ ტიტველს, ფეხიც  
გქონდეს სულმთლად შიშველი.  
წინკარში საცხის და კომბოსტოს  
მძიმე სუნია.  
იმდენი წერე, ერთი ასოც  
მეტობს სრულიად.

დარჩი ოთახში. დე, ოთახმა იცოდეს  
მარტო,  
რას ჰგავხარ ახლა. საერთოდაც,  
ეს ინკოგნიტო

ერგო სუმია. სუბსტანცია გულს  
რაღად ერჩის.  
დარჩი ოთახში. ჩაი გარეთ –  
სვან საფრანგეთში.

ნუ ისულელებ. რაც ხარ, დარჩი.  
სხვა ფუჭად შთება.  
დარჩი ოთახში, ანუ ავეჯს  
მიეცი შვება.  
შებარიკადდი კარადის უკან,  
შპალერს ზედ მიესუსე,  
დაუსხლტი ქრონოსს, კოსმოსს,  
ეროსს, რასას, ვირუსებს!

(თარგმანი ნინო დარბაისელი-  
სტრონისა)

Иосиф Бродский



Не выходи из комнаты, не  
совершай ошибку...

-----

Не выходи из комнаты, не  
совершай ошибку.  
Зачем тебе Солнце, если ты  
куришь Шипку?  
За дверью бессмысленно всё,  
особенно – возглас счастья.  
Только в уборную – и сразу же  
возвращайся.

О, не выходи из комнаты, не  
вызывай мотора.  
Потому что пространство сделано  
из коридора  
и кончается счётчиком. А если  
войдёт живая  
милка, пасть разевая, выгони  
не раздевая.

Не выходи из комнаты; считай,  
что тебя продуло.  
Что интересней на свете стены  
и стула?  
Зачем выходить оттуда, куда

вернёшься вечером  
таким же, каким ты был, тем  
более – изувеченным?

О, не выходи из комнаты. Танцуй,  
поймав, боссанову  
в пальто на голое тело, в туфлях  
на босу ногу.  
В прихожей пахнет капустой и  
мазью лыжной.  
Ты написал много букв; ещё  
одна будет лишней.

Не выходи из комнаты. О, пускай  
только комната  
догадывается, как ты выглядишь.  
И вообще инкогнито  
эрго сум, как заметила форме  
в сердцах субстанция.  
Не выходи из комнаты! На улице,  
чай, не Франция.

Не будь дураком! Будь тем,  
чем другие не были.  
Не выходи из комнаты! То есть  
дай волю мебели,  
слейся лицом с обоями. Запрись  
и забаррикадируйся  
шкафом от хроноса, космоса, эроса,  
расы, вируса.



არ მეძინება. ეტყობა, ვღელავ და  
კლავიატურაზე კაკუნით მინდა, გავიყ-  
ვანო დრო დილამდე.

საოცრად ნელა კი გადის. იქნებ  
უკეთესიცაა. წერა-წერაში უფრო ჩა-  
მოვყალიბდები სახვალიოდ. თუნდაც  
ამ ერთ ლექსზე იმდენია სათქმელი,  
იმდენი ამოუხსნელი მომენტია მასში...  
შეიძლება ითქვას, რომ მისი ათასნაი-  
რი ანალიზი არსებობს გამოქვეყნების  
დღიდან. არც ისე დიდი ხნის წინათ რუ-  
სეთში „ძლიერი ტექსტების“ პროექტის  
ფარგლებში მისი საჯარო განხილვაც  
კი იყო. დევს მასალები ინტერნეტში,

თუ ვინმე სერიოზული ლიტმცოდნისა  
თუ პოეტის სახელი გსმენია, თითქმის  
ყველა მონანილეობდა მასში. ცხადია,  
ამ მასალებს გულდასმით გავეცნობო-  
დი, ვიდრე სათარგმნელად ხელს მოვ-  
კიდებდი. განა ყველა მთარგმნელი ასე  
არ მოიქცეოდა?

საკუთარი ლექსის ანალიზი არაერ-  
თხელ დამინერია, სხვისიც – მრავალ-  
ჯერ, მაგრამ ახლა ვატყობ, რაღაც  
იქითკენ მიმირბის ფიქრი, რომ რამე  
ასეთი დავწერო – ბროდსკის ლექსის  
ანალიზი ჩემი თარგმანითურთ, ანუ სა-  
უბრისას, ბროდსკის ლექსის პარალე-  
ლურად, შესაბამისი მომენტის ჩემეული  
თარგმანიც დავდო... ცოტა არ იყოს,  
შემძინდა ახლა: როგორც მთარგმნე-  
ლი, პარაკირს ხომ არ ვიტარებ? თუმ-  
ცა რა უჭირს, ბროდსკიზე მე კი არა,  
ჩემზე დიდად აღმატებულმა არაერთმა  
ქართველმა მთარგმნელმა წაიტეხა კი-  
სერი, თუმცა კარგი თარგმანებიც არ-  
სებობს, ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა  
და ვიღაც აუცილებლად გამომრჩე-  
ბოდა. ვიდრე შემეკითხებოდე, თავად  
გეტყვი, რომ ყველაზე მეტად ბროდ-  
სკის ბათუ დანელიასეული თარგმანები  
მიმაჩნია ღირებულად. ალბათ, ყველა  
დამეთანხმება, ვინც ამ სფეროში ჩახე-  
დულია.

ვწერ და ვატყობ, რაღაც ჩართვა-  
ამორთვები მაქვს. ხან შენ გესაუბრები,  
ხან – საკუთარ თავს. გუშინ, გადაცე-  
მის გეგმაზე შენთან საუბრისას, გამახ-  
სენდა, როგორ გვქონდა ბროდსკიზე  
ფიქრის დროს ერთმანეთში არეული  
მითი და სინამდვილე და მხოლოდ მრა-  
ვალი წლის წინ, როცა ხელი მიმიწვდა  
მისი შემოქმედებისა და ცხოვრების რე-  
ალურ ტექსტებზე, რაღაც გულგატეხი-  
ლობასავით დამეუფლა, რომ ამდენი  
მითი მომიკვდა. გახსოვს? – გაგონილი  
გვქონდა, რომ ერთ ღამეს ბროდსკი  
ჩუმად ჩამოვიდა საქართველოში და  
ოთარ ჭილაძეთან მივიდა; ასევე, რომ  
მისი შეყვარებული ჩვენთან, თბილისში,

გერმანულ სკოლაში რუსულს ასწავლიდა, რომ ემიგრაციაში წაყვანა უნდოდა და არ გაატანეს. ვგულისხმობ პოეტ დალი ცაავას, რომელთანაც ბროდსკის წრფელი მეგობრობა აკავშირებდა და რომლის მოგონებებიც გვიან გამოქვეყნდა იმის შესახებ, როგორ მსჯელობდნენ ერთად გალაკტიონის „მერის“ ბელა ახმადულინასეულ თარგმანზე, იმაზე, როგორ ცდილობდა ბროდსკი, ეთარგმნა „ცამეტი წლის ხარ და შენი ტყვევა“ და როგორ აღიარა, რომ მთელი ლამე გაათენა და პროგრესს ვერ მიაღწია პირველი სტრიქონის მერე.

რაღაცით ერთმანეთს მაგონებს ამ ორი პოეტის ყრმობის თავგადასავალი. ბროდსკიც გალაკტიონივით ცუდი მოწაფე იყო სკოლაში, გალაკტიონივით ისიც კლასში ჩარჩა და ის სასწავლებელი მიატოვა. მასაც უნდოდა, კარგი განათლება მიეღო. სულ დამოუკიდებლად მეცადინეობდა, ინგლისური და პოლონური ლამის დამოუკიდებლად ისწავლა, თავისუფალ მსმენელადაც დადიოდა საინტერესო ლექციებზე... საბოლოოდ ნობელიანტმა და არაერთი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორმა სამშობლოში რვა კლასის ატესტატიც კი ვერ აიღო. მერე ჩვენ რომ ლამის სკოლას ვეძახდით, იქ გადავიდა. იარა-იარა და, როგორც წერენ, ატესტატამდე ვერ მივიდა. გალაკტიონს კიდევ მოსეკვები გაგანია რევოლუციის დროს ჰქონდა გავლილი ორთვიანი სარეფისორო კურსები და საბუთების შევსებისას ზოგჯერ „პროფესია – რეფისორი“, – წერდა.

ცხადია, გული დამწყდებოდა, რომ გავიგებდი, გალაკტიონის თარგმნა სცადა ბროდსკიმ და არ გამოუვიდაო, მაგრამ იცი, რა? ახლა უცნაურ რაღაცას გეტვი, რუსული თარგმანები გალაკტიონს, ასე თუ ისე, არ აკლდა, ინგლისური თარგმანების სიმნივე კი ხელს უშლიდა ფართო ასპარეზზე გასვლაში. მოხდა ასეთი რამ: გია ჯოხაძე

ბროდსკიზე მუშაობისას, დაუკავშირდა თავისთვის უცნობ, სინამდვილეში კი ცნობილ ამერიკელ პოეტს, დრამატურგსა და მთარგმნელს – ლინ კოფინს – ადრე ამერიკაში ახლადჩამოსული ბროდსკის მდივან-ასისტენტს, რომელსაც მანამდე საქართველოს არსებობა, მგონი, არც კი გაეგონა. გიამ ისე გააცნო და შეაყვარა ქართული ლიტერატურა, რომ ლინმა არა მხოლოდ გალაკტიონი, არამედ რუსთაველი, ბარათაშვილი და უამრავი სხვა პოეტი და პროზაიკოსი თარგმნა და თარგმნის.

სხვათა შორის, ლინს, რომელიც ქართულსაც ეუფლება, აქ, ამერიკაში გამოცემულ აქვს წიგნი „იოსებ ბროდსკი – იოსებ ბროდსკია“. მგონი, ამ წიგნის ფრაგმენტები ქართულადაც ითარგმნა.

ეჭ, ლობე-ყორეს მივედ-მოვედები ახლა მე, კონკრეტულად კი ერთ ლექსზე მსურდა მელაპარაკა. ამიტომ, მოდი, პირდაპირ საქმეზე გადავალ. ლექსი, შენც იცი, დიდი არაა, დიდ აზრთა სხვადასხვაობას კი იწვევს.

იმაზეც კი არ არიან მკვლევარები საბოლოოდ შეთანხმებული, თუ ვინაა ადრესატი, ვის მიმართავს ავტორი მრავალგზისი, იმპერატიული დაუინებით – „ოთახში დარჩიო“. ზოგი აზრის თანახმად, აქ ზოგადად საბჭოელი ადამიანი იგულისხმება, ადამიანი, რომელიც ჩაკეტილ სივრცეშია მოქცეული და არავითარი სხვა გამოსავალი არა აქვს. მეც გავიზიარებდი ამ თვალსაზრისს, რომ არა ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. იმპერატიული, ბრძანებითი კილოთი გაჯერებულ ამ ტექსტში აშკარად ჩანს, რომ მიმართვის ობიექტს არჩევანის საშუალება აქვს, მას შეუძლია, არა მხოლოდ კომუნალური ბინის კორიდორში გავიდეს, არამედ ტაქსიც კი გამოიძახოს, კარს მომდგარი ქალიც – მილკაც შეუშვას ან არ შეუშვას თავის ოთახში. ეს მაფიქრებინებს, რომ ავტორი არა ვინმე სხვას, არამედ საკუთარ თავს უნდა მიმართავდეს.

უანრობრივად მკვლევართა ერთ ნაწილს ლექსი სატირულად მიაჩნია. თუ ჩემი პოზიცია მართებულია, მაშინ ტექსტი წმინდა სატირაში ვეღარ ჯდება და თვითირონიული გამოდის... თუმცა, რატომ? – გარემო, ანტურაჟი, ერთადერთი რეალური ადამიანი „მილკა“ მაინც სატირულად გამოსახული გამოდის. „მილკა“ უარგონია, დიდშუბულებიან ქალს გულისხმობს, ჯიქნებიანი, მეწველი ძროხის, „მილკას“ მიმსგავსებით; დაახლოებით ისეა, ჩვენში რომ იციან „ფაქიზოს“ თქმა საყვარლად ზანტ, ძროხასავით არსებაზე.

რუსეთში ამ ლექსის შესახებ გამართული დისკუსიის დროს, სხვათა შორის, ერთმა გამომსვლელა თქვა: საინტერესოა, ვინმემ მისი თარგმნა რომ მოინდომოს, რას უზამს ამდენ გაუკვეველ მომენტს ლექსში, სიტყვა-სიტყვით რომ თარგმნოს, ხომ უაზრობა გამოუვაო. მე კი, როგორც კადნიერ არსებას, მეჩვენება, რომ რაღაცები ჩემი დისტანციიდან უკეთაც კი ჩანს (კაცმა რომ თქვას, ამის ილუზია მაინც თუ არა გაქვს, რამეს სათარგმელად ხელს რომ ჰქიდებ, რაღად უნდა გაისარჯო!).

დროსა და სივრცის პრობლემებზე მსჯელობს და ამბობს, რომ სამი სივრცეა წარმოდენილი:

ოთახი – საერთოდერეფნიანი „კომუნალკა“ და გარეთ.

მე აქ, ფინალიდან, კოსმოსურ სივრცესაც დავამატებდი და ასევე – მიკროკოსმოსსაც, რომელიც ლექსის ფინალში ექსპლიცირებულია სიტყვით – „ვირუსი“. ასე არა სამი, არამედ ხუთი პარამეტრით წარმოდგენილი, ყოვლისმომცველი სივრცე გამოდის, მათ თვალსაზრისში კი ჩემს ყურადღებას უფრო „კომუნალკა“ – საბჭოთა ყოფის მახასიათებელი გარემო იქცევს.

არ ვიცი, ამ ტიპის ბინები ან რუსეთში, ან საქართველოში კიდევ თუაშემორჩენილი და, შესაბამისად, თანამედროვე პოსტსაბჭოელი ან თუნდაც

ამერიკელი მკითხველის წარმოსახვა აქ რამდენად მუშაობს, მე კი, მიუხედავად იმისა, რომ ტექსტში სიტყვა „კომუნალკა“ ნახსენები არაა, მიმაჩნა, რომ კომუნალკა//კომუნიზმი – ამგვარი ბეგერნერული და კონტექსტური ბმა შორს არ უნდა იყოს ავტორისეული ჩანაფიქრიდან, ანუ ოთახი – შიდა, პრივატული, თუმცა კეთილმოუწყობელი სივრცეა, მის გარეთა – საერთო-საზიარო სივრცე კი მრიცხველამდე მანძილ-სა და საერთო საჭირო ოთახს მოიცავს.

გაგახსენებ, ჩვენ „კომუნალკას“, ბავშვები ვართო, – ამბობს ერთგან ბროდსკი და, როდესაც ჩვენი მშობლები სიყვარულს ეძლეოდნენ, ჩვენ თავს ვიმძინარებდითო“.

წარმომიდგენია, რა ბედნიერი იყო ბროდსკი, როცა მისმა ოთხსულიანმა ოჯახმა 1955-ში „კომუნალკაში“ მიიღო ოთახ-ნახევრიანი ბინა, თანაც სად! იქ, სადაც, რევოლუციამდე, ზინაიდა გიპიუსი ცხოვრობდა. იმ დროს იგი უკვე წერდა და სულ ცოტა ხანში პირველად გამოაქვეყნებდა ლექსებს და მტკიცედ გადაწყვეტდა კიდეც პოეტობას... აი, ნახე, „გადაწყვეტდა“, როგორც თვითონ წერს და არა ისე, ჩვენში რომ გვარნმუნებენ, პოეტად უნდა დაიბადოო. ცხადია, პოეტად იყო დაბადებული, მაგრამ საქმე ისაა, პოეტად დაბადებული – პოეტად გაიზარდო. ეს ყოველთვის ისეთ დიდ შრომასთანაა დაკავშირებული, როგორიც ბროდსკიმ იტვირთა. დავწერე ეს სიტყვები და მე თვითონვე მნარედ გამეღიმა. იგი თხუთმეტი წლიდან ფიზიკურად და გონებრივად, მართლაც, დღე და ღამე შრომობდა და, როცა დაიჭირეს და ციმბირში, არხანგელსკში გადაასახლეს, თან იძულებითი შრომა მიუსაჯეს, სასჯელის მიზეზად განაჩენში 1964 წელს, არც მეტი, არც ნაკლები, მუქთახორობა, ანუ პარაზიტობა ჩაუწერეს. არსებობდა ასეთი მუხლი საბჭოთა კანონმდებლობაში. ოთხი თვის

უმუშევრობის გამო ციხეში უშვებდნენ ადამიანებს საძაგელი კომუნისტები. არადა, ოფიციალურ, შტატიან ლიტერატურულ სამსახურში პოეტს იმავე მიზეზით არ ღებულობდნენ, რა მიზეზითაც დაიჭირეს კიდეც სინამდვილეში – ეს მისი პოლიტიკური არასანდობა იყო.

სიტყვა გამიგრძელდა ლექსგარე ამბებზე, ახლა ლექსს მივყვები და, შევეცდები, ჩემი ინტერპრეტაციები გაგიზიარო, მანამდე კი გეტყვი, რომ, ჩემი ხედვით, ეს არის „კომუნალკა“/კომუნიზმისგან თავის დაღწევის მცდელობა, გარე თუ არა, შინა ემიგრაციის გზით მაინც, მისგან გამიჯვნა.

პარადოქსული იცი, მაინც რა არის? – საბჭოთა კავშირიდან გასაღწევად, პოეტი ადრული ასაკიდან რას არ აკეთებდა. თვითმფრინავის გატაცებაც კი ჰქონდა დაგეგმილი, მეგობრებთან ერთად, და ბოლო მომენტში შეეშინდათ და გადაიფიქრეს. იმ ამბიდან თორმეტი წლის მერე კი ჯერ მოქალაქეობა გაუუქმეს, მერე, ერთ თვეში, ძალით ჩასვეს თვითმფრინავში და ვენაში გააფრინეს. იმის საშუალებაც არ ჰქონდა, რომ ბარგი წესიერად ჩაელაგებინა, მეგობარი ქალისა და შვილის წაყვანის ცდაც ჩაეშალა, არადა თავიდან საბჭოთა უშიშროება თითქოს თანახმაც იყო, თუმცა რა, ეს ხომ იგივე საიდუმლო სამსახური იყო, მანამდე, ხუთი წლის წინ უფლება რომ არ მისცა, ახალშობილი ბიჭი, ანდრეი, სამშობიაროდან თავისი გვარით გამოეყვანა.

წარმოსახვები მომექალა, ერთსაც ვიტყვი და ლექსზე გადავალ.

ვენაში, აეროპორტში, თვითმფრინავიდან მოსაცდელში რომ გავიდა, დამხვედრმა მეგობარმა ჰქითხა, რა გეგმები გაქვსო და მხრები აიჩეჩა, წარმოდგენა არა მაქვსო...

კმარა!

●  
ლექსის დასაწყისი ორი სტრიქონი ასეთია:

Не выходи из комнаты, не совершай ошибку.  
Зачем тебе Солнце, если ты куришь Шипку?

მე ასე ვთარგმნე:

დარჩი ოთახში, არ მოტყუკედე,  
რა გინდა გარეთ.  
მზეს რას დაეძებ, თუ აბოლებ  
„შიპკა“-სიგარეტს.

მართალი გითხრა, „შიპკა“ რომ სიგარეტი იყო, საიდანლაც კი მახსოვდა და მზესთან მისი დაპირისპირება გავიგე, როგორც ირონია, თუმცა მოლიპულივით ფრთხილად მიყვარს სათარგმნ გზაზე სიარული და, ჩემდა საბედნიეროდ, სხვაგვარი გაგებისთვის შანსი დამიტოვებია. საქმე ისაა, რომ, როგორც გვიან გავარკვეუ, აქ ლაპარაკია არა მზისა და სიგარეტის დაპირისპირებაზე, არამედ ორი ბულგარული წარმოების თუთუნზე „სოლნცესა“ და „შიპკაზე“. პირველი – უფრო დაბალი ხარისხისა ყოფილა და ძირთადად გაჭირებულები, ჯარისკაცები და სტუდენტები ეწეოდნენ, მეორე, რომელსაც „ძმათა სასაფლაოსაც“ უწოდებდნენ, ალბათ, იმიტომ, რომ ბლენდი უამრავი უცნობი და უსახელო მინარევისგან შედგებოდა, შედარებით ძვირიანი და იმ დროისთვის ახალი გამოსული იყო შედარებით, თორებ ისიც კარგი ნაგავი ყოფილა, ოდნავ ძვირიანი.

აი, ამას ეწეოდა მაშინ – დღეში ორ კოლოფს. ცამეტი წლიდან რომ დაუწყია პოეტს სიგარეტის წევა, ხუთი სტენოკარდიული შეტევისა და გულის ღია ოპერაციის მიუხედავად, ბოლომდე თავი არ დაუნებებია. ნუ, ახლა, ამერიკაში რომ უკეთესი ხარისხისას მოწევდა,

რად უნდა ლაპარაკი.

ყველაფერი, რაც ამას მოსდევს ტექსტში, ჩვენ ოთახგარეთა, კომუნისტურ გარემოს დავუკავშიროთ და, ჩემი აზრით, ამ ძალიან საინტერესო მომენტზე დავფიქრდეთ: ბროდსკიმ რომ, თავისი ეპრაელობის მიუხედავად, ბრწყინვა-ლედ იცოდა რუსული, ეს საყოველ-თაოდ ცნობილი ფაქტია. ხომ გახსოვს მისი სიტყვები – ენა კი არაა პოეტის ინსტრუმენტი, თვითონ პოეტია ინსტრუმენტი ენის ხელშიო. ამ ლექსში თითქოს ორი აშკარად, ენობრივად მოუწესრიგებელი მომენტია. ვნახოთ პირველი:

О, не выходи из комнаты. Танцуй,  
поймав, боссанову  
в пальто на голое тело, в туфлях  
на босу ногу.

ჩემი თარგმანი:

დარჩი ოთახში. ბოსანოვას ცეკვა  
გიშველის.  
პალტოს ქვეშ ტიტველს ფეხიც  
გქონდეს სულმთლად შიშველი.

ერთი ინტერპრეტაციის თანახმად, რაკი ბოსანოვა ბრაზილიური ცეკვაა, აქ ავტორს საზღვარგარეთის, როგორც თავისუფალი სივრცის თემა აქვს გაღრმავებული, თავში ხომ სოციალისტური საზღვარგარეთის – ბულგარეთის მოტივი შემოიტანა „შიბკა“-სიგარეტის გზით. იქნებ არც უამისობაა, მაგრამ ჩემი ინტერპრეტაცია ამ ხაზს ძნელად ერგება.

მე ვაზრებ ბინარულ ოპოზიციას:

გარეთ (საერთო დერეფნიდან დაწყებული, ქუჩიან-ყველაფრიანად და შიგნით – ოთახი).

რა რჩება პოეტს შიგნით, მას შემდეგ, როცა მიღკაც არ შემოუშვა და, პრაქტიკულად, გააგდო?

რა ახასიათებს შინა სამყაროს? –

წარმოსახვა. ვინაა ის წარმოსახული პარტნიორი, რომელთანაც ცეკვავს ლექსის გმირი?

ვის მოსავს შიშველ ტანზე პალტო, ვინ არის ფეხშიშველი?

რატომ არის ეს წინადადება ასე ბუნდოვანი?

რა წარმოისახოს აქ მკითხველმა – მარტობაში, მუსიკის ფონზე გალადებული, ტიტველ ტანზე ქალურად ჩაცმული თუ საკუთარ წარმოსახვასთან რეალობაში მარტო მოცეკვავე პოეტი?

იქნებ ეს სულაც წარმოსახული ცეკვაა საკუთარ წყვილისცალთან?

თუ ასეა, ვინაა იგი?

„ბასანოვა“ წყვილის ცეკვაა.

რატომ „პაიმავ ბასანოვუ“? – ცეკვის დროს შეიძლება, დაიჭირო პარტნიორი, მაგრამ „ცეკვის დაჭერა“ ხომ აბსურდული სინტაგმაა?

ამაზე დაეჭვებამ მიმიყვანა აზრამდე, რომელსაც ახლა გაგიზიარებ.

ბროდსკი რომ ლექსის რიტმიკას იმთავითვე დიდ ყურადღებას უთმობდა და ბგერობრივ კავშირებს სემანტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდა, ეს ცნობილია. ხომ არ არის ამ სახის გასაღები სწორედ ტექსტსმიღმიერი ბგერნერული ბმის შედეგი?

აქ ისევ ბიოგრაფია მოვიშველიოთ. ბროდსკი სწორედ ისეთი კაცი იყო, რუსები „ადნალიუბს“ რომ უწოდებენ. ქალები მართლა მუდამ თავს ეხვია და ძალიან აგდებულადაც ექცეოდა. პირდაპირ ეუბნებოდა, მაგალითად, ამ ერთხელ მინდიხარო. მთელი ცხოვრება თითქო სურდა, მთელ საქალეოზე ამოეყარა ჯავრი იმის გამო, რომ ახალგაზრდობისას მისმა ერთადერთმა სიყვარულმა, მუზამ, მოგვიანებით მისი ერთადერთი ვაჟის დედამ, საჯაროდ, თანაც არაერთხელ უდალატა და თანაც ვისთან? – სწორედ იმ უახლოეს მეგობართან, ვისაც ჩააბარა საპატრიონოდ, როცა „კაგებეს“ ემალებოდა. ხომ გახსოვს ამ მუზის სახელი? – მხატ-

ვარი მარიანა ბასმანოვა. სტრიქონის ბოლოს, სარითმო სიტყვად გატანილი სიტყვა, ბრაზილიური ცეკვა-დუეტის სახელი „ბასმანოვა“ სწორედ „ბასმანოვასთანაა“ ბგერობრივ ბმაში. ახლა ჩასვი ბასმანოვა ბასანოვას ადგილზე და ახლიდან წაიკითხე ზემოთა ორი სტრიქონი. ვფიქრობ, დამეთანხმები, რომ ყველაფერი ლაგდება – ორიგინალშიც და შესაბამისად – თარგმანშიც.

ეს ამბავი გადავაგორეთ, მაგრამ ახლა მოდის, რაც მოდის:

Не выходи из комнаты. О, пускай  
только комната  
догадывается, как ты выглядишь. И  
вообще инкогнито  
эрго сум, как заметила форме в  
сердцах субстанция.  
Не выходи из комнаты! На улице,  
чай, не Франция.

დარჩი ოთახში. დე, ოთახმა იცოდეს  
მარტო,  
რას ჰგავხარ ახლა. საერთოდაც, ეს  
ინკოგნიტო  
ერგო სუმია. სუბსტანცია გულს  
რაღად ერჩის.  
დარჩი ოთახში. ჩაი გარეთ სვან  
საფრანგეთში.

ჯერ ბოლო სტრიქონი მოვილიოთ, მარტივად ვთქვათ, რომ აქ უკვე უცხოეთის მესამე ქვეყანა შემოდის, საფრანგეთი – ბულგარეთისა და ბრაზილიის შემდგომ. მე აქ ირონია უფრო მესმის.

„ეს ინკოგნიტო ერგო სუმია“ – ძნელი გამოსაცნობი არაა, რომ აქ არის პაროდია დეკარტის ცნობილი გამონათქვამისა – „ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ“, მაგრამ ინკოგნიტოს ჩასმით ვღებულობთ ენობრივად არასწორ, თუმცა მაინც ინტერპრეტირებად გამონათქვამს: „უცნობი ვარ, ანუ ვარსებობ“, ანუ, თუ გინდა იარსებო, უცნობად უნდა დარჩე. ამაოდ შეეცდება

ვინმე, ამას მოდევნებული აბსურდული წინადადება სუბსტანციის შესახებ – რაციონალზაციას დაუქვემდებაროს. როგორც ჩანს, ავტორის ჩანაფიქრით, იგი ან უნდა მიიღო, როგორც აბსურდი ან, როგორც სიმარტოვეში, საკუთარ არსებაში ჩავლებული მომენტი, გონებაში ჯერაც ჩამოუყალიბებელი იდეის ვერბალიზებისა.

ბიოგრაფები აღნიშნავენ, რომ ახალგაზრდა ბროდსკის უყვარდა სიტყვა „სუბსტანციის“ ხშირი გამოყენება და ყოველთვის პიროვნების შინაგან ბუნებაზე საუბრისას მოიხმობდა, თუმცა, რას გულსხმობდა მასში, ბოლომდე დაუდგენელია. ეს მაფიქრებინებს, რომ, შესაძლოა, აქ თვითპაროდირებას მიმართავდეს.

აი, ფინალამდც მივედით!  
слейся лицом с обоями. Запрись  
и забаррикадируйся  
шкафом от хроноса, космоса, эроса,  
расы, вируса.

ნუ ისულელებ. რაც ხარ, დარჩი.  
სხვა ფუჭად შვრება.  
დარჩი ოთახში, ანუ ავეჯს  
მიეცი შვება.  
შებარიკადდი კარადის უკან,  
შპალერს  
ზედ მიესუსე,  
დაუსხლტი კრონოსს, კოსმოსს,  
ეროსს, რასას, ვირუსებს!

რაღა დაგიმალო და ამ, ნამდვილ ვერსიას ხმამაღლა კარგად ვერ ვკითხულობ.

„შებარიკადდი“ – ეს სიტყვა ქართულში არ არსებობს. მე შევქმენი, ორიგინალის ადეკვატი რომ გამომსვლოდა. თარგმანში ბროდსკის ხმა ასე უფრო ისმის, მაგრამ ქართულად, თანლექსის ბოლოში მკითხველსთვის, ცოტა არ იყოს, ძნელი შესაგუებელია, ამიტომ გავკადნიერდი და ვიდეჩანანერში ადაპტირებული ვერსია წარმოვთქვი.

არც ზედ მიესუსეა – „ჩვეულებრივი“ ქართული, მაგრამ, ჩემი ფიქრით, პოეზია იტანს ასეთ რამეებს.

სუსი – აქ ჩემთვის, მთარგმელის-თვის, ისე უღერს, როგორც საბჭოთა უშიშროების, „კაგებეს“ ქართული აბრევიატურა. ლექსის ბოლო ფრაზა დღემდე აზრთა არანაკლები სხვადასხვაობის მიზეზია: „დაუსხლტი კრონსს, კოსმოსს, ეროსს, რასას, ვირუსებსა!“

რა აკავშირებს ამ ჩამონათვალ სიტყვებს, გარდა ნომინატივისმიერ „სან“ ბგერაზე დასრულებისა? ქრონისი – პირველმერთი – დრო, კოსმოსი – წესრიგი, ეროსი – ეროტიკული - სიყვარულის ღმერთი, რასა – ის საბაბი, რის გამოც დიქტატორები ებრძოდნენ ებრაელებს, ვირუსი – მიკრო, უმცირესი, თვალით უხილავი, მაგრამ მრავალთა მომწამლავი რამ, თვალით უხილავი საწამლავი.

ჩემი ფიქრით, ეს არის მთელი მაკრო და მიკროსმოსი, რომელიც პიროვნების შინაგან თავისუფლებას გარედან, ძალმომრეობითად უპირსპირდება და, თუმცა ლექსი ამით სრულდება, ფიზიკური ტექსტიდან გასულ მკითხველს

აუცილებლად ეუფლება გამოუვალობის ტრაგიული თუ არა, სევდიანი განცდა მაინც იმის გამო, რომ, როგორც ჩვენი დიდი პოეტი იტყოდა: „საშველი არ არის!“



შენი მამამთილი და ჩემი დიდი მასწავლებელი, ბატონი აკაკი განერელია აქ, ბოლოში აუცილებლად შემნიშნავდა, რომ არაფერს ვამბობ სალექსო ფორმაზე, რიტმიკაზე, ევფონიაზე, რითმათა კონფიგურაციაზე და სავსებით მართალიც იქნებოდა, მაგრამ ეს ყველაფერი ცალკე, სერიოზული კვლევის თემაა, მე კი მღელვარე ლამის გასაყვანად გწერ ამ ვრცელ წერილს.

ამასობაში ჩემთან, ამერიკაში, ირიჟ-რაჟა კიდეც, რაც იმას ნიშნავს, რომ თქვენთან, საქართველოში ბინდდება. კიდევ ორიოდე საათი და დიქტორი გამოაცხადებს რაღაც ამგვარს – დღეს იოსებ ბროდსკის დაბადებიდან ოთხმოცი წელი შესრულდა. ამერიკიდან გვერთვება პოეტი ნინო დარბაისელი-სტრონი, რომელიც ისაუბრებს იოსებ ბროდსკის ლექსზე „დარჩი ოთახში!“

მგონი, მზად ვარ!



## ქეთევან გახოვია

### ტომას ვულფის „შინ ველარასოდეს დაბრუნდები“

სადღაც, გარეგანი დროისა და ფიზიკური სამყაროს მიღმა, წარმოსახვით, მაგრამ ყველაზე ნამდვილ დროსა და სივრცეში, ერთმანეთს ფაუსტური ცნობიერების ორი კაცი შეხვდა: გერმანელი ნოვალისი და ამერიკელი ტომას ვულფი. ორივეს ერთი და იგივე შემოქმედებითი ტემპერამენტი ჰქონდა; ერთი და იგივე კითხვები აწუხებდათ. გამომშვიდობებისას ნოვალისს, ამ წაბლის-ფერთმიან, ქალურად ნაზი სახის მქონე კაცს, ვულფთან დაუჩივლია: „როცა ძიებით ვიღლებით და ვიტანჯებით, გვინდა დაბრუნდება შინ, შინ, მამასთან“.

ზორბა, მხარბეჭიან, მთასავით აზიდულ ამერიკელს ნოვალისის ამ სიტყვებზე თავი დაუხრია, მერე მზერა სადღაც, სივრცეში ჩაუკარგავს და დაფიქრებული სახით, თუმცა მტკიცედ უთქვამს: „შინ ველარასოდეს დაბრუნდები“.

ნოვალისი ნატრობდა, ვულფმა და-ნამდვილებით იცოდა... მაგრამ ცოდნა

მოგვიანებით მოვიდა, შეწოვილი ცხოვ-რებისეული გამოცდილებისა და სამყაროში საკუთარი ადგილის შეცვლილი აღქმის შედეგად.

შინ ველარასოდეს დაბრუნდებიო, მტკიცედ თქვა ვულფმა და შინ დაბრუნების ისეთსავე ძველ ფაბულას, როგორიც თავად ლიტერატურაა, 800 გვერდიანი რომანი მიუძღვნა. თუმცა არა, 800 გვერდი რედაქტორის, ედვარდ ეშვილის მიერ შემოკლებული ვერსიაა, რომელიც პირველად ვულფის გარდაცვალების შემდეგ, 1940 წელს გამოქვეყნდა.

ასე და ამგვარად გაჩნდა ამერიკული მოდერნისტული ლიტერატურის ტრადიციაში ავტობიოგრაფიული, თუმცა დაუსრულებელი რომანი, „შინ ველარასოდეს დაბრუნდები“, რომელიც ქართულად სულ რამდენიმე თვის წინ, თაკმ ჭილაძემ თარგმნა და გამომცელობა „არტანუჯმა“ დაბეჭდა.

რომანის მთავარი მოქმედი გმირი

ჯორჯ ვებერია (George Webber) – ახალგაზრდა, ფაუსტური, მელანქოლიური ტემპერამენტის მქონე მწერალი, რომელიც ევროპიდან ამერიკაში და ამერიკიდან ევროპაში მოგზაურობს. მისი მოგზაურობის პერიოდი, ისტორიულად, დიდი დეპრესიისა და დაკარგული თაობის ეპოქას ემთხვევა და, ამდენად, ეროვნული გამოცდილება ინდივიდუალურ გამოცდილებაში აისახება. „ამერიკა ქმნის ადამიანებს და ადამიანები ქმნიან ამერიკას“, – ამბობს ავტორი, თუმცა, ნაწარმოები არა ერთი კონკრეტული პერიოდის, არამედ ჯორჯ ვებერის ცხოვრების სრულ თავგადასავალს მოგვითხრობს – ბავშვობიდან აღსასრულამდე; მოგვითხრობს ამბავს მოდერნისტული, მარტოსული და მაძიებელი გმირისა, რომელმაც კითხვების დასმა ადრეულ ასაკში დაიწყო, მერე მთელი თავისი გააზრებული ცხოვრება პასუხების ძიებას შეალია და ბოლოს, სრულიად გამოცდილმა და მრავალნახულმა, მტკიცედ და გადაჭრით თქვა: „შინ ველარასოდეს დაბრუნდები“.

ჰერაკლიტეს უთქვამს, სამყაროში ყველაფერი მდინარის მოძრაობის ანალოგით მიედინება და მის ერთსა და იმავე წყალში შესვლა სრულიად შეუძლებელია, მაგრამ ის, რაც მიედინება და ქრება, კი არ იკარგება, ადამიანის გამოცდილებად ილექტება და აღქმა იცვლება, წამის წინ და წამის შემდეგ სრულიად განსხვავებული ხდება. ალბათ, ამიტომ ასათაურებს ავტორი რომანის უკანასკნელ ნაწილს შემდეგნაირად: „ქარი ქრის, მდინარე მიედინება“. ასე იცვლება ჯორჯ ვებერიც, რომელიც ყოველი ახალი გამოცდილების შემდეგ მოგონებებისა და დაკარგული, ჩავლილი დროის ძიების შედეგად, ცხოვრების ერთადერთ ჭეშმარიტებას ხვდება: შინ დაბრუნება, საკუთარ თავთან დაბრუნება შეუძლებელია.

ნაწარმოები შვიდი ნაწილისგან შედგება და თითოეული მათგანი ჯორ-

ჯის ცხოვრების სხვადასხვა პერიოდს ეხება. „არავის აქვს ფესვები გადგმული დროსა და მეხსიერებაში ისე, როგორც მე“, – ამბობს ვებერი და გონებით, რომელსაც ყველაფერი ძალუძს, რადგან წარსული და მომავალი მასში ერთიანდება, ბავშვობისდროინდელ გამოცდილებებს უბრუნდება, მაგრამ ეს დაბრუნება აწყობს გავლითა და მისი ახლებური გააზრებით მიმდინარეობს. წლების შემდეგ ლილია ჰილში, დეიდას დაკრძალვაზე ჩასული, სრულიად გარდაქმნილ, შეცვლილ, „დაკარგული კაცების ქალაქს“ ხედავს, ამერიკული ოცნებით ანთებულ ადამიანებს, რომლებიც წლების წინანდელ საკუთარ თავთან, საერთოს ვეღარ პოულობენ. სამხრეთული ქალაქი, რომელსაც ოდესლაც იცნობდა, ცარიელი ქუჩებითა და უდრევი სიჩუმით, მებრძოლი, მტკიცე ადამიანებით, სრულიად გამქრალიყო და ყველაფერი ყიდვა-გაყიდვის საგიუეთად ქცეულიყო. „ადამიანები ზღაპრულ თანხებს ფლანგავდნენ ქუჩებისა და ხიდების ასაშენებლად, რომელიც არავის სჭირდებოდა, ძველი შენობები მიწასთან გაასწორეს და უზარმაზარი სახლები წამოჭიმეს. მთები გახვრიტეს, გვირაბი რომ გაეყვანათ... ქალაქი მათ აღარ ეკუთვნოდათ. ორმოც მილიონ დოლარად დააქირავეს ჩრდილოეთის საკრედიტო კომპანიები. ყველაფერი დაანგრიეს, რისი დანგრევაც შეიძლებოდა და ყველა ახირება დაკმაყოფილებს, რისი დაკმაყოფილებაც შეეძლოთ“, – ამბობს ვებერი. მისი ბავშვობისდროინდელი მეგობრებიც თუ წაცნობებიც სრულიად შეცვლილიყვნენ, დანგრეულ შენობებთან, შენობებზე მიბმულ ბავშვობისდროინდელ მოგონებებთან ერთად გამქრალიყვნენ; უძრავი ქონების აგენტებად, „კომპანიის კაცებად“, პოტენციურ მყიდველებად და გამყიდველებად ქცეულიყვნენ. დრო შეცვლილიყო და მასთან ერთად – ღირებულებებიც. ერთადერთ ღირე-

ბულებად ემერსონის ცნობილი ფრაზა ქცეულიყო: „გადაიხადე და მოგეცემა“ და საკუთარი ქალაქის შემყურე ჯორჯი მიხვდა, რომ ქალაქმა, რომელსაც ოდესლაც იცნობდა, დროში მდინარესავით ჩაიარა და ის უკანასკნელი ჯაჭვიც გაწყდა, რომელიც მასთან აკავშირებდა – აღმზრდელი დეიდა. მიხვდა უდავო ჭეშმარიტებას: ის, რაც ერთხელ იყო, აღარასოდეს განმეორდებოდა, საკუთარ ბავშვობისდროინდელ მეს, ოდესლაც განცდილ ემოციებსა და გრძნობებს ველარ იპოვიდა, რადგან დროც შეცვლილიყო და თავად ისიც. ამიტომ, სრულიად მარტოს, ახალი ცხოვრება უნდა დაეწყო და ჯორჯიც ნიუ-იორკში დაბრუნდა.

ნიუ-იორკში ცხოვრებამ და მასზე უფროს, გათხოვილ, ებრაელ ქალთან ურთიერთობამ ვებერს სიყვარულის გამოცდილება და, ამავე დროს, ამერიკის მდიდარი საზოგადოების გაცნობის შესაძლებლობა მისცა. ესთერთან წვეულებაზე მისულმა და იმდროინდელი სნობური გართობის მოყვარული ამერიკელი ებრაელების ხილვამ, რომლებიც აღფრთოვანებული თვალებით უყურებდნენ გოჭი ლოუგენის ცირკის წარმოდგენას, ტკბებოდნენ მდიდრული დეკორაციებითა და შინაგან სიცარიელეს შინაარსმოკლებული საუბრებით ივსებდნენ, ჯორჯი ამ საზოგადოების უუნარობასა და ამაოებაში დაარწმუნა. მიხვდა, რომ აქ შეკრებილ ადამიანებს აღარ ჰქონდათ რწმენა, რომ მათ ცხოვრებაზე უკეთესი რაღაც არსებობდა; რომ მათი ცხოვრება უბრალო ადამიანების სისხლით საზრდოობდა და მონების ოფლიდან ინურებოდა; რომ პედერასტების, ლესბოსელების გრძნობები და ვნებები, სიყვარული და სიძულვილი ჰაერს ახშობდა და არც კი ადარდებდათ, რა უსამართლობაზე იდგა მათი პრივილეგიები. ქალი კი, რომელიც უყვარდა, ამ სამყაროს ნაწილი იყო და ჯორჯი არჩევანის წინაშე დადგა: შეძ-

ლებდა ესთერი ჰყვარებოდა, მდიდარ საზოგადოებაში ეტრიალა და ამავე დროს, როგორც ხელოვანსა და მწერალს, სიმართლე მოეყოლა ნანახზე? ყველა კაცი სიყვარულსა და სახელზე ოცნებობსო, – ამბობს ვებერი, მაგრამ სახელისა და დიდების საძიებლად, სიყვარულის მიტოვება, ოდისევსიდან მოყოლებული, უცვლელი ჭეშმარიტება და ჯორჯისთვის რომანტიკული სიყვარულის აღქმა იცვლება. „სიყვარული ყველაფერი არ არის“, – ასკვნის სინათლის მაძიებელი, მელანქოლიკური კაცი და შინისკენ მიმავალ გზას კიდევ ერთი ნაბიჯით შორდება. სადღაც ქრება მგრძნობიარე, ახალგაზრდა, შეყვარებული ვებერი, რომელიც თავისი პატარა გრძნობითაა მოცული და მის ადგილს დიდებას დახარბებული გმირი იკავებს.

დიდებაც მოდის – ის, რასაც ეძებს და ჯერ არ იცის. ბრონქსის ჯუნგლებში ოთხწლიანი განდეგილობის შემდეგ მეორე რომანს წერს, რომელმაც მსოფლიო აღიარება უნდა მოუტანოს, მაგრამ რომანის დასრულების შემდეგ ინგლისში მიემგზავრება და სწორედ აქ ხვდება მისტერ ლოი მაკპარგს, ამერიკელ, ეროვნული მნიშვნელობის მქონე მწერალს, რომლის ცხოვრების სტილიც სრულიად გარდაქმნის მის წარმოდგენებს დიდებაზე. „მაკპარგი ჭეშმარიტად დიდი და პატიოსანი კაცი იყო, მან მიიღო და მოიპოვა დიდება, მაგრამ ეს გამარჯვება ფუტურო გამოდგა“, – ამბობს ვებერი და პირველად ხვდება იმას, რასაც მარტობისა და ეგზისტენციალიზმის ყველაზე დიდი ფილოსოფისი, ეკლესიასტე, შემდეგნაირად გამოხატავს: „ამაოება ამაოთა ყოველივე ამაოა“.

მაგრამ ჯერ კიდევ რჩება რაღაც, რასაც ვებერმა უნდა მიაგნოს – ის რაც, ფაუსტურად, განცდაში აქვს და ვერ გაიცნობიერა: რომ ადამიანი ყველან და ყოველთვის იგივეა, რომ სამ-

ყაროს ერთადერთი მტერი ადამიანთა ეგოზმი და მათი მანიაკალური სისარბეა, რომ ძალაუფლება მხოლოდ სხვისი სისუსტის შედეგია. ამის გააზრებაში კი, მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში გერმანიაში მოგზაურობა ეხმარება. გერმანია მისი იდეალი სახელმწიფოა, თუმცა ფაშიზმისა და პოლოკოსტის საფრხე ამ იდეალებსაც ამსხვევრებს და ვებერიც, ეს ფაუსტური, დაუსრულებლად მაძიებელი კაცი, მიდის დასკვნამდე, რომ სამყაროში არ არსებობს სახლი, სადაც შეგიფარებენ და, რომ „ადამიანი ადამიანისთვის ყოველთვის მგელია“.

ჯორჯ ვებერმა, იმავე ვულფმა, მთელი ცხოვრება ძიებაში გაატარა. საკუთარი ბავშვობა ეძია და ნახა, რომ ყველაფერი გაქრა, რაც მასთან აკავშირებდა; სიყვარული ეძია, იპოვა და მიხვდა, რომ ბედნიერება მასში არ ყოფილა; დიდება ეძია და დაინახა, რომ აღიარებული მწერლებიც, ფუტურო კაცებივით, აჩრდილებს ემსგავსებიან; იდეალური სახელმწიფო სისტემა ეძია და გერმანიამ იმედი გაუცრუა; პოლოკოსტის და ფაშიზმის საფრთხე დაინახა და მიხვდა, რომ სამყაროს ადამიანური ეგოზმი და სიხარბე ატრიალებს; მონათა სისხლი და ამ სისხლზე მდგარი ამერიკული საზოგადოება იცნო და ამ ყველაფრის მნახველმა, გამოცდილმა, ადამიანის არსი შეიცნო, გამოქვაბულიდან სინათლეზე გამოვიდა, ჭეშმარიტების თანხლები ტკივილი იგრძნო და თქვა: „გამოქვაბული, საშო, საიდანაც კაცობრიობამ სინათლეში გამოაბიჯა, მარად უკან გვიხმობს, მაგრამ შინ ვეღარასოდეს დაბრუნდები“.

და იდიომად ქცეულ ამ ფრაზას უდიდესი მნიშვნელობა ექნება: „ვერ დაუბრუნდები შენს ოჯახს, ბავშვობის სახლს, რომანტიკულ სიყვარულს, ახალგაზრდა კაცის ოცნებებს დიდებაზე, განდევნას, ევროპაში გაქცევას, ლირიზმს, სიმღერას სიმღერისთვის, ესთეტიზმს, ყმაწვილი კაცის გულუბრყვილო წარმოდგენას „ხელოვანზე და სილამაზეზე“; ვერ დაუბრუნდები მამას, რომელსაც ეძებდი; სახლს, სადაც შეგიფარებენ, გადაგარჩენენ, ტვირთს შეგიმსუბუქებენ, ძველებურ წყობას, რომელიც მარადიული გეგონა, ვერ დაბრუნდები უკან, დროისა და მახსოვრობის თავდავიწყებაში“.

პრუსტმა მთელი ცხოვრება დაკარგული დროის ძიებას შეალია და თქვა, რომ ერთადერთი ჭეშმარიტი დრო არსებობს: გრძნობის და განცდის დრო. ვულფმა კი, ამ მელაქეოლიური ტემპერამენტის კაცმა, თქვა, რომ დრო მდინარესავით მიედინება და მასში ყველაფერი იკარგება, რადგან მდინარეც იცვლება და თავად შენც. ერთადერთი, რაც მდინარის მრავალი წყლის ჩავლის შემდეგ რჩება, ადამიანური არსის შეცნობაა: რომ ადამიანები იბადებიან, იტანჯებიან და კვდებიან და, რომ მარტოობა მათი არსებობის განუყოფელი ნაწილია.

ვულფმა ჭეშმარიტ ცოდნას მიაგნო: შინიდან გამოსული ადამიანები უკან ვეღარასოდეს ბრუნდებიან

და მაინც... ყველანი, ყოველთვის, ნოვალისივით დალლილნი და დაქანცულნი, შინ დაბრუნებას ნატრობენ.



## გიორგი ბულორდავა

### მაგალითობრივი თოლელი „სპარსული პოეზიის შედევრები“

2010 წელს, საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილების თანადგომით, ორ ტომად გამოიცა ცნობილი ქართველი ირანისტისა და მთარგმნელის, მაგალი თოლელის (1927-2016) თარგმანები – მისი სამოცნელიანი, დაუღალვი შრომის გვირგვინი. წიგნის სახელწოდებაა „სპარსული პოეზიის შედევრები“. ფაქტობრივად, ეს გახლავთ კლასიკური სპარსული პოეზიის ანთოლოგია, რომელიც საქვეყნოდ ცნობილი, გენიალური ავტორების პოეზიასთან ერთად, მკითხველთა ფართო წრისთვის შედარებით უცნობ პოეტთა შემოქმედებასაც აერთიანებს. ალბათ, ათი წლის მერე მკითხველისთვის მსგავსი მიმოხილვითი წერილის გაცნობა დაგვიანებულიც კია, მაგრამ მაინც ვეცადე, ერთ მცირე ნარკვევში მომეთავსებინა ის ორმაგი აღფრთოვანებისა და მოწინების განცდა, რომელიც ამ წიგნის რამდენჯერმე წაკითხვამ მომანიჭა.

როგორც აღვნიშნე, „სპარსული პოეზიის შედევრები“ მაგალი თოლელის სა-

მოცნელიანი მთარგმნელობითი და კვლევითი შრომის გვირგვინია. ამ რთულ და საპატიო გზას იგი სტუდენტობიდანვე შეუდგა. პირველი მოწონებაც მაშინათვე დაიმსახურა, თავად ქართული ირანისტიკის პატრიარქის, იუსტინე აბულაძისგან. ახალგაზრდა მთარგმნელის პირველი წიგნი – „ტაჯიკური პოეზია“ – 1952 წელს გამოიცა. წიგნის სახელწოდება, ფაქტობრივად, საბჭოთა კონიუნქტურამ განსაზღვრა. ჯერაც სტალინიზმის ეპოქაში წიგნის სათაურად სპარსული პოეზიის გამოტანა ან ირანის ხსენება, რომელიც იმსანად საბჭოეთან დაპირისპირებული იყო, არ შეიძლებოდა. პირველივე წიგნი ახალგაზრდა მთარგმნელის საკმაოდ შთამბეჭდავი განაცხადი იყო. კრებულში თავმოყრილი არაერთი ავტორიდან მკითხველის განსაკუთრებული მოწონება ომარ ხაიამს ხვდა წილად. „ტაჯიკური პოეზიის“ შევსებული და განახლებული ვარიანტი, სათაურით „აღმოსავლური პოეზია“ მთარგმნელმა 1959 წელს გამოსცა. ეს მცირე (თუმცა, არა უსაგნო) გა-

დახვევად მივითვალოთ, ახლა კი ისევ „პირველსა სიტყვასა ზედა“ მოვიდეთ.

„სპარსული პოეზიის შედევრებს“ წინ უძლვის ორი შესავალი წერილი. ერთი მათგანი თავად მთარგმნელს ეკუთვნის, მეორე – საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილების იმუამინდელ ხელმძღვანელს, ეჟსან ხაზაის.

შესავალ წერილში მაგალი თო-დუა საუბრობს კლასიკური სპარსული ლექსის გაგების სირთულეებზე, მისი თარგმნის სპეციფიკასა და საკუთარ მთარგმნელობით კრედოზე. მთარგმნელი და მეცნიერი აცხადებს, რომ „სპარსული ლექსის თარგმნა ერთდროულად შემოქმედებაცაა და კვლევაც; ხშირად მთარგმნელს უწევს არა მარტო, ჩვეულებისამებრ, სიტყვის, ფრაზის ან შინაარსის ერთი ენიდან მეორე ენაზე ლექსად გადატანა, არამედ ორიგინალის ურთულესი პოეტური სახეების ქვეტექსტებში გარკვევაც, რაც იოლი საქმე არ არის და ღრმა და ფართო ირანისტიკულ განათლებას მოითხოვს“.

სწორედ ასეთი ფართო ირანისტიკული განათლება და დიდი პოეტური ნიჭიერება განაპირობებს მაგალი თოდუას თარგმანთა განსაკუთრებულობას. ამაში მკითხველი იოლად დარწმუნდება ქვემოთ მოყვანილი რამდენიმე ნიმუშის წყალობითაც. საილუსტრაციოდ მინდა, მოვიხმო ომარ ხაიამის ერთ-ერთი რობაის მაგალი თოდუასეული თარგმანი, მაგრამ ჯერ ორიგინალი ტექსტის უღერადობას და შინაარს გავეცნობით:

ჩუნ ომრ ბე სარ რესად ჩე შირინ  
ო ჩე თალხ  
ფეიმანე ჩიო ფორ შავად ჩე შირინ  
ო ჩე ბალხ  
მეი ნუშ ქე ბად აზ მან  
ო თო მაჰ ბასი  
აზ სალხ ბე ყორრე აიად  
აზ ყორრე ბე სალხ.

პწკარედი:

როცა სიცოცხლე დასრულდება,  
რა ტკბილი და რა მნარე (ყოფილა)  
ფიალა როცა აივება, რა ბაღდადი  
და რა ბალხი,  
ღვინო სვი, რადგან შენსა და  
ჩემ შემდეგ მთვარე ბევრჯერ  
სავსემთვარეობიდან ახალზე  
გადავა, ახალმთვარეობიდან –  
სავსეზე.

თარგმანი:

თუ მოვკვდებით, სულ ერთია  
ბაღდადი და ბალხი,  
ღვინო გინდა თეთრი იყოს,  
გინდა ფერად-თალხი,  
შესვი, ძმაო, არ ვიქებით ჩვენ  
ამ ქვეყნად, თორებ  
სულ ამოვა ცაზე მზე და სულ  
იცხოვრებს ხალხი.

როგორც ვხედავთ, მთარგმნელი შემოქმედებითად მიუდგა დედანს, ქართულად გადმოილო არა სიტყვასიტყვითი, არამედ ემოციური სიზუსტით. ტექსტში სარითმო ერთეულებია: თალხ-ბალხ-სალხ. პირველი სიტყვა – „თალხ“ – მნარეს ნიშნავს. იგი ქართულში, გარკვეულწილად, სახეცვლილი მნიშვნელობითაა შემოსული, თუმცა, ამავდროულად, შენარჩუნებული აქვს სიმნის, მწუხარების მნიშვნელობა. (მაგ, თალხი ფერებით შემოსვა გლოვისას). სარითმო წყვილის მეორე ერთეული კი ტოპონიმია, რომელიც ქალაქ ბალხს აღნიშნავს. ცხადია, ეს სიტყვაც უპრობლემოდ შეიძლება გამოვიყენოთ ქართულ ტექსტში. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მთარგმნელს ქართულ ტექსტში დედნისეული სარითმო ერთეულებიც კი შენარჩუნებული აქვს, თუმცა რითმის უცვლელად გადმოტანამ გარკვეული ცვლილება მაინც გამოიწვია: მთარგმნელმა „თალხი“ ღვინის

ფერს მიუსადაგა. ბოლო სტრიქონებში საერთოდ არაა ნახსენები მთვარის ფაზების მონაცვლეობა, მაგრამ ავტორი-სეული ჩანაფიქრი თარგმანში მთელი სიზუსტითაა გაცხადებული: ცაზე მზის ამოსვლა ხომ, მთვარის მიმოქცევის მსგავსად, უამთა სვლისა და თაობათა ცვლის მანიშნებელია. რაც მთავარია, ამ თარგმანში კარგად ჩანს ხაიამის პოეტური სტილის ისეთი მთავარი ნიშანი, როგორიც სისადავე და გამჭვირვალობაა. ზოგადად, ეს სალექსო ფორმა – რობა – ვერ ჰგუობს ზედმეტ სიტყვის-მიერ სამშვენისებს და უხვესიტყვაობას. ეს ფილიგრანულად დამუშავებული, მცირე სალექსო ფორმა ხშირად ძალიან დიდ სათქმელს ვირტუოზულად გამოხატავს. მთარგმნელმა ორიგინალისეული პოეტური მუხტი და აზრობრივი გრადაციები თარგმანში შესანიშნავად ასახა და მიუსადაგა ქართულ პოეტურ ქსოვილს.

განვიხილოთ ერთი ნიმუშიც, ამჯერად რუდაქის შემოქმედებიდან.

პნკარედი:

მე საკუთარ თმას იმის გამო კი  
არ ვიშავებ,  
რომ ისევ გავჭაბუკდე და ახალი  
ცოდვა ჩავიდინო,  
რადგან ტანსაცმლებს გლოვისას  
იშავებენ (გლოვისას შავ სამოსს  
იცვამენ),  
მეც თმას სიბერეზე გლოვის  
გამო ვიშავებ.

თარგმანი:

თმას რომ ვიღებავ, ჭაბუკობას მე  
განა ვლამობ  
ან მსურს, კვლავ ცოდვა ჩავიდინო  
გულისთვის ამო?!  
არა! ისე, ვით ძაძას იცვამს  
ჭირისუფალი,  
ჩემს სიყრმეს ვგლოვობ და ვიშავებ  
წვერს ამის გამო.

როგორც ვხედავთ, თარგმანში მინიმუმამდეა დაყვანილი დანაკარგები. ავტორისეულ სათქმელს მთარგმნელი მკაფიოდ და ზუსტი მხატვრულ-კონცეფციური შესატყვისით გამოხატავს. საკამარისია თუნდაც ერთი ფრაზის გამოყენება, რომ ტექსტი მოქნილი და ქართველი მკითხველისთვის იოლად აღსაქმელი გახდეს. ამის ნიმუშია ამ ლექსის პირველივე სტრიქონი. შევადაროთ პნკარედული და მხატვრული თარგმანები: 1). მე საკუთარ თმას იმის გამო კი არ ვიშავებ, 2). თმას რომ ვიღებავ, ჭაბუკობას მე განა ვლამობ.

ჩემი აზრით, სწორედ ეს „განა ვლამობ“, რომელიც ბევრად უფრო ქართულად უდერს, ვიდრე პნკარედულ თარგმანში გამოტანილი წინადადება, სწორ კალაპოტს აძლევს ლექსის აზრობრივემოციურ მდინარებას და მკითხველს მომდევნო სტრიქონებთან შესახვედრად ამზადებს. არსებითად, ეს ორადორი სიტყვა ლექსის შინაგანი ლოგიკითაა ნაკარნახევი და მის უკეთ აღქმას ემსახურება.

„სპარსული პოეზიის შედევრების“ 900 გვერდიან წიგნში შეხვდებით არაერთ ავტორს, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს სპარსულ პოეტურ სმყაროზე და მშობლიურ ლიტერატურას მსოფლიო აღიარებაც მოუტანეს. განსაკუთრებულად ვრცლადაა წარმოდგენილი ნიზამი განჯელის შემოქმედება. მაგალი თოდუა სპარსული პოეზიის ამ კლასიკოსის პოეტურ მემკვიდრეობას მკითხველს აცნობს სხვადასხვა პოემებიდან ამოკრებილი ლირიკული წიაღსვლებით. ჩემი აზრით, სწორედ ეს ნიმუშებია მთარგმნელობითი ოსტატობის შეუდარებელი მიღწევა:


ნუ იმსახურებ ნურასდროს  
მეფის ჯარსა და დივანში,  
გული მეფისკენ ნუ გინევს,  
ცეცხლი ნუ გიძევს თივაში,  
თბილია მეფის სასახლე,

მნათობნი მისნი ნათობენ,  
მაინც გახსოვდეს, მეფის კარს  
არ გაეკარო სათოფედ...

ამავე წიგნში მთლიანადაა წარმოდგენილი ნიზამის, ამ ურთულესი პოეტის, შემოქმედების გვირგვინის – „ლეილი და მაჯნუნის“ – მაღალმხატვრული თარგმანი.

ნიზამის შემოქმედებაში ხშირად გვხვდება ბუნდოვანი ადგილები. ნიზამოლოგთა რიგებში დავის საგანია არა-

უკვე სახელმოხვეჭილ მგოსანს, ფირმანს უგზავნის და ლეილისა და მაჯნუნის სატრფიალო ამბის გალექსვას ავალებს. იქვე, სხვათა შორის წერს, თურქულად საუბარი ჩვენი საკადრისი არ არისო. ირანისტიკაში ამ სიტყვების ძირითადად ორი ახსნა არსებობს: 1). შაჰი ნიზამის ეუბნება, ჩვენი მშობლიური, თუმცა ჯერაც ლიტერატურული ტრადიციის არმქონე თურქული ენა არ გვეკადრება, პოემა აუცილებლად სპარსულად დაწერეო. ბარემ აქვე აღვნიშნავ, რომ ამ მოსაზრებას საკმაოდ ძლიერი კონტრარგუმენტით უპირისპირდებიან: „ლეილისა და მაჯნუნის“ შეთხვამდე ნიზამის უკვე დაწერილი ჰქონდა ორი ცნობილი პოემა: „საიდუმლოებათა საგანძური“ და „ხოსროვი და შირინი“. ცხადია, ორივე სპარსულადაა შეთხვული. ნიზამის თურქულ-აზერბაიჯანულად არაფერი შეუქმნია და რაღა ახლა ეტყოდა შაჰი – თურქული არ გვეკადრება, სპარსულად დაწერეო. 2). შაჰი რებუსების, მეტაფორების და ორლესული საუბრის მოყვარულ ნიზამის ნართაულადვე ეუბნება, რომ „თურქი“ არაა. აქ ეთნიკური წარმომავლობა არაფერ შუაშია (სინამდვილეში, მისი დინასტია თურქული წარმოშობის გახლდათ). როგორც ჩანს, შაჰი ახსათანი ნიზამის გადაკვრით მიანიშნებს ფირდოუსისა და სულთან მაჰმუდ-ლაზნელის ცნობილ ისტორიას: ამ უკანას-



ერთი პასაუი. გვხვდება ერთი და იმავე სტრიქონის სხვადასხვანაირი წაკითხვა. ამის ერთ-ერთ ნიმუშად გამოგვადგება ქვემოთ მოყვანილი სტრიქონი „ლეილი და მაჯნუნიდან“. მოცემულობა ასეთია: შაჰინშაჰი ახსათანი ნიზამის,

ლობა არაფერ შუაშია (სინამდვილეში, მისი დინასტია თურქული წარმოშობის გახლდათ). როგორც ჩანს, შაჰი ახსათანი ნიზამის გადაკვრით მიანიშნებს ფირდოუსისა და სულთან მაჰმუდ-ლაზნელის ცნობილ ისტორიას: ამ უკანას-

კნელმა გენიალურ ფირდოუსის „შაპნამეში“ მეტად მცირე ჯამაგირი გადაუხადა, სულთნის კარის მეხოტბეებმა კი დიდი პოეტი აბუჩად აიგდეს. ამ მეორე მოსაზრების მიხედვით, შაპი სწორედ ამას უთვლის ნიზამის: შენ პოემა დაწერე, დანარჩენზე ფიქრი არ გქონდეს, მე მაპმუდ ღაზნელს არ ვგავარ, ჩემს დაპირებას ყოველთვის ვასრულებ და უხვად დაგასაჩუქრებო. მაგალი თოდუას თარგმანი სწორედ ამ მეორე ვარიანტს უჭერს მხარს:

ამაოდ დაშვრე, ნუ შიშობ,  
ლვანლი გიფასოთ არ ავად,  
სიძუნნე ჩვენ არ გვჩვევია,  
ჩვენ ხომ თურქები არა ვართ.

„სპარსული პოეზიის შედევრებს“, ნიზამისთან ერთად, უთუოდ ამშვენებს ხაყანის შემოქმედების ნიმუშები. განვიხილოთ ერთ-ერთი მათგანი:

პწკარედი:

ხაყანი, სიცოცხლის საფუძველი  
დარდი იქნება,  
(ზეცის) ბედისნერისგან სიტქბო და  
ტანჯვა ერთად იქნება,  
სული ტანჯვით ჩაგვედგა სხეულში  
თავდაპირველად,

და ბოლოს მისი ნასვლაც ტანჯვით  
იქნება.

თარგმანი:

ხაყანი, კარგად დაიმახსოვრე:  
კაეშანია სიცოცხლის ძირი, –  
შვება არ სუფევს  
ვნების გარეშე,  
ლხინის თვინიერ არ ჰგიეს ჭირი!  
თუ ტანში სულის  
ჩადგმა ტანჯვაა  
და თუ ტკბილ სულთან  
შეყრის დროს ვტირით,  
რა უნდა იყოს  
ის ტანჯვა, როცა  
სულ ამოგვხდიან ამ ტკბილ  
სულს პირით!

„სპარსული პოეზიის შედევრების“ მეორე ტომში, ყაზალებისა და ფილო-სოფიური იგავების სახით, ნარმოდგე-ნილია ჯალალ ედ-დინ რუმის პოეზიაც.

ვფიქრობ, ამ წიგნს, რომელშიც პოეტურ ნიმუშებს დიდი მთარგმნელის მადლმოსილი ხელი ატყვია, აუცილებლად უნდა იცნობდეს აღმოსავლური პოეზიის ყველა მოყვარული და დამფასებელი. ასევე, ერთი-ორად სასიხარულო იქნება მისი ხელახალი გამოცემაც.

## ვახტანგ გურული



### ამაო მცდელობა

(ტაო-კლარჯეთი და ლაზეთი 1944-1953 წლების  
სართაშორისო ურთიერთობებისთვის)

მეორე მსოფლიო ომი დასასრულს უახლოვდებოდა. არავის ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, რომ მოკავშირეები (საბჭოთა კავშირი, აშშ, დიდი ბრიტანეთი) გერმანიასა და მის მოკავშირეებს დაამარცხებდნენ. ისიც ცხადი იყო, რომ ომის შემდგომი ურთიერთობები სახელმწიფოთა შორის საზღვრების გადასინჯვით დაიწყებოდა. გამარჯვებული სახელმწიფოები, დიდი მსხვერპლის სანაცვლოდ, სტრატეგიული ტერიტორიების ხელში ჩაგდებას გეგმავდნენ. გერმანიის გარდა, მოკავშირეები კიდევ რამდენიმე ქვეყნის საზღვრების გადასინჯვას აპირებდნენ. საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის აზრით, ამ სახელმწიფოთა შორის თურქეთიც უნდა ყოფილიყო. შექმნილ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებიდან გამომდინარე, საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას 1921 წელს დადგენილი საზღვრების გადასინჯვის საკითხი აღარ დაუყენებია. 1921 წლის ყარსის ხელშეკრულებით დადგენილი საბჭოთა რუსეთ (საბჭოთა კავშირ)-ოსმალეთის (თურქეთის) სახელმწიფო საზღვარი უცვლელად დატოვა 1925 წლის 17 დეკემბრის საბჭოთა კავშირ-თურქეთის პარიზის ხელშეკრულებამ. 1935 წელს მხარეებმა ხელშეკრულება ათი წლით გააგრძელეს.

1941-1945 წლების საბჭოთა კავშირ-

გერმანიის ომის დაწყების წინ, 1941 წლის 24 მარტს, საბჭოთა კავშირმა ვალდებულება აიღო, დაეცვა თურქეთი იმ შემთხვევაში, თუ ამ უკანასკნელს რომელიმე ქვეყანა დაესხმოდა თავს. ეს იყო პრევენციული ღონისძიება გერმანია-თურქეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის ჩაშლის მიზნით. საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ მიზანს ვერ მიაღწია. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, 1941 წლის 18 ივნისს, დაიდო გერმანია-თურქეთის ხელშეკრულება მეგობრობისა და თავდაუსხმელობის შესახებ. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დაწყების შემდეგ გერმანია-თურქეთის დაახლოება კვლავ გრძელდებოდა. 1942 წლის 26 აგვისტოს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა თურქეთში, გერმანიის ელჩთან, ფონ პაპენთან საუბრისას განაცხადა: თურქეთი, როგორც ადრე, ამჯერადაც სისხლხორციელადაა დაინტერესებული ბოლშევიკური რუსეთის სრული მარცხით. ცხადია, მას შემდეგ, რაც მეორე მსოფლიო ომში გერმანია მარცხს მარცხზე განიცდიდა, თურქეთის დამოკიდებულება გერმანიის მიმართ იცვლებოდა. 1945 წლის 23 თებერვალს თურქეთმა ომი გამოუცხადა გერმანიას. ეს იყო ფორმალური აქტი და მას პრაქტიკული შედეგები არ მოჰყოლია. იოსებ სტალინისათვის ეს სულაც არ იყო საკმარისი. თურქეთს პასუხი უნდა ეგო პროგერმანული ორიენტაციისათვის. 1945 წლის 19 მარტს, 1925 წლის 17 დეკემბრის საბჭოთა კავშირ-თურქეთის ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ექვსი თვით ადრე, საბჭოთა კავშირმა აღნიშნული ხელშეკრულება გააუქმა. საჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საინფორმაციო ბიუროს განცხადებაში აღნიშნული იყო: საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ვ. მოლოტოვმა 1945 წლის 19 მარტს

თურქეთის ელჩს განცხადა, რომ ლრმა და სერიოზული ცვლილებების გამო, რომელიც განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის დროს გამოვლინდა, 1925 წლის 17 დეკემბრის ხელშეკრულება ვეღარ პასუხობდა თანამედროვე მოთხოვნებს და სერიოზულ გაუმჯობესებას საჭიროებდა. ვ. მოლოტოვის 1945 წლის 19 მარტის განცხადებას თურქეთის მთავრობამ იმავე წლის 14 აპრილს უპასუხა. თურქეთი ახალი ხელშეკრულების დასადებად მზადყოფნას გამოთვამდა.

მართალია, იოსებ სტალინი თურქეთის დასასჯელად ემზადებოდა, მაგრამ იმთავითვე ცხადი იყო, რომ დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები თურქეთის განირვას არ დაუშვებდნენ, თუმცა ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, თუ როგორ დამთავრდებოდა ომი ევროპასა და აზიაში. ომი კი ჯერ კიდევ გრძელდებოდა.

1945 წლის მაისში მოკავშირეების ომი გერმანიის წინააღმდეგ ამ უკანასკნელის კაპიტულაციით დასრულდა. 1945 წლის სექტემბერში კაპიტულაცია გამოაცხადა იაპონიამაც. გამარჯვებულ მოკავშირეთა მიერ ევროპასა და აზიაში საზღვრების გადასინჯვის საკითხი უკვე პრაქტიკულად დაისვა.

1945 წლის 17 ივლისიდან 2 აგვისტომდე მიმდინარეობდა მოკავშირეთა ბერლინის (პოტსდამის) კონფერენცია. კონფერენციას ესწრებოდნენ მოკავშირე სახელმწიფოთა (საბჭოთა კავშირი, დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები) პოლიტიკური ლიდერები: იოსებ სტალინი, უინსტონ ჩერჩილი, ჰარი ტრუმენი. კონფერენციის 1945 წლის 22 ივლისის სხდომის დღის წესრიგში საბჭოთა კავშირის მოთხოვნით შევიდა საკითხი თურქეთის შესახებ. სხდომაზე საბჭოთა კავშირმა უკვე აშკარად, ყოველგვარი შეფარვის გარეშე დააყენა საკითხი საბჭოთა კავშირ-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის

გადასინჯვის შესახებ. კონფერენციის სტენოგრამის მიხედვით, დგინდება, რომ იოსებ სტალინის თხოვნით, სიტყვა ვიაჩესლავ მოლოტოვს მისცეს. ვ. მოლოტოვმა კონფერენციის მონაწილეებს მოახსენა, რომ საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებაზე ორივე მხარემ თანხმობა განაცხადა. ვ. მოლოტოვის აზრით, საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის უნდა მოგვარებულიყო სადაო საკითხები, რომელიც ორივე მხარეს გააჩნდა. სტენოგრამაში ვკითხულობთ: „ჩვენის მხრივ ვაყენებთ ორ საკითხს, რომელიც უნდა მოგვარდეს. სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი საზღვრები. საბჭოთა კავშირმა უნდა დაიცვას არა მარტო თავისი, არამედ თურქეთის საზღვრებიც. ისევე, როგორც თურქეთმა უნდა დაიცვას არა მარტო თურქეთის საზღვრები, არამედ საბჭოთა კავშირის საზღვრებიც. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საზღვარი საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის ზოგიერთ მონაკვეთზე არასამართლიანადა დადგენილი. 1921 წელს (იგულისხმება 1921 წელს დადებული ყარსის ხელშეკრულება – ვ. გ.) საბჭოთა სომხეთიდან და საბჭოა საქართველოდან თურქეთმა მიითვისა ტერიტორია – ყარსის, ართვინისა და არტაანის ოლქები. აი, რუკა თურქეთის მიერ მითვისებული ტერიტორიებისა (გადასცემს რუკას). ყოველივე ამის გამო მე განვაცხადე, რომ სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებისას, უნდა მოგვარდეს თურქეთის მიერ საქართველოდან და სომხეთიდან მითვისებული ტერიტორიის საკითხი. ეს ტერიტორიები თურქეთმა უკან უნდა დააპრუნოს“.

როგორც ვხედავთ, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს, ვიაჩესლავ მოლოტოვს კონფერენციისათვის თურქეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიის რუკა წარუდგენია. ჩვენთვის უცნობია რა ტე-

რიტორიებს მოიცავდა ეს რუკა, თუმცა ვიაჩესლავ მოლოტოვის გამოსვლის ტექსტში თურქეთის მიერ მიტაცებულ ტერიტორიებად მიჩნეულია: ყარსი, ართვინი და არტაანი. ცხადია, რუკაზე უფრო დაწვრილებით და ზუსტად იქნებოდა მინიშნებული ის ტერიტორია, რომელზედაც იოსებ სტალინი კანონიერ პრეტენზიას აცხადებდა.

იოსებ სტალინი კარგად გრძნობდა, რომ თურქეთისადმი საბჭოთა კავშირის ტერიტორიული პრეტენზიების დაკმაყოფილებას დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები წინ აღუდგებოდნენ. მიუხედავად ამისა, სტალინი საკითხის დაყენებას მაინც აპირებდა. ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობაში ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის საკითხი. ამ საკითხს იოსებ სტალინი იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რომ მზადება თურქეთისათვის ტერიტორიული პრეტენზიების წაყენებისათვის 1944 წლის მარტიდან დაიწყო. გასათვალისწინებელია ის, რომ 1944 წლის მარტისათვის გერმანიის ჯარებს საბჭოთა კავშირის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ ოკუპირებული ჰქონდათ.

1944 წლის მარტში აკადემიკოსმა სიმონ ჯანაშიამ რუსულ ენაზე დაწერა ნარკვევი „თურქეთის შემადგენლობაში შესული ქართული ტერიტორიების საკითხისათვის“. რატომ დაინტერესდა სიმონ ჯანაშია ამ შინაარსის ნარკვევის დაწერით? აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში ისტორიკოსის მეცნიერულ მიზნებზე ვერ ვისაუბრებთ. სიმონ ჯანაშია ამ პრობლემატიკით მანადე არასდროს დაინტერესებულა. ნარკვევის შინაარსის დაწვრილებით შესწავლამ აშკარა გახადა, რომ იგი საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის დაკვეთითაა შესრულებული. ვინ და როდის შეუკვეთა სიმონ ჯანაშიას აღნიშნული ნარკვევის დაწერა, საარქივო მასალე-

ბიდან არ ირკვევა, მაგრამ დგინდება, რომ ეს ნარკვევი საფუძვლად დაედო საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის დაკვეთით შესრულებულ მეორე დოკუმენტს, სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის ცნობილ წერილს „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“, რომელიც, სიმონ ჯანაშიას ნარკვევისაგან განსხვავებით, 1945 წლის დეკემბერში, ქართულ და რუსულ ენებზე, პრესაშიც გამოქვეყნდა (გაზეთი „კომუნისტი“, 1945, 14 დეკემბერი, გვ. 3; გაზეთი „ზარია ვასტოკა“, 1945 წლის 15 დეკემბერი, გვ. 3).

საბჭოთა კავშირის მიერ თურქეთი-

ლით იოსებ სტალინს მიმართა სრულიად სომეხთა კათალიკოსმა, გეორგ VI-მ. ამასთან ერთად, ცნობილი გახდა, რომ საბჭოთა საქართველო და საბჭოთა სომხეთი, თურქეთის შემადგენლობაში შემავალი ტერიტორიების გადანაწილებისას, ვერ შეთანხმდებოდნენ. ოფიციალურად, საქართველოსა და სომხეთს შორის სადაო იყო ყოფილი ყარსის ოლქის არტაანისა და ოლთისის ოკრუგები. სინამდვილეში კი, სომხეთის ხელისუფლებას პრეტენზია ყარსის იოხივე იკრუგზე – ყარსის, ყალიზმანის, ოლთისისა და არტაანის ოკრუგებზე ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის შემადგენლობიდან საბჭო-



სადმი მოსალოდნელი ტერიტორიული პრეტენზიების წაყენება, ცხადია, დიდ ინტერესს აღძრავდა საბჭოთა სომხეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში. 1945 წლის 7 ივლისს სომხეთის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ა. არუთინოვმა სპეციალური წერილით მიმართა იოსებ სტალინსა და ვიაჩესლავ მოლოტოვს. წერილში აღნიშნული იყო, რომ სომხეთს პრეტენზია ჰქონდა თურქეთის შემადგენლობაში შემავალ ყარსის ოლქზე. ანალოგიური წერი-

თა კავშირის შემადგენლობაში ტაო-კლარჯეთის და ლაზეთის ტერიტორიის გადასვლის საკითხი ჯერ რეალურად არ იდგა, საბჭოთა საქართველოსა და საბჭოთა სომხეთს შორის უთანხმოება კარგის მიმანიშნებელი არ იყო.

ბერლინის (პოტსდამის) კონფერენციას, სამწუხაროდ, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის თურქეთისათვის ჩამორთმევის საკითხი არ გადაუწყვეტია. კონფერენციამ მთელი ყურადღება ევროპაში საზღვრების დადგენას დაუთმო. მიუხედავად ამისა, იოსებ სტალინი

საკითხს დახურულად არ აღიარებდა, რაც სულ მალე ცხადი გახდა. როგორც ზემოთ აღნიშნე, 1945 წლის 14 დეკემბერს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა **სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის** წერილი „**თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეფენიების შესახებ**“. 15 დეკემბერს წერილის სრული რუსული თარგმანი გამოქვეყნდა გაზეთში „ზარია ვასტოვა“. სულ მალე, 1945 წლის 20 დეკემბერს სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის წერილი რუსულად დაიბეჭდა ცენტრალურ გაზეთებში: „პრავდა“ და „იზვესტია“, ხოლო 22 დეკემბერს – გაზეთში „პრავდა უკრაინი“. სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის წერილიდან რამდენიმე ამონარიდს მოვიტანთ:

1. „განმათავისუფლებელი ომის წარმატებით დამთავრების შემდეგ გამარჯვებული დემოკრატია ირაზმება, როგორც მშვიდობიანობისა და უშიშროების დასაყრდენი. ამ ორგანიზაციაში თავისუფლებისმოყვარე ხალხებს სურთ, დაიკავონ მათი შესაფერისი ადგილი, ისინი ეძიებენ თავიანთ სანუკვარ მისწრაფებათა განხორციელებას.

ქართველმა ხალხმაც, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფაშიზმის განადგურების საქმეში, უფლება მოიპოვა, წარადგინოს თავისი კანონიერი მოთხოვნები.

ჩვენ მივმართავთ მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს თურქეთის მიერ წარმეული ჩვენი ძველისძველი მინაწყლის შესახებ.

საქმე ეხება არა უმნიშვნელო ტერიტორიულ შევიწროებას, არამედ ჩვენი ხალხის ინდივიდუალობის აკვანს, ჩვენგან მიტაცებულს, დანაშაულს, რომელმაც ორად გაჰკვეთა ცოცხალი ეროვნული სხეული.

საქმე ეხება ქართველი ხალხის საუკუნეობრივი ბრძოლის საგანს – ჩვენი ძველისძველი მინაწყლის დაბრუნებას.

ქართველი ხალხი ძველთაგანვე

ცხოვრობდა, შრომობდა და იბრძოდა თავის ამ მკვიდრ ტერიტორიაზე – დიდი ტავრიდან მოკიდებული დიდ კავკასიამდე. ჰქმნიდა რა თავისი ცივილიზაციისა და სახელმწიფოებრიობის ახალ-ახალ ცენტრებს, ქართველმა ხალხმა ცხადჰყო სიცოცხლისა და შემოქმედების იშვიათი უნარი, მშობლიური მინაწყლის მტკიცე სიყვარული, ურყევი ნებისყოფა – დაეცვა ის, რაც მას ეკუთვნის.

ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულში ხეთები და სუბარები, ქართველი ხალხის უშუალო წინაპრები, პირველობენ წინა აზიაში. იმ მდინარის დიდ უბემი, რომელიც მთელი ძველი მსოფლიოსათვის ცნობილია თავისი ქართული სახელწოდებით – ღალისი (ახლა – ყიზილ-ირმაკი), მდინარეების – ტიგროსისა და ევფრატის აუზების ზემო ნანილში ისინი ჰქმნიან სამინათმოქმედო და მეტალურგიული კულტურის დიდებულ კერებს“.

2. „ოცდაათი საუკუნე ებრძოდა ქართველი ხალხი თავისი საკუთრებისა და თავისი პოზიციების დასაცავად მტრულ ძალებს, რომლებიც ცდილობდნენ, განედენათ იგი მსოფლიო-ისტორიული ასპარეზიდან, მაგრამ ქართველ ხალხს არასოდეს არ დაუკარგავს ეროვნული თვითშეგნება და ურლვევი კავშირი თავის დიად წარსულთან, უარი არ უთქვამს თავის წმიდათა-წმიდა უფლებებზე. ჭარბი ძალების მოწოლით გამოწვეული უკანდახევა დროებით აღმოჩნდებოდა ხოლმე. ქართველი ხალხი კვლავ იკრებდა ძალებს და იერიში მიჰქონდა მტერზე, ანადგურებდა დამსყრობლებს და იბრუნდა თავის მინაწყალს“.

3. „შუა საუკუნეებში საქართველოს პოლიტიკური და კულტურული გაერთიანების ბირთვად იქცა ქართლი, იბერიის ძირითადი ნანილი. ამ მხრივ დიდი ღვაწლი მიუძღვის აღმოსავლეთ საქართველოს სახელგანთქმულ მეფეს, ვახ-

ტანგ გორგასალს (გარდაიცვალა 502 წელს), მაგრამ მისი ცდები გააქარნებულა სპარსელთა გაბატონებამ VI საუკუნეში. საქართველოს სახელმწიფობრიობის აღორძინება, უკვე ფეოდალურ საფუძველზე (VI საუკუნის დამლევს) და მისი პირველი წარმატებანი მდინარე მტკვრის ხეობაში შეაფერხა არაბთა მიერ დაპყრობამ. დამპყრობთადმი წინააღმდეგობის გაწევისა და ეროვნულ ძალთა ორგანიზაციის მთავარი ცენტრი სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე გადავიდა.

საყურადღებოა, რომ სწორედ სამხრეთ საქართველოს პროვინციის, სპერის (ამჟამად ისპირი) მფლობელებმა, ბაგრატიონებმა, რომელთა საკუთარი მამული მდინარე ჭოროხის ზემო წელში, ქალაქ ბაიბურთის რაიონში იყო, საფუძველი დაუდვეს საერთო ეროვნულ დინასტიას, X საუკუნის დამლევს მთელი საქართველო რომ გაერთიანა, მაგრამ ჯერ კიდევ გაერთიანებამდე ბაგრატიონებმა, რომლებიც საქართველოს მხოლოდ ერთი ნაწილის – ტაო-კლარჯეთის მთავრები იყვნენ, ბრძოლით დაიბრუნეს სამხრეთ საქართველოს მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი. მაგალითად, მეფე დავით III-მ 979 წელს აიძულა ბიზანტიის იმპერატორი ბასილი, დაეთმო საქართველოს-თვის წინათ წარმომეული მისი ოლქები: კარინი (ქალაქ არზრუმის ოლქი), პარქი და აპაჭუნიქი (იმ დროს უკვე სომხებით დასახლებული, ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთით), უმნიშვნელოვანესი ციხე-სიმაგრე ხალდოი – არიქი (რაც ნიშნავს ხალდთა სოფელს) და კლისური (ზეკარი) არზრუმიდან ტრაპეზუნტს მიმავალ მაგისტრალურ გზაზე, ჩორმაირი მდინარე ჭოროხის ზემო წელში და სხვ. ოთხმოციან წლებში დავითმა საზღვრები გააფართოვა უფრო შორს, სამხრეთ-დასავლეთით, დაიბრუნა ოლქები: დერჯანი (ამჟამად ტერჯანი) და ტარონი, ხოლო 997 წელს მან აიღო ქა-

ლაქი მანასკერტი (მელიაზგერდი).

ამრიგად, საქართველოს სამხრეთი საზღვრის ხაზი გადაჭიმულ იქნა ვანის ტბიდან ქალაქ ერზინჯანამდე.

სამხრეთ საქართველოს სამთავროებში IX-X საუკუნეებში ბრწყინვალედ გაიფურჩქნა ქართული კულტურა, რომელსაც მტკვრის ხეობაში არაბები ავინროებდნენ. ჭოროხის აუზის მთელ ტერიტორიაზე, მტკვრისა და ევფრატის ზემო წელში აგებულ იქნა მონუმენტური შენობები, თავისთავადი ქართული არქიტექტურის ბრწყინვალე ძეგლები – ბანა (ოლთისის, ამჟამად ოლთის რაიონში), ხახული (თორთუმის ახლოს), ოშკი (იქვე), იშხანი, წყაროს-თავი, ტბეთი, ხანძთა, ანჩა თავისი 12 სავანით („ქართული სინა“), ოპიზა, დოლის-ყანა, შატბერდი, ფანასკერტი და სხვ.

ტაო-კლარჯეთში შესანიშნავად განვითარდა ქართული სალიტერატურო ენა, რომლის წარმომადგენლები არიან ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები, როგორიცაა გიორგი მერჩული, მიქაელ მოდრეკილი (ჰიმნოგრაფი და კომპოზიტორი), იოანე და ექვთიმე მთაწმინდელები და სხვ. სწორედ აქ მიიღო დამთავრებული ფორმა ფეოდალური ეპოქის საქართველოს ერთიანობის შეგნებამ“.

4. „XV საუკუნეში თურქები უშუალოდ მოადგნენ საქართველოს. ამ დროისათვის საქართველო, გარეშე და საშინაო არახელსაყრელი პირობების შედეგად, მთელ რიგ ცალკეულ ფეოდალურ სამეფოებსა და სამთავროებს წარმოადგნდა, მაგრამ ამ მდგომარეობაშიც სამხრეთ-საქართველოს სამთავრო სამცხე, რომლის სამფლობელო ჯერ კიდევ ვრცელდებოდა ერზინჯანამდე და ტრაპეზუნტის მისადგომებამდე, გმირულად იგერიებს შემომტევ მოსისხლე მტერს. კიდევ მეტიც: იმ საფრთხის სწორი შეგნება, რაც მთელ კულტურულ სამყაროს დაემუქრა, ჰემნის ერთიან საგარეო-პოლიტიკურ ხაზს ქართველი მეფეებისა და მთავრე-

ბისას, რომელიც ორჯერ შეეცადნენ, მოეწყოთ ოსმალო თურქთა წინააღმდეგ ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოთა ფართო კოალიცია. ამ ცდის მარცხით დამთავრებას არ შეუსუსტებია ქართველთა ენერგია: ქართლის, იმერეთის და სამხრეთ საქართველოს შეერთებული ძალებით მათ არაერთხელ აგემეს დამპყრობლებს მწარე გაკვეთილი. მაგალითად, 1545 წელს ქართველებმა ბრნინვალე გამარჯვება მოიპოვეს თურქების შემოსულ დიდ ლაშქარზე ბასიანში (არზრუმის ახლოს).

თურქებს, რომლებმაც ამ დროისთვის დაიპყრეს ახლო აღმოსავლეთის დიდი ნაწილი და ბალკანეთის ნახევარკუნძული, განზრახვა ჰქონდათ, დაეყროთ მთელი საქართველო, მაგრამ ქართველი ხალხი უმაგალითო გამძაფრებით უწევდა წინააღმდეგობას მათს ამ განზრახვას. საქართველოს ცენტრალური და დასავლეთი რაიონებიდან განდევნილმა თურქებმა მაინც შესძლეს გამაგრება სამხრეთ საქართველოში, რომელიც მოსწყვიტეს დედა-სამშობლოს“.

5. „საქართველოს ბევრი დამპყრობი უნახავს. თურქებმა სამართლიანად დაიმსახურეს მათ შორის უარესთა სახელი. მხოლოდ სიკვდილი, აოხრება და გაველურება მიჰქონდათ მათ ყველგან, სადაც კი ისინი გაჩნდებოდნენ. მათ მიერ დაპყრობილ ქართულ ოლქებში განვითარებული მატერიალური კულტურა რამდენიმე საფეხურით ჩამოქვეითდა. ქალაქთა ცხოვრება მთლიანად ჩაკვდა იქ, სადაც იგი წინათ სდულდა და გადმოდიოდა. გაპერა ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო კულტურები – მეღვინეობა, მეაბრეშუმეობა. მოსახლეობა გაღატაკდა. მხეცურად, არაადამიანურად სდევნიდნენ ქართველი ხალხის წმიდათა-წმიდას – მის ენას, მის კანონებსა და ტრადიციებს, მამა-პაპათა კულტურასა და სარწმუნოებას. ცეც-

ხლითა და მახვილით ავრცელებდნენ თურქულ ენასა და ისლამს“.

6. „ქართველ ხალხს უნდა დაუბრუნდეს თავისი მიწა-წყალი, რომელზეც არასოდეს უთქვამს უარი და ვერც იტყვის. ჩვენ მხედველობაში გვაქვს არტა-ანის (არდაგანის), ართვინის, ოლთისის, თორთუმის, ისპირის, ბაიბურთის, გიუმუშხანეს რაიონები და აღმოსავლეთი ლაზისტანი, ტრაბზონისა და გირესუნის რაიონების ჩათვლით, ე. ი. საქართველოსათვის წართმეული ტერიტორიების მხოლოდ ნაწილი“.

სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის წერილის გამოქვეყნების დროისათვის საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობა უაღრესად დაძაბული იყო. თურქეთის მთავრობა, ქვეყნის მთელი პოლიტიკური სპექტრი, პატ-რიოტულად განწყობილი მოსახლეობა მტკიცეულად აღიქვამდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ტერიტორიულ პრეტენზიებს თურქეთისადმი. თურქეთში საპროტესტო გამოსვლები დაიწყო. განსაკუთრებით აქტიურობდა სტუდენტობა. საბჭოთა მთავრობა მიიჩნევდა, რომ ეს გამოსვლები თურქეთის ხელისუფლების მიერ იყო ორგანიზებული. საბჭოთა ცენტრალური პრესა გამოსვლების მონაწილეებს ფაშისტებს ადარებდა.

საქართველოს პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ, ცხადია, მოსკოვის მითითების თანახმად, დაიწყო საზოგადოებრივი აზრის დამუშავება. გამოქვეყნდა გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა გამოხმაურებები სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის წერილზე. კერძოდ, გამოხმაურებები გამოაქვეყნეს (ჩამოვთვლი ქრონილოგიური თანმიმდევრობით): პროფესორმა არნოლდ ჩიქობავამ, ამიერკავკასიის მუსლიმთა სასულიერო სამმართველოს წევრმა, აჭარის ყადმა, რასის სულეიმანის ძე ბერიძემ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატე

**ცინცაძემ**, პროფესორმა სერგი ჯიქიამ, პროფესორმა დ. ზავრიევმა, პროფესორებმა: ნადიმ ნიუარაძემ, ჯემალ ნოლაიდელმა, მემედ სტამბოლიშვილმა და ხუსეინ ახვლედიანმა, პროფესორმა ექვთიმე თაყაიშვილმა. აკადემიკოსმა ალექსანდრე ჯავახიშვილმა საგანგებოდ დაწერა ნარკვევი „სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ვახუშტი ბაგრატიონის აღნერილობით“, რომელიც იმ-ხანად არ გამოქვეყნებულა.

1946 წლის 29 იანვარს გაზიეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა სერგი ჯიქიას წერილი „თურქების მიერ მიტაცებული ქართველთა მკვიდრი მინა-წყლის შესახებ“. წერილიდან რამდენიმე ამონა-რიდს მოვიტანთ:

1. „თურქთა მომთაბარე ტომი, ისტორიაში ცნობილი ოსმალო თურქთა სახელწოდებით, აღმოსავლეთიდან მოვიდა და შესცვალა სელჯუკი თურქები, რომელიც თავის მხრივ პირველად XI საუკუნეში გამოჩნდნენ მცირე აზიაში. ეს ტომი საქართველოში შემოჭრას იწყებს XV საუკუნიდან.

საქართველოს მაშინ კიდევ ვერ მოესწრო, წელში გამართულიყო მონღოლების გამანადგურებელ შემოსევათა შემდეგ და დასუსტებული იყო შინაგანი პოლიტიკური არეულობის გამო. ამიტომ ხანგრძლივი და სისხლიმღვრელი ომების შედეგად ოსმალო თურქებმა შესძლეს თავიანთი ჭარბი ძალებით XVI საუკუნის მეორე ნახევარში ხელში ჩაეგდოთ სამხრეთი საქართველო და იქ დაპყრობილი ქვეყნის მმართველობის მკაცრი რეჟიმი დაამყარეს.

საქართველოს ამ ნაწილის ხელში ჩაგდების მომენტიდან თურქები შეუდგნენ ქართველთა მთელი ეროვნული ყოფის მეთოდურად აღმოფხვრას, მოსახლეობის გათურქებისა და ქრისტიანული კულტურის მოწინავე ქვეყანაში ისლამის რელიგიის ძალდატანებით დანერგვის გზით. თურქები ნახევრადველურ მომთაბარეთა მორალით ხელ-

მძღვანელობდნენ და თავიანთ განზრახვათა განსახორციელებლად არავითარ საშუალებას არ ერიდებოდნენ. თუ რამდენად მკაცრი იყო ეს ღონისძიებანი, ამაზე შეგვიძლია წარმოდგენა ვიქინიოთ იმის მიხედვით, რომ საქართველოს დაპყრობილი ოლქების მრავალი მცხოვრებნი, მშობლიურ წრეს მოწყვეტილნი, მასობრივად გარბოდნენ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში, რათა „თავი ეხსნათ თურქების მიერ ფანატიკური დევნისაგან“ (დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, გვ. 119) და შეძლებისდაგვარად გადაერჩინათ თავიანთი კულტურის ძეგლები (ხელნაწერები, ხელოვნების საგნები და სხვ.). ცნობილია, მაგალითად, რომ სამცხის ზარზმის მონასტრიდან პატრიოტთა ჯგუფმა თავისი მშობლიური მხარე მიატოვა, თან წაილო ეროვნული კულტურის ძეგლები და თავშესაფარი ჰპოვა გურიაში, შემოქმედის მონასტერში“ (დ. ბაქრაძე, იქვე).

2. „ვფიქრობ, აქ უადგილო არ იქნება, ცოტა რამ ვთქვათ ლაზთა ტერიტორიული გავრცელების შესახებ. ეჭვს გარეშეა, რომ ლაზთა ქართველური ტომის ქვეყანა ვრცელდებოდა შავი ზღვის სანაპიროს გაყოლებით, სამსუნის ვილაიეთამდე ჩათვლით. ამის შესახებ ინგლისელი კონსულის, ჯიფორდ პალგრევის ანგარიში, რაც მოყვანილია აკადემიკოს ს. ჯანაშიას და აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის სტატიაში (იხ. გაზეთი „კომუნისტი“, 1945 წ. 14 დეკემბერი) სხვა ფაქტითაც დასტურდება. საქმე ის არის, რომ მსოფლიო სპეციალურ ლიტერატურაში შავი ზღვის სანაპიროს ყველა თურქული დიალექტი, მათ შორის სამსუნის ვილაიეთის დიალექტებიც, უსაფუძვლოდ როდია ცნობილი „ლაზურ-თურქულის“ სახელწოდებით (გერმანულად – Lazisch – Türkisch, იხ. მაგალითად, პოლონელ პროფესორ ტადეუშ კოვალსკის სამიმოხილვო სტატია

Enzuklopädie des islam-ის IV ტომში, გვ. 996 და სხვ). ცხადია, რომ ანატოლი-ის ამ ნაწილში გაბატონებული ლაზური ენობრივი სუბსტრატი, ფრიად ქმედითი ფაქტორი იყო, რაც სპეციფიკურ ლაზურ ელფერს აძლევდა ლაზთა ამ ტერიტორიაზე ძალდატანებით გავრცელებულ თურქულ ენას.

ეს გარემოება მოწმობს არა მარტო ლაზთა ტერიტორიულ გავრცელებას აღნიშნულ ფარგლებამდე, არამედ ლაზებისა და საერთოდ ქართველთა ტომების კულტურულ უპირატესობასაც დამპყრობ თურქებთან შედარებით.

და მართლაც, ოსმალო თურქები, რომლებიც აღმოსავლეთიდან დასავლეთში შემოიჭრნენ, ოსმალთა სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერიოდისათვის მომთაბარე ტომების ტიპიური წარმომადგენლები იყვნენ. მცირე აზიისა და კავკასიის ცივილიზებულ სახელმწიფოებს რომ შეეჯახნენ, ისინი ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდნენ მაღალი კულტურის მქონე ხალხებს. თურქებმა ჯერ ბიზანტია დაამარცხეს და შემდეგ ხელი მიჰყვეს საქართველოს, ჩამოაშორეს იგი ევროპას და გაბატონდნენ მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. დაპყრობილ ქართველთა ტომებს თურქებმა შემდგომი განვითარების გზა დაუხშეს და ფეხი მოიკიდეს ანატოლიაში, მაგრამ ამავე დროს არ შეიძლებოდა, რომ მათ არ განეცადათ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მატერიალური და სულიერი კულტურის კეთილმყოფელი გავლენა. ამ მდგომარეობის დამახასიათებელ ფაქტებს არაერთხელ მიუპყრიათ ყურადღება სპეციალურ ლიტერატურაში. ცნობილია, მაგალითად, რომ სოფლის მეურნეობის დარგში ქართველებმა, მათ შორის ლაზებმაც, რომლებსაც იმ დროისათვის მაღალი სამინატომარქებო კულტურა ჰქონდათ, აღმოსავლეთ ანატოლიაში გაავრცელეს, როგორც გარკვეული სასოფლო-სამეურნეო კულტურები, ისე მიწის დამუ-

შავების გაუმჯობესებული მეთოდები. უეჭველია, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის ერთ-ერთი უმთავრესი სასოფლო-სამეურნეო კულტურა – სიმინდი – ანატოლიის ამ ნაწილის თურქებმა ლაზებისაგან გადაიღეს. ამაზე მიუთითებს სიმინდის თურქული სახელწოდება – „ლაზოთი, ლაზუთი“, რაც ნიშნავს „ლაზურ მცენარეს“.

3. „თურქების მიერ უსამართლოდ მიტაცებული სამცხის მხარე საქართველოსათვის იყო არა „განაპირია მხარე, არა პერიფერია, არამედ ცენტრი“ ქართული კულტურისა. ამ კულტურის შემოქმედნი, რომელთა სახელებთანაც დაკავშირებულია ხალხური და ფილოსოფიური შემოქმედების შედევრები, სამხრეთ საქართველოდან წარმოსდგებოდნენ. აქვე იქმნებოდა ქართული ეროვნული ხუროთმოძღვრების ცნობილი შესანიშნავი ძეგლები, რომლებიც მოსულ დამპყრობთა მიერ მოსპობის, დანგრევისა და აბუჩად აგდების საგანი გახდნენ. აკადემიკოსი ნ. ი. მარი, რომელიც ამ მხარეებში 1904 წელს მოგზაურობდა, ყველგან ხედავდა მატერიალური კულტურის ქართული ძეგლების „ულმობლად გაძარცულ კედლებს“; ეკლესიები გადაკეთებული იყო მეჩეთებად. „მუედინის ძახილი ბერთის საყდართან, ამბობს აკადემიკოსი ნ. მარი, ახლა მე იმდენად სევდის მომგვრელი არ მეჩვენება, რამდენადაც დაბისა და ჯმერქის ეკლესიების, სამონასტრო ტაძრების ახლანდელი უბადრუკი მდგომარეობა“ („მოგზაურობის დღიური“, გვ. 182). ისტორიის უკუმართობაზე, თურქთა ძალადობაზე აკადემიკოსი ნ. ი. მარი „მოგზაურობის დღიურში“ ამბობს: „სევდის მომგვრელი იყო ოდესალაც ცოცხალი ქრისტიანობის ბურჯზე ისლამის გამარჯვებული ხმის მოსმენა... იმათი ღვიძლი შვილები, ვინც ქრისტიანობის ეს ძეგლები ააგო, მიისწრაფოდნენ მაღლა ტაძარში, რათა თავიანთი ლოცვა აღევლინათ

ისეთ ფორმებში, რაც უცხოა ბერთის მშენებელთათვის. სევდის მომგვრელი იყო ამის დანახვა, სევდის მომგვრელი იყო ამის მოსმენა” (გვ. 182).

სურათი ნათელია. უაღრესად განვი-თარებული კულტურისა და აყვავებუ-ლი ეკონომიური კეთილდღეობის ქვე-ყანა გაპარტახებულ იქნა და „დღემდე გაყინულია გაველურებაში“. ამ ქვეყნის ასეთი სავალალო მდგომარეობა (მისი დაპყრობის შედეგად) მკაფიოდ დაახა-სიათა მისმა საუკეთესო მცოდნემ, აკა-დემიკოსმა მარმა: „მალე (ქართველები-საგან მოწყვეტის შემდეგ) ამ მხარეში ჩაიფერფლა და ჩაქრა ყოფილი ცხოვ-რების უკანასკნელი შუქი და ახალი შუქი აღარ ამობრნყინებულა. მხარის კულტურული ცხოვრება ჩაკვდა. ადა-მიანი მოკვდა“ (ნ. მარი, ბათუმი-არტა-ანი-ყარსი, გვ. 47).

4. „მაგრამ თურქთა ტყვეობაში მყოფ ქართულ მოსახლეობაში მუდამ იყვნენ პატრიოტთა ცალკეული ჯგუფები, რო-მელთა გულშიც ლვიოდა ჩაუქრობელი სიყვარული სამშობლოსადმი. ეს პატ-რიოტები, ამა თუ იმ საშუალებით, თა-ობიდან თაობას გადასცემდნენ მშობ-ლიურ მეტყველებასა და მშობლიურ დამწერლობას. ერთეული როდი იყო იმის შემთხვევები, რომ ისმებოდა მი-ტაცებულ ტერიტორიებზე სკოლებში მშობლიური ენის შესწავლის შემოღე-ბის საკითხი, მაგრამ ასეთ ცდებს სულ-თნის მთავრობა ყოველთვის ახშობდა. ცნობილია, თუ რა ბედი ენია ლაზს ფაიკეფენდის, რომელმაც სცადა „გა-მოეგონებინა ჭანური (ლაზური) ანბა-ნი: იგი გადაასახლეს და საპყრობილები ჩასვეს, მისი სახლი გაჩერიკეს და მთე-ლი მისი ნაშრომები და წიგნები დას-წვეს“ (ნ. მარი, მოგზაურობიდან, გვ. 626). მშობლიურ ენაზე დაპრუნების ასეთსავე ცდებს ეკუთვნის სტამბოლში ქართული ენის სახელმძღვანელოს გა-მოცემის ცდა. თურქეთის ქართველთა ჯგუფის ინიციატივით, ჩვენი საუკუნის

20-იან წლებში, ბავშვებისათვის ქარ-თული ენის სასწავლებლად ქართველ კათოლიკეთა კოლონიამ სტამბოლ-ში სახელმძღვანელო გამოსცა, მაგრამ საქმე იმით დამთავრდა, რომ მთავრო-ბამ ძირშივე აღვეთა ეს ლონისძიება, რომელიც მიმართული იყო ქართული ეროვნული თვითშეგნების გაღვიძები-საკენ.

თურქეთის ქართველთა სიყვარულს სამშობლოსადმი შემდეგი ფაქტიც მონ-მობს: სტამბოლში შევხვდი ერთ შუახ-ნის ქართველ მაჟმადიანს, რომელიც ცენტრალურ ანატოლიაში ცხოვრობდა და საქართველოში არასოდეს არ ყო-ფილა. მას თავისი მამისაგან ესწავლა ქართული კითხვა და მოეხერხებინა რამდენიმე ქართული წიგნის წაკითხვა. მას აინტერესებდა საქართველო და მი-სი ისტორია და დიდი სურვილი ჰქონ-და, საქართველოში ნამოსულიყო. მე სავსებით დავრწმუნდი მისი სურვილის გულწრფელობაში, როდესაც მან ჯი-ბიდან ამოილო ქართული წიგნი, აკაკი წერეთლის „რჩეული ლექსები“. რამდე-ნიმე ლექსი მას ზეპირად დაესწავლა.

დღეს, როდესაც დემოკრატიამ უდი-დესი გამარჯვება მოიპოვა ფაშიზმზე, რომელიც ხალხთა მონობასა და ჩაგ-ვრას ქადაგებდა, – საქართველოს, ჩვე-ნის აზრით, იმდენად ის კი არ სჭირდე-ბა, რომ დაამტკიცოს თავისი შეურყე-ველი უფლებები სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მშობლიურ, მიტაცებულ მიწა-წყალზე, რამდენადაც ის, რომ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის წინაშე აღიმაღლოს ხმა თავის სამართლიან პრეტენზიებზე თურქეთის მიმართ.

ამ პრეტენზიათა სამართლიანობა კარგად ცნობილია ობიექტურად მოაზ-როვნე კულტურული სამყაროსათვის, ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხი-სათვის და ყველაზე უკეთესად თვით თურქებისათვის, რომლებიც ასე უსა-ხელოდ გამოვიდნენ დემოკრატიული

ქვეყნების დიდი ომიდან კულტურისა და პუმანიზმის მტრების წინააღმდეგ. საქართველოს მინა-წყლის დაპყრობა არც იმდენად შორეულ წარსულში მომხდარა. თურქებმა ან მოსპეს, ან მშობლიური ადგილებიდან განდევნეს მთელი ხალხები, მაგრამ ქართველმა ხალხმა შესძლო, არათუ შეენარჩუნებინა თავისი ფიზიკური არსებობა და სახელმწიფო ბრიობა, არამედ კიდეც გაეგრძელებინა მრავალსაუკუნოვანი კულტურით დაგვირგვინებული ტრადიციები თავისი წინაპრებისა, რომლებიც დიდ შემოქმედებითს მუშაობას ეწეოდნენ სწორედ იმ პროვინციებში, ახლა რომ მოწყვეტილი არიან საქართველოს. საქართველო სისხლხორცეულად დაინტერესებულია ამ პროვინციების მიღებით და კიდევაც უნდა მიიღოს ისინი“.

1946 წლის 25-26 მაისს გაზეთ კომუნისტში გამოქვეყნდა ექვთიმე თაყაიშვილის ვრცელი წერილი „თურქების მიერ მიტაცებულ ჩვენს მინაზე“. წერილიდან რამდენიმე ამონარიდს მოვიტანთ:

1. „ჩემი თვალით მინახავს საქართველოსაგან მიტაცებული – ოსმალეთის ხელით ძალით მოგლეჯილი ეს მხარე. ჩემი თვალი გადამივლია იმ ძეგლებისათვის, რომლებითაც თამამად შეუძლია იამაყოს ჩვენმა ერმა. სამი ექსპედიცია მომიწყვია ამ მხარის შესასწავლად და თვითეული ექსპედიციის შედეგები მიკარნახებდა, შენი მშობელი ერისაა ეს მხარეო, მის ღვიძლ შვილთა ნაღვანევია აქ ყველაფერიო. ქართველი ერის შვილები არასდროს არ შერიგებიან თავისი ეჭვშეუტანელი დიადი კულტურის ერთი მთავარი კერის დაკარგვასა და მუდამ ელოდებოდნენ მისი დაბრუნების დროსა, სამართლიანობის გამარჯვებასა.

თვალწინ მიდგას ბუმბერაზი, საოცარი ბანა, რომლის შესწავლის შესაძლებლობა მომცა პირველმა ჩემმა ექსპედიციამ 1902 წელს და სხვა ძეგ-

ლები, ამავე დროს ჩემს მიერ ნანახი. თვალწინ მიდგას მრავალი თვალსაჩინო ძეგლი, კოლა-ოლთისში მობნეული, რომელთა შესწავლის შესაძლებლობა მომცა 1907 წელს მოწყობილმა მეორე ექსპედიციამ. არაჩვეულებრივ ძეგლებს შემახვედრა მესამე ექსპედიციამ 1917 წელს. მომეცა საშუალება, შემესწავლა: იშხანი, ოშკი, ხახული, ექექი, პარხალო, ოთხთა ეკლესია და ყველა ჩამოთვლილის გვერდში ამომდგარი სხვა ძეგლები, მიმობნეული ტაო-თორთუმ-ისპირში, ჭოროხის ხეობაში.

ბანა, იშხანი, ოშკი, ხახული შექმნილია ცნობილი ქართველი მოლვანეების მესვეურობით. მათ რიგში მოსჩანან გრიგოლ ხანძთელი, მისი მოწაფე საბანი, გრიგოლ ოშკელი, ტაო-კლარჯეთის მფლობელი დიდი დავით კურაპალატი და სხვანი მისნი ნათესავნი. ძეგლები ბრწყინავენ თავისი სახოვნების ძნელად ასაწერი სილამაზით, ფრაგმენტებად გადარჩენილი კედლის მხატვრობით, ბარელიფებით, ჩუქურთმებით. ძეგლები ჰალალდებენ უმაღლეს წერტილამდე მიღწეულ ხელოვნებაზე. ეს ხელოვნება კი გვიჩვენებს ამ ძეგლების შემცველ ტერიტორიაზე მათი შემქმნელი ერის მრავალსაუკუნიან ცხოვრებას. ყველი შემსწავლელი ამ ძეგლებისა მხოლოდ ერთს დაასკვნის, რომ ისინი ქართული ძეგლებია, ქართული ხელოვნების ნაკვეთია და ხალხის ნარჩენებიც ამ ძეგლების ტერიტორიაზე ქართველის იცქირებიან.

უამთა უკულმართობის წყალობით, სადაც გამხდარი ჩვენი სამხრეთი მხარის ნაწილები, თურქი მფლობელების სიხარბით თურქეთზე მიკერებული რომ უდავოდ ჩვენია, ჩვენი ერის ღვიძლი შვილების სისხლითა და ოფლითაა მორწყული, ამის დასასაბუთებლად უნდა მივცე ჩემს თავს ნება და მოკლედ მაინც გაგაცნოთ, თუ ყველა არა, ნაწილი მაინც ჩვენი ძეგლებისა, რომელთა წარწერები მრავალი საუკუნის სიღრმი-

დან მხოლოდ ქართულით პლატაფებენ და არა სხვა რომელიმე ენით და მოგვითხრობენ მხოლოდ ქართველთა ღვაწლზე“.

2. „საქართველოსაგან ჩამოკვეთილ-სა და თურქეთის მოძალადე მფლობელების მიერ თურქეთის საზღვრებში ძალით მოქცეულს მინა-წყალს შეადგენს ყოფილი არტაანის (არდაგანის) ოლქი მთლიანად, ესე იგი ზემოწელი მტკვრის ხეობისა და ზემოწელი ფოცხოვის ხეობისა, მთლიანად ყოფილი ოლთისის ოლქი და საზოგადოდ მდინარე ჭოროხის მთელი ხეობა, აჭარის გამოკლებით. სამმა ჩემმა ექსპედიციამ ამ მხარეში მაჩვენა ქართული ხუროთმოძღვრების აუარებელი ნაშთები ეკლესიების სახით.

როგორც ყველგან საქართველოში, ისე აქაც, გავრცელებულია ჩვეულებრივი ოთვუთხედი ეკლესიები, მომრგვალო საკურთხევლით, ანუ აბსიდით აღმოსავლეთ მხარეზე. ამ ნაგებობათა საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ: არტაანის ოლქი – ეკლესიები ვაშლობისა, ჩაისისა, ჩომარდოსა, ამპურისა, კოპისა და სანსუთისა და ოლთისის ოლქში – ეკლესიები სოფლებისა: კერლუხისა, სეხჩერისა, ჯიჯორისა, უკიამისა, ზარდანესისა, ტახტაკვრანისა, კოპისა, პერნიავისა და ოთხთა ეკლესია კოლაში. სიმრავლე ასეთი ეკლესიებისა მოგვითხრობს, თუ როგორ მჭიდროდ იყო დასახლებული მხარე.

ამ მხარეში მრავლადვე მობნეული ციხეების საშუალებით ქართველი მოსახლეობა რამდენიმე საუკუნის მანძილზე მედგარ წინააღმდეგობას უწევდა ადრე – სხვა შემოსეულ მტრებსა და შემდეგ – მოზღვავებულს თურქთა ლაშქრებს, რომელთა ძალას ვერ გაუმაგრდა ბიზანტიის იმპერია და დაეცა, ხოლო ევროპის სხვა სახელმწიფოები მას შიშის თვალით უცქეროდნენ“.

3. „თურქეთის საზღვრებში მოქცეულია საქართველოს ტერიტორიის სამ-

ხრეთი მხარე, ჩემს მიერ და სხვა მეცნიერთაგან დავლილი და ჭანეთ-ლაზეთი, რომელიც, მე არა, მაგრამ სხვა ჩვენ მეცნიერთ დაუვლიათ, შუსწავლიათ ისტორიულად, ეთნოგრაფიულად, რასიულად და კულტურულად, საქართველოს განუყოფელი ნაწილია და მისი შვილების შრომით, ოფლითა და კულტურული უნარით იყო აყვავებული. საქართველოს აღნიშნული ნაკვეთის უხეში ძალით ჩამოშორებას ქართველი ერი არასოდეს არ შეჰრიგებია და არც შეურიგდება.

ახლა, როდესაც საბჭოთა კავშირინგლის-ამერიკის კოალიციამ ფაშისტური გერმანია და იმპერიალისტური იაპონია დაამარცხა და მთელი ევროპა იხსნა მონობისაგან, დადგა ჟამი მრავალი ისტორიული უსამართლობის გამოსწორებისა. რეაქციის შეიარაღებული ძალების განადგურებაში მთავარი როლი საბჭოთა ქვეყნის წითელმა არმიამ და მისმა შემქმნელმა და ხელმძღვანელმა გენიოსმა, დიდმა სტალინმა შეასრულეს. ქართველმა ერმა, საბჭოთა კავშირის სხვა ერებთან ერთად, დიდი მსხვერპლი გაიღო ამ ომში, ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ჩვენს გამარჯვებაში. მისი კანონიერი მოთხოვნები თურქეთის მიმართ უნდა დაკმაყოფილდეს“.

1946 წლის 25 თებერვალს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კანდიდ ჩარკვიანი მოხსენებით გამოვიდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავთან დაკავშირებით. მოხსენების ტექსტი დაიბეჭდა გაზეთ „პრავდაში“. გაზეთ „პრავდაში“ საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური ლიდერის, კანდიდ ჩარკვიანის იმ მოხსენების დაბეჭდვა, რომელშიც ყოველგვარი შეფარვის გარეშე იყო საუბარი თურქეთის მიერ მიტაცებულ ქართულ ტერიტორიებზე, იმის მანიშნებელი იყო, რომ საბჭოთა

კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ბერლინის (პოტსდამის) კონფერენციის შემდეგაც იმავე აზრის იყო – თურქეთისადმი ტერიტორიულ პრეტენზიებს დღის წესრიგიდან არ ხსნიდა. ცხადია, კანდიდ ჩარკვიანის მოხსენებაში, არც მასალის და არც შეფასებების მხრივ, სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის წერილიდან განსხვავებული არაფერია. კანდიდ ჩარკვიანის მოხსენება პოლიტიკური დოკუმენტი იყო და იგი საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის პოზიციას გამოხატავდა.

აკადემიკოს სიმონ ჭავანაშვილისა და  
აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის წე-

ნისტროს თანამშრომლებმა – ი. ნატ-  
როშვილმა და ბ. ლორთქიფანიძემ და-  
ასრულეს აკადემიკოს სიმონ ჯანაშიასა  
და აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის  
წერილზე უცხოეთში გამოქვეყნებული  
გამოხმაურებების მიმოხილვა. დოკუ-  
მენტში აღნიშნულია, რომ სიმონ ჯანა-  
შიასა და ნიკო ბერძენიშვილის წერილს  
დიდი პროტესტით შეხვდნენ თურქეთ-  
ში. აღმოჩენილია უკიდურეს ზღვარს მი-  
აღწია. იმავე დოკუმენტიდან ირკვევა,  
რომ სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძე-  
ნიშვილის წერილს ძალზე უარყოფითი  
გამოხმაურებები მოჰყვა დიდი ბრიტა-  
ნეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებ-  
ში, საფრანგეთში, კანადაში, ეგვიპტე-



რილს – „თურქეთისადმი ჩეგნი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“, უნმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატეს (ცინცაძე) გამოხმაურებას, ასევე ქართველი მეცნიერების (ექვთიმე თაყაიშვილის, სერგი ჯიქიას, არნოლდ ჩიქობავას და სხვ.) წერილებს დიდი საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა. ქართველ მეცნიერთა წერილებს განსაკუთრებული აღმფოთთებით თურქეთში შევდნენ. 1946 წლის 28 ივლისს საქართველოს საგარეო საქმეთა სამი-

ში, ინდოეთში, დანიაში, ბრაზილიაში,  
შვეიცარიაში, ინგლისში.

იოსებ სტალინი რომ თურქეთისადმი  
ადრე წაყენებულ ტერიტორიულ პრე-  
ტენზიებზე უარის თქმას არ აპირებდა,  
ეს კარგად ჩანს საბჭოთა კავშირის სა-  
გარეო საქმეთა სამინისტროს ვრცელ  
განცხადებაში, რომელიც 1946 წლის  
28 სექტემბერს გაზირ „პრავდაში“ გა-  
მოქვეყნდა. ამერიკელი ისტორიკოსი  
ედუარდ მარკი ამტკიცებს, რომ საბჭო-  
თა კავშირ-თურქეთის ურთიერთობამ  
1946 წლის აგვისტოში ისეთ კრიტიკულ


ზღვარს მიაღწია, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სერიოზულად დაიწყო მზადება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ატომური ომისათვის. საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ იგრძნო შექმნილი საფრთხე და უკან დაიხია. ვიაჩესლავ მოლოტოვი მოგვიანებით აცხადებადა: „კიდევ კარგი, რომ უკან დროზე დავიხიერ“.

1946 წლის აგვისტოდან საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა არცერთ ოფიციალურ დოკუმენტში ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის საკითხს აღარ აყენებდა. იოსებ სტალინი ანგარიშს უწევდა არა მარტო ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების მთავრობათა პოზიციას, არამედ მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს, რომელიც აშკარად თურქეთის მხარეს აღმოჩნდა. გარდა ამისა, თურქეთის შემადგენლობიდან საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის გადასვლის საკითხთან შედარებით, საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობისათვის გაცილებით მნიშვნელოვანი იყო სხვა საკითხები, თუნდაც ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების რეჟიმის შეცვლის საკითხი. იოსებ სტალინმა შექმნილ ვითარებაში უკან დაიხია და თურქეთს მხოლოდ ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების მომავალ რეჟიმთან დაკავშირებით უყენებდა პრეტეზიებს. ასე რომ, 1945-1946 წლებში შექმნილ ვითა-

რებაში ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის თურქეთის შემადგენლობიდან საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში გადასვლა, იოსებ სტალინის სურვილის მიუხედავად, არარეალური იყო. საბჭოთა კავშირის გეოსტრატეგიული ინტერესები, უპირველეს ყოვლისა, სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრას ითვალისწინებდა.

საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობა 1946 წლის შემდეგ წინააღმდეგობრივად ვითარდებოდა. იოსებ სტალინი რეალობას შეეგუა – ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის დაბრუნებაზე ხელი აიღო, თუმცა თურქეთთან ურთიერთობის მოგვარებას არ ჩქარობდა. მისი გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა კავშირის ახალმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის დაძაბული ურთიერთობის მოგვარების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. 1953 წლის 30 მაისს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საგანგებო ნოტით თურქეთის მთავრობას აცნობა, რომ საბჭოთა მთავრობა უარს ამბობდა თურქეთისადმი ადრე წაყენებულ ტერიტორიულ პრეტეზიებზე. ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთისათვის დაძაბული ბრძოლა უშედეგოდ დამთავრდა.

დიდ სახელმწიფოთა ნებით, უსამართლობა უსამართლობადვე დარჩა. ქართველი ერის ინტერესები დიდ პოლიტიკას ეწირებოდა.



## ერნესტ ჭემინგუეი

### ბედნიერების ძიებაში

ერნესტ ჭემინგუეის შვილიშვილი, შონ ჭემინგუეი, უურნალ „ნიუ იორკერის“ კორესპონდენტს, დებორა ტრეისმენს ესაუბრება მწერლის არქივში აღმოჩენილი გამოუქვეყნებელი მოთხრობის შესახებ  
„ნიუ იორკერი“, 01.06.2020

**დ.ტ. – ამ კვირის ნომერში დაბეჭდილი მოთხრობა „ბედნიერების ძიებაში“, ერნესტ ჭემინგუეის „მოხუცი და ზღვის“ ახალ გამოცემაში უნდა შევიდეს, რომელიც სკრიპნერის მიერ მიმდინარე წელს, მოგვიანებით დაიბეჭდება. შეგიძლიათ აგვიხსნათ, რატომ იყო ის აქამდე გამოუქვეყნებელი და როგორ აღმოაჩინეთ ან ხელმეორედ აღმოაჩინეთ?**

**შ.პ. –** ეს მოთხრობა ერნესტ ჭემინგუეის იმ კრებულის ნაწილია, რომელიც ბოსტონის ჯონ ფიცჯერალდ კენედის ბიბლიოთეკასა და მუზეუმში ინახება და პაპაჩემის ხელნაწერთა და ჩანაწერების ყველაზე მნიშვნელოვანი საცავია. რადგან კენედის ბიბლიოთეკაში, არქივარიუსის, სტეისი ჩენდლერისა და მისი კოლეგების დახმარებით, ჭემინგუეის „მოხუცი და ზღვის“ ახალ გამოცემას ვამზადებდი, დიდი გულმოდგინებით დავათვალიერე მდიდარი არქივის ხელნაწერები, წერილები, ფოტოები, ასევე პაპაჩემის ნავის, პილარის სათევზაო მორები და სხვა ყველაფერი სწრაფწარმავალი.

ჭემინგუეის ხელით ჩასწორებული მოთხრობა ერთი ხელნაწერის სახითაა წარმოდგენილი. ამ ფაქტმა გამაოცა და ამაღლელვა. ვიფიქრე, რომ ახალი გამოცემისთვის შესანიშნავი დამატება იქნებოდა. ხელნაწერის კიდევ ერთი ასლი პრისტონის უნივერსიტეტის, სკრიპნერის არქივშია დაცული, კარლოს ბეიკერის ნაწერებთან ერთად, რომელიც პაპაჩემის სრულყოფილი ბიოგრაფიის ავტორია. აქ

არავითარი მინიშნება არ არსებობს იმის შესახებ, ბეიკერმა მას როდის მიაგნო ან ეს ჰემინგუეის გარდაცვალების შემდეგ მოხდა თუ არა, თუმცა მე ასე მგონია. მეორე მსოფლიო ომზე შექმნილ, რამდენიმე ავტობიოგრაფიულ მოთხოვბასთან ერთად, ეს ჰემინგუეის იმ მცირე რაოდენობის მოთხოვბებიდან ერთ-ერთია, რომელიც აქამდე გამოუქვეყნებელი დარჩა; არ ვიცი, ასეთი ნაკლები ყურადღება რით დაიმსახურა; ის პაპაჩემის პირადი ჩანაწერების მარგალიტია.

**დ.ტ. – მოთხოვბა ავტობიოგრაფიულია:** მთხოვბელს „ერნესტით“ და „ჰემინგუეით“ მიმართავენ, რომელმაც „მისტერ ჯოსისთან“, როგორც ჰემინგუეი თავის მეგობარს, ჯო რასელს ეძახდა და სავაჭრო გემის ოფიცერ, კარლოს გუტიერესთან ერთად, კუბაში ითვალისწინებული და არა მთხოვბა მხატვრული ნაწარმოებია და არა მნერლის მოგონება?

**შ.ჰ. –** საერთოდ, ჩემთვის როტულია მხატვრულისა და არამხატვრულის ერთმანეთისგან განსხვავება, რადგან მოთხოვბის უმეტესი ნაწილი ავტობიოგრაფიულია, თუმცა, მირჩევნია, ვიფიქრო, რომ ის მხატვრული ნაწარმოებია, რადგან გულდასმითაა შექმნილი და, როგორც ნოველა, ისე იყითხება. პაპაჩემი, თავისი მოგონების „განუყრელი დღესასწაულის“ შესახებ, რომელსაც მხატვრულ ნაწარმოებს უწოდებდა, წერდა, რომ, შესაძლებელია, ნამდვილი ფაქტები მხატვრულობამ გააფერმენტოთალოსო.

**დ.ტ. – როგორ ფიქრობთ, მოთხოვბის რომელი ნაწილია გამოგონილი? ემყარება თუ არა ის ჰემინგუეის გამოცდილებას, კურძოდ, როცა მან უზარმაზარ მარლინს ანკესი ჩაავლო, მაგრამ ვერ დაიგირა?**

**შ.ჰ. –** სრულიად შესაძლებელია, რომ მოთხოვბა 1933 წლის ზაფხულში ერთი კონკრეტული, სათევზაო მოგზაურობით იყოს შთაგონებული, რომელიც მოთხოვბაშია აღნერილი, თუმცა ჩემი აზრით, რამდენიმე განსხვავებული გამოცდილებით შთაგონებულს უფრო ჰგავს, რომელსაც ავტორმა დახვენის მიზნით, მხატვრული ელემენტები დაამატა.

**დ.ტ. – მოთხოვბის სიუჟეტი ჰავანაში იმ დროს არსებული პოლიტიკური კონფლიქტის ფონზე ვითარდება. მისტერ ჯოსის კუბის პოლიციასთან ორჯერ უხდება შენინააღმდეგება. ერთხელ, როცა ერთი პოლიციელი მისი და ჰემინგუეის მიერ დაჭრილ თევზს ნაართმევს და შემდეგ „მაჩადოს პოლიციის ერთ-ერთ განსაკუთრებულ პოლიციელთან“ ბარში ჩეუბის თვითმხილველი ხდება. ხერარდო მაჩადოს ხელისუფლება მოთხოვბაში აღნერილი მოვლენების შემდეგ რამდენიმე თვეში დაემხო. როგორ ფიქრობთ, ჰემინგუეისთვის პოლიტიკური სიტუაცია რამდენად მნიშვნელოვანი იყო?**

**შ.ჰ. –** 1933 წლის ზაფხულში კუბაში ჰემინგუეი მრავალი უსახურობის მოწმე გახდა, ამბოხებებისა და მაჩადოს რეჟიმის მოწინააღმდეგე ახალგაზრდა აქტივისტების ქუჩებში დახვრეტის ჩათვლით. ჩემი აზრით, მოთხოვბაში მთავარი აქცენტი პოლიტიკურ კონფლიქტზე კი არ არის გადატანილი, არამედ იმაზე, რომ სანაპიროზე ცხოვრების კონტრასტს როგორ შეუძლია ზღვაში მარლინის თევზაობის ბედნიერება ყველაზე მტკიცნეულ რამედ აქციოს. ადგილობრივებისთვის ნადავლის დარიგება მათ თევზაობისადმი მისწრაფებას, განსაკუთრებით იმ როტული ზაფხულის პერიოდში, კიდევ მეტ მიზანს სძენს.

**დ.ტ. – მოთხოვბა 1933 წლის ამბებს აღნერს, მაგრამ, თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ის წლების შემდეგ დაინერა. ხომ ვერ გვეტყვით, იქნებ ის „მოხუცი და ზღვამდე“ შექმნა, რომელიც ჰემინგუეიმ ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში დანერა ან ხომ არ შეიძლება, რომ ის რაღაცნაირად რომანის შენიშვნებად მივიჩნიოთ?**

**შ.ჰ.** – მოთხოვბაში არის ისეთი ელემენტები, რომლებიც ნათელს ხდის, რომ ჰემინგუეიმ ის წლების შემდეგ დაწერა. ჩემთვის რთულია, შევიზღუდო და მისი ქმნილება სადღაც, 1936 და 1956 წლებს შორის დავათარილო, როდესაც ის „მოხუცი და ზღვის“ მიხედვით გადალებულ ფილმზე მუშაობდა. ვერანაირად ვერ ვხედავ, რომ ეს რომანისთვის გამზადებული შენიშვნებია, თუმცა მათ შორის ძლიერი მსგავსებაა, რადგან შინაარსობრივად აქაც ძალიან დიდი მარლინის დაჭერაზეა საუბარი და სხვადასხვა საშუალებით გვიჩვენებს, რომ ამ საქმიანობის დაწყება მაშინაც კი როგორი რთულია, როცა თანამედროვე აღჭურვილობა, ძრავიანი ნავი გაგარინია და რამდენიმე გამოცდილი მეთევზეც გყავს.

**დ.ტ.** – **სათაური ბიძათქვენმა, პატრიკ ჰემინგუეიმ შეარჩია. საიდან აიღო?**

**შ.ჰ.** – ხელნაწერი დაუსათაურებელია. ბიძაჩემმა, ერნესტ ჰემინგუეის მეორე ვაჟმა, მოთხოვბისთვის ის სათაური შეარჩია, რომელიც პაპაჩემის წიგნის – „აფრიკის მწვანე სერების“ – ერთ ნაწილს ჰქვია. ჰემინგუეიმ თავისი არამხატვრული აფრიკული საფარა, რომელშიც მოქმედება 1933-1934 წლებში ვითარდება, ამ მოთხოვბის დაწერიდან არც თუ ისე დიდი ხნის შემდეგ ოთხ ნაწილად გაყო. „ბედნიერების ძიებაში“ ამ წიგნის ბოლო და კულმინაციური განყოფილებაა. ჰემინგუეიმ მეოთხე განყოფილების სათაური „ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციის“ ცნობილი ფრაზიდან აიღო: „სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერების ძიება“. ვფიქრობ, რომ ეს ამ გამოუქვეყნებელი მოთხოვბისთვის ძალიანაც შესაფერისი სათაურია, რადგან ის უბრალოდ დიდი მარლინის დაჭერასა და დაკარგვაზე კი არ მოგვითხრობს, მსგავსად „მოხუცი და ზღვისა“, სადაც მხოლოდ დიდი მარლინებისა და ზვიგენის დაჭერა-დაკარგვაზე არაა საუბარი, არამედ ის იმ სიხარულსა და ბედნიერებას გვაზიარებს, რომლის განცდაც თევზაობით არის შესაძლებელი.

იმ წელიწადს, კუბის სანაპიროზე ერთთვიანი თევზაობა დავგევმეთ. საქმეს ათი აპრილიდან შევუდექით და ათი მაისისთვის უკვე ოცდახუთი მარლინი დავიჭირეთ და ნავის ქირაც გავისტუმრეთ. ახლა, ქი ვესტში წასალებად, მხოლოდ რამდენიმე საჩქრის შეძენა, ანიტას კუბური, შედარებით ძვირადღირებული საწვავით ავსება, რომელიც ცურვისთვის იყო საჭირო, თავის მოწესრიგება და შინ დაბრუნებალა დაგვრჩენოდა, თუმცა დიდი თევზი ისევ არ ჩანდა.

– გინდა ერთი თვე კიდევ იქირაო, კაპ? – მკითხა მისტერ ჯონსიმ. ანიტა მისი საკუთრება იყო და დღიურად ათ დღოლარად აქირავებდა. მაშინ ქირის სტანდარტული ფასი დღეში ოცდათხუთმეტ დოლარს შეადგენდა.

– თუ დარჩები, ფასს დაგიკლებ და ცხრა დოლარად მოგაქირავებ.

– ცხრა დოლარი სად უნდა ვიშოვო?

– როცა გექნება, მაშინ გადამიხადე. ყურესთან ახლოს, ბელოტის სტანდარტ ოილ კომპანიაში კარგი სახელით სარგებლობ და, როცა ხარჯთაღრიცხვის სიას მივიღებთ, ბოლო თვის ქირის ფულით გადავიხდი. თუ ამინდი გაფუჭდა, შეგიძლია, რამეც დაწერო.

– კარგი, ვუთხარი მე და კიდევ ერთი თვე ვითევზავეთ. უკვე ორმოცდაორი მარლინი გვქონდა, თუმცა დიდები ისევ არ ჩანდნენ. მოროსთან ახლოს შავი, ძლიერი დინება იყო. ზოგჯერ ანკესზე უამრავ საცდურს წამოვაგებდით ხოლმე და ნავის კიჩოს ქვეშიდან მფრინავი თევზები თავს ამოყოფდნენ და ჩიტებიც სულ საქმეში იყვნენ, მა-

გრამ ერთი მოზრდილი მარლინიც კი არსად ჩანდა, თუმცა თეთრ მარლინებს ყოველ დღე ვიჭერდით ან სულაც ვკარგავდით. ერთ დღესაც ხუთი ცალი ამოჰყვა.

საპორტო ქალაქში ყველა გვცნობდა, რადგან მთელ ჩვენს ნადავლს ვხოცავდით და უფასოდ ვარიგებდით. როცა მოროს ციხე-კოშეს მივუახლოვდით და გეზი სან ფრანცისკოს მიმართულებით, სრუტის ზემოთ ავიღეთ, პირსზე დამაგრებული მარლინის დროშის დანახვაზე, ბრძო ნავსადგომებისკენ გამოექანა. იმ წელს მეთევზებისგან თევზის შეძენა ხელსაყრელი იყო, რადგან რვიდან თორმეტ ცენტამდე, ასე, ერთ ფუნტ სტერლინგამდე აფასებდნენ, მაშინ, როცა ბაზარში ორჯერ ძვირად ყიდდნენ. იმ დღეს, როცა ხუთდღოშააფრიალებულნი გამოვჩნდით, პოლიციამ ხალხის ნაკადი ხელკეტებით დაშალა. ეს საზიზლარი და ცუდი სანახავი იყო, მაგრამ ის წელი სანაპიროზეც ასეთივე საშინელი და ცუდი აღმოჩნდა.

— ეს წყეული პოლიციელები მუდმივ კლიენტებს გვიფრთხობენ და მთელი ჩვენი ნადავლი მიაქვთ, — თქვა მისტერ ჯოსიმ.

— ეშმაკსაც წაულიხარ, — უთხრა მან პოლიციელს, რომელმაც ათ ფუნტიანი მარლინი ჩამოხსნა. — შენი უსახური სახე აქამდე არასოდეს მინახავს. რა გქვია?

პოლიციელმა თავისი სახელი უთხრა.

— Compromiso<sup>1</sup>-ს სიაში თუა, კაპ?

Compromiso უბის წიგნაკი იყო, სადაც კლიენტების შეკვეთებს ვიწერდით — არა.

— მომავალი კვირისთვის ჩანერე, რომ ცოტა მაინც მივცეთ, კაპ, — თქვა მისტერ ჯოსიმ.

— ახლა კი, პოლიციელო, აქედან აითესე და კეტი იმათ დაუშინე, ვინც

ჩვენი მეგობარი არაა. ცხოვრებაში საკმაოდ ბევრი წყეული პოლიციელი შემხვედრია. წადი, შენი კეტი და პისტოლეტი აიღე და ნავსადგომიდან დაიკარგე, სანამ მისი პოლიციელი გქვია.

საბოლოოდ, თევზები დავხოცეთ დაუბის წიგნაკის სიის მიხედვით გავანაწილეთ, რომელიც მომავალი კვირის შეკვეთებით ისევ გაივსო.

— ამბოს მანდოსში ადი და დაიბანე, კაპ. შხაპი მიიღე და იქ შევხვდეთ. მერე ფლორიდიტაში წავიდეთ და დავილაპარაკოთ. ამ პოლიციელმა ნერვები ამიშალა.

— შენც წამოდი და შხაპი მიიღე.

— არა, აქვე მოვწესრიგდები. დღეს შენსავით არ გამდის ოფლი წურწურით.

ასე რომ, მოკირწყლული ქუჩით, ამბოს მანდოსის სასტუმრომდე მოკლე გზით მივედი, რეგისტრატორთან ფოსტა შევამონმე, მერე ლიფტში ჩავჯექი და ზემო სართულზე ავედი. ჩემი ოთახი ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში იყო. ფანჯრებიდან პასატური ქარი უბერავდა და იქაურობას აგრილებდა. ძველი ქალაქის სახურავებს გავხედე და ნავსადგურის გზაჯვარედინზე, ოდნავ ქვემოთ, განათებულ ორიზაბას თვალს ვერ ვწყვეტდი. ამდენი თევზაობით დაღლას ვგრძნობდი და დაწოლა მინდოდა, მაგრამ ვიცოდი, თუ დავწვებოდი, კიდეც ჩამეძინებოდა. ამიტომ საწოლზე ჩამოვჯექი, ფანჯარაში გავიხედე, მონადირე ღამურებს ვუყურებდი. ბოლოს გავიხადე, შხაპი მივიღე, სუფთა ტანისამოსი ჩავიცვი და ქვემოთ დავეშვი. მისტერ ჯოსი სასტუმროს კართან მელოდა.

— დაღლილი ჩანხარ, ერნესტ, — თქვა მან.

— არა, — ვიცრუე მე.

— მე კი დავიღალე... — თქვა მან. — შენი ყურებით, თევზებს რომ ექაჩე-

1. Compromiso – (ესპ) შეთანხმება;

ბოდი. იმასთან შედარებით, რასაც ერთ დღეში ვიჭერდით, დღეს ორით ნაკლებია. მხოლოდ შეიძია. მერვე ხელიდან დაგვისხლტა. არც მე და არც მისტერ ჯოსის მერვე თევზზე ფიქრიც არ გვსურდა, მაგრამ ყოველთვის, როცა გვკითხავდნენ, იმ დღეს რამდენი თევზი დავიჭირეთ, ერთით მეტს ვამბობდით ხოლმე.

ობისპოს ქუჩის ვიწრო ტროტუარს მივუყვებოდით და მისტერ ჯოსი ყველა მაღაზიის განათებულ ვიტრინაში იყურებოდა. შინ დაბრუნებამდე არასოდეს არაფერს ყიდულობდა, მაგრამ ყველაფრისთვის, რაც გასაყიდი იყო, თვალის შევლება უყვარდა. ბოლო ორ მაღაზიას და ლატარიის ბილეთების ოფისს ჩავუარეთ და ძევლი ფლორიდიტის მოქანავე კარი შევაღეთ.

— ჯობია, დაჯდე, კაპ, — თქვა მისტერ ჯოსიმ.

— არა, ბარში ფეხზე დგომა მირჩევნია.

— ლუდი, — თქვა მისტერ ჯოსიმ. — გერმანული ლუდი. რას დალევ, კაპ?

— ყინულებიან უშაქრო კოქტეილს.

კონსტანტმა კოქტეილი გამიკეთა და სათქვეფში ორზე მეტი ადამიანის საკმარისი დატოვა. ვუცდიდი, მისტერ ჯოსი საუბარს როდის დაიწყებდა. ლუდის მოტანისთანავე აღაპარაკდა.

— კარლოსი ამბობს, რომ მომავალ კვირას ჩამოსვლას აპირებენ, — თქვა მან. კარლოსი ჩვენი კუბელი მეგობარი და მარლინით მოვაჭრე დიდი მებადური გახლდათ.

— ამბობს, რომ ასეთი დინება არასოდეს უნახავს და როცა ჩამოვლენ, იმას იზამენ, ჩვენ რომ არასოდეს გვინახავს. ამბობს, რომ უნდა ჩამოვიდეს.

— მეც ასე მითხრა.

— თუ გინდა, კაპ, ერთი თვე კიდევ სცადე. ნავს რვა დოლარად მოგაქირავებ და საჭმელსაც მე მოვამზადებ, სენდვიჩებში ფული რომ არ ვფლანგოთ. ლანჩისთვის ყურის სადმე მყუდრო

კუთხეში შევირბენთ და საჭმელსაც იქ გავაკეთებ. იმ კლაკნილ-ზოლიანი სკუმბრიის შოვნა ყოველთვისაც შეიძლება. პატარა ტუნეცებივით კარგია. კარლოსი ამბობს, რომ, როცა ბაზარში პატარა თევზის სატყუარებისთვის წავა, იაფი პროდუქტის საყიდლად ჩვენც გაგვიყოლებს. მერე შეგვიძლია, პერლაში, სან ფრანცისკოს რესტორანში, ღამით ვივახშმოთ. გასულ ღამეს იქ, სულ რაღაც ოცდათხუთმეტ ცენტად, კარგად დავნაყრდი.

— წუხელის მე არაფერი მიჭამია და ფული დავზოგე.

— უნდა ჭამო, კაპ. შეიძლება დღეს ცოტა გადაღლილი ამიტომაც ხარ.

— ვიცი, მაგრამ, დარწმუნებული ხარ, რომ გინდა, კიდევ ერთი თვეც სცადო?

— მომდევნო თვეში ნავს გადასაზიდი აღარაფერი აქვს. უარი რატომ უნდა ვთქვათ, როცა შეიძლება, რომ დიდი თევზები წუთი-წუთს გამოჩნდნენ?

— გაქვს რამე, ამაზე უკეთესი საქმე?

— არა. შენ?

— როგორ გგონია, ნამდვილად ჩამოვლენ?

— კარლოსი ამბობს, უნდა ჩამოვიდეთო.

— იმედი მაქვს, ერთს მაინც ამოვათ-რევთ და ჩვენს თევზსაჭერზე მას ვაჭრობის ნებას არ მივცემთ.

— უნდა მივცეთ. შეგვიძლია მასთან სამუდამოდაც დარჩე, თუ საჭმელს კარგად შეჭამ და ვაპირებთ, რომ კარგად ვიკვებოთ, თუმცა ახლა სულ სხვა რამ მაფიქრებს.

— რა?

— თუ დროულად დაიძინებ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზეც უარს იტყვი, მაშინ მზის ამოსვლისთანავე გაგელვიძება, წერას შეუდგები და რვა საათისთვის ერთი დღის სამუშაო უკვე დასრულებული იქნება. მე და კარლოსი თევზაობისთვის ყველაფერი მზად გვექნება და შენ მხოლოდ ნავზე ამოძვრები.

— კარგი, — დავეთანხმე. — არავითარი საზოგადოებრივი ცხოვრება.

— სწორედაც ეს საზოგადოებრივი ცხოვრებაა, ქანცს რომ გაცლის, კაპ, მაგრამ საერთოდ ჩამოშორდი-მეთქი, ეს არ მიგულისხმია. მხოლოდ შაბათს, ღამლამობით შეგიძლია.

— მშვენიერია, — მივუგე მე. — საზოგადოებრივი ცხოვრება მხოლოდ შაბათ ღამეს... და, რის დაწერას მთავაზობ?

— ეს შენზეა, კაპ. ამაში ჩარევა არ მსურს. ყოველთვის კარგად გამოგდიოდა, როცა მუშაობდი.

— რის წაკითხვას ისურვებდი?

— რატომ არ გინდა ევროპაზე ან რაღაც დაუჯერებელ სიგიუზე კარგი ნოველები დაწერო, როცა უსახლკაროდ დაწანანალებდი ან კიდევ, როცა ომში იყავი, ან საერთოდ ამგვარ რამეებზე? რატომ არ გინდა, უბრალოდ იმაზე დაწერო, რაც მე და შენ ვიცით? დაწერე, რაც ანიტაზე ყოფნისას გინახავს. შეგიძლია, საზოგადოებრივი ცხოვრებიდან მაგალითებიც საკმარისად მოიყვანო, რათა ყველასთვის მოწოდება გახდეს.

— ახლა საზოგადოებრივი ცხოვრები-სგან მოსვენებული ვარ.

— მჯერა, კაპ, მაგრამ უამრავი რამ გახსოვს. დასვენება ცუდს არაფერს მოგიტანს.

— არა, — ვთქვი მე. — დიდი მადლობა, მისტერ ჯოსი. წერას დილიდანვე დავიწყებ.

— ვიდრე ცხოვრების ახალ სტილზე გადავალთ, პირველი, რაც უნდა გავაკეთოთ, ის არის, რომ ამაღლამ დიდი, ნახევრად უმი სტეიკი უნდა ჭამო, დილისთვის რომ ჯანზე იყო. გაიღვიძებ და წერის სურვილიც გექნება და თევზაობისაც. კარლოსი ამბობს, რომ შესაძლებელია, დიდი თევზები ახლა უკვე ყოველ დღეს გამოჩნდნენ. კაპ, მათ საუკეთესო ფორმაში უნდა დახვდე.

— როგორ გგონია, კიდევ ერთი კოქტეილი რომ შევუკვეთო, რამე მომივა?

— ჯანდაბას! არა, კაპ. მხოლოდ რომს, ცოტა ლაიმის წვენს და მარასკინს ურევენ, ეს ადამიანს არფერს ვნებს.

ზუსტად იმ მომენტში ბარში ჩვენი ნაცონბი ორი გოგო შემოვიდა. ძალიან ლამაზი გოგონები იყვნენ და საღამოსთვისაც გამოპრანჯულიყვნენ.

— მეთევზეები, — ესპანურად თქვა ერთმა.

— ზღვის ორი დიდი, ჯანმრთელი მებადური, — დაუმატა მეორემ.

— ა.ს.ც. — მითხრა მისტერ ჯოსიმ.

— არა საზოგადოებრივ ცხოვრებას, — გავაგრძელე მე.

— თქვენ რაღაც საიდუმლოებები გაქვთ? მკითხა ერთ-ერთმა გოგომ. საშინლად ლამაზი იყო და მის სახეზე ერთ უმნიშვნელო წუნსაც კი ვერ შეიტანდით. მისი კოტა, სწორი ცხვირი უმანკოებაზე მეტყველებდა.

— მე და კაპი საქმეზე ვსაუბრობთ, — უთხრა მისტერ ჯოსიმ ორ გოგოს. ისინი წავიდნენ და ბარის ბოლოში, ჩვენგან მოშორებით დასხდნენ.

— ხედავ, რა იოლია? მკითხა მისტერ ჯოსიმ. საზოგადოებრივ ცხოვრებას მე წარვმართავ და შენი მოვალეობა მხოლოდ ის იქნება, რომ დილით ადრე ადგე, წერო და თევზს ფორმაში დახვდე. დიდ თევზს, ათას ფუნტზე მეტს რომ აიწონის.

— მოდი, ვივაჭროთ, — ვთქვი მე. — მე საზოგადოებრივ ცხოვრებას ვუხელმძღვანელებ, შენ დილაობით ადრე ადგექი, წერე და იმ დიდ თევზთან შესახვედრად, ათას ფუნტზე მეტს რომ იწონის, ეცადე, ფორმაში იყო.

— სიამოვნებით, კაპ, — სერიოზულად თქვა მისტერ ჯოსიმ, — მაგრამ ჩვენ ორში წერა მხოლოდ შენ გამოგდის. ჩემზე ახალგაზრდაც ხარ და თევზით ვაჭრობასაც უკეთესად ახერხებ. ნავზე რაც შემიძლია გავაკეთო, მხოლოდ ის არის, რომ გაფუჭებული ძრავა შევაკეთო და ისე რიგიანად ვმართო, როგორც ამას ჩვეულებისამებრ ვაკეთებ.

— ვიცი, — ვთქვი მე. — მეც ვეცდები, რომ კარგად ვწერო.

— მინდა, რომ შენით ვიამაყო, — თქვა მისტერ ჯოსიმ. — და კიდევ მინდა, რომ ოკეანის ის ყველაზე დიდი, წყეული მარლინი დავიჭიროთ, პატიოსნად ავნონთ, დავჭრათ და ჩვენს ნაცნობ ღარიბებს უფასოდ დავურიგოთ და არც ერთი გრამი იმ შეჩვენებულ, ხელკეტიან პოლიციელებს არ მივცეთ.

— ასეც იქნება.

ამ დროს ბარის ბოლოდან ერთ-ერთმა გოგომ ხელი დაგვიქნია. წყნარი ღამე იდგა და ჩვენ მეტი აქ არავინ იყო.

— ა.ს.ც., — თქვა მისტერ ჯოსიმ.

— ა.ს.ც., — ზუსტად გავიმეორე მე.

— კონსტანტი, — თქვა მისტერ ჯოსიმ.

— ერნესტოს მიმტანის მოხმობა სურს. დიდი, ნახევრად უმი სტეიკის შეკვეთა გვინდა.

კონსტანტმა გაიღიმა და მიმტანის დასაძახებლად თითო მაღლა აიშვირა.

როცა სასადილო დარბაზისკენ გავეშურეთ და გოგონებს ჩავუარეთ, ერთმა ხელი გამომიწოდა და ჩამოვართვი, მოწყენილმა თან ესპანურად წავილულდუღე: — „ა.ს.ც.“

— ღმერთო ჩემო, — თქვა მეორე გოგომ. — ესენი პოლიტიკოსები არიან და მთელი წელი ასე იქცევიან. შთაბეჭდილების ქვეშ იყვნენ და ცოტა დამფრთხოების ჩანდნენ.

დილით, როცა ყურედან წამოსულმა პირველმა მზის სხივმა თვალი მომჭრა, ავდექი და ნოველის წერას შევუდექი, რომელიც, იმედი მქონდა, რომ მისტერ ჯოსის მოეწონებოდა. ანიტაზე, პორტზე, ისეთი რამეების შესახებ ვწერდი, რაც თავს გადაგვხდა და შევეცადე, ზღვასთან დაკავშირებული გრძნობები გადმომეცა — ყველაფერი, რასაც ვხედავდით, რის სურნელსაც შევიგრძნობ-

დით, გვესმოდა და ყოველდღე განვიცდიდით. ნოველაზე ყოველდღე ვმუშაობდი, თან ვთევზაობდით და კარგადაც დავიჭირეთ. უკვე მაგრად გავიწვრთენი და სკამზე ჯდომის ნაცვლად, ფეხზე დამდგარი უფრო მეტ თევზს ვიჭერდი, თუმცა, დიდი თევზი ჯერ კიდევ არსად ჩანდა.

ერთ დღესაც თევზით მოვაჭრე მე-თევზის ბუქსირშებმული, პატარა კანჯო შევნიშნეთ, რომელსაც დახრილი ცხვირი ჰქონდა და მარლინიც ყველა ამოხტომაზე კატერივით შხეფებს აქეთ-იქით ასხურებდა. მერე დაიკარგა. მეორე დღეს, შტორმისას, ოთხი კაცი დავინახეთ, დიდი და მუქი, მენამული ფერის თევზის პატარა კანჯოზე ამოთ-რევას რომ ცდილობდნენ. გამოწელილი მარლინი ხუთას ფუნგს იწონიდა და მისი უზარმაზარი სტეიკი ძველ ბაზარში, თევზსაჭრელ მარმარილოს ფილაზე ვნახე.

მერე, ერთ მზიან დღესაც, კუნაპეტივით შავი, ძლიერი დინებისას, როცა წყალი ისეთი კრიალაა, რომ ნავსაყუდელის შესართავთან, ათი საუენის სიღრმეში თევზების მთელი გუნდის დანახვა თავისუფლად შეიძლება, ზუსტად მოროსთან ახლოს, ჩვენს პირველ დიდ თევზს კაუჭი ჩავავლეთ. იმ დღეებში იქ არც უტლეგარები<sup>1</sup> იყვნენ და არც ანკესით მოთევზავენი და ის-ის იყო, მსუბუქი, სათანადო თევზსაჭრი აღჭურვილობა წყალში მოვისროლე, იმის იმედად, რომ არხში მენტიციუსი, „მეფე-თევზი“ უნდა დამეჭირა, რომ ამ დიდ თევზს ჩავავლე. ტალღის ზვირთებს ამოჰყვა და წინ წამოშვერილი ცხვირი ბილიარდის ჯოხს მიუგავდა. უზარმაზარი თავი ჰქონდა და კანჯოსავით განიერი იყო. მერე ნავის გასწვრივ მსწრაფლ ჩაგვიქროლა და თოკიც ისე

1. უტლეგარები — სანიჩბე ორჯაპენიანი კანჯო;

მალე გათავდა და კოჭაც ისე ძალიან გაცხელდა, რომ შეხება შეუძლებელი იყო. კოჭაზე ოთხას იარდზე გათვლილი თხუთმეტი თოკი იყო დახვეული და იმ დროისთვის, როცა ანიტას კიჩოზე ავცოცდი, ნახევარი უკვე გათავებული იყო.

იქ იმ სახელურების დახმარებით ავძვერი, რომლებიც ნავის წერზე დავამონტაჟეთ. ასეთი გარბენისა და წინა გემბანზე აცოცების გამოცდილება, როცა ნავის ლერძზე ფეხებით მოჭიდება შეგიძლია, ნამდვილად გვქონდა, თუმცა, ისეთ სიტუაციაში მანამდე არასოდეს აღმოვჩენილვართ, როდესაც ნავში შენთვის განკუთვნილ ადგილას ზიხარ, ცალ ხელში ანკესი ჩაგიბლუჯია, რომლის ბოლოც ჭიგოდან ირხევა და სხლტება, ხოლო მეორე ხელი და ორივე შიშველი ფეხი გემბანზე გაქვს მიბჯენილი, რათა თევზს წინიდან ჩავლო და მეტროს მატარებლის სისწრაფით მოსრიალე თევზი ჩაგიქროლებს.

— ნამოაგე, ჯოსი! — დავუყვირე. — მთელი თოკი მიაქვს.

— ნამოგებულია, კაპ. მოდის!

ახლა უკვე ცალი ფეხი ანიტას კიჩოზე მქონდა მიბჯენილი, ხოლო მეორე — მარჯვენა ქიმზე. კარლოსი წელზე შემომხვეოდა და ჩვენ წინ თევზი დახტოდა. ლვინის კასრივით მრგვალი და დიდი ჩანდა. მზეზე ვერცხლისფრად ელვარებდა და მის გვერდებზე ბრტყელი, იისფერი ზოლები შევნიშნე. მალლა ახტომისას, ყოველ ჯერზე, შხეფებს აქეთ-იქით ასხურებდა, იმ ცხენივით, ქარაფებიდან რომ ეშვება, თევზი კი ხტოდა და ხტოდა. ანკესის კოჭაც ძალიან გაცხელდა და მასზე დახვეული თოკის შუაგულიც. მიუხედავად იმისა, რომ ანიტა თევზს მთელი სისწრაფით მისდევდა, სულ უფრო და უფრო მოკლდებოდა.

— შეგიძლია, ცოტა აქეთ დაუმატო? — დავუძახე მისტერ ჯოსის.

— ახლა არანაირად! — თქვა მან. რამდენი დაგრჩა?

— ჯანდაბა, ცოტა.

— დიდია, — თქვა კარლოსმა. — ასეთი უზარმაზარი მარლინი არასოდეს მინახავს. ნეტა გაჩერდებოდეს, ნეტა ქვემოთ ჩავიდოდეს, მერე მივყვებით და ამოვათრევთ.

თევზი პირველად მოროს ციხე-კოშკისკენ, ეროვნული პარკის საწინააღმდეგო მხარისკენ დაიძრა. ეს ის მიმართულება იყო, საითაც, დაახლოებით, ჩვენც მივცურავდით. მერე, როცა კოჭაზე ასე, ოც იარდზე ნაკლები თოკილა იყო შერჩენილი, თევზს გავედევნეთ და თან გამუდმებით თოქს ვამატებდით. მახსოვს, ჩვენ წინ, შავლოცმანიან ნავთან ერთად, გრეის ლაინის გემი იყო და ვდარდობდი, როცა სვლას დაიწყებდა, წინ არ გადაგვლობებოდა. მერე მახსოვს, რომ ვუთვალთვალებდი, კიჩოს უკანა ნაწილს ზურგით მიყრდნობილი, თან კოჭას ვახვევდი და გემის სიჩქარეს თვალს არ ვაშორებდი. გემი სვლას ჩვენ გასწვრივ განაგრძობდა და ლოცმანიანი ნავიც არ უნდა შეგვჯახებოდა.

ახლა უკვე სკამზე ვიჯექი და თევზიც პირდაპირ, დაბლა-მაღლა მოძრაობდა. მესამე ანკესილა გვქონდა დარჩენილი. კარლოსმა, კოჭაზე, გასაგრილებლად, ზღვის წყალი დაასხა და ერთი ვედრო თავსა და მხრებზე მეც გადამასხა.

— როგორა ხარ? — მკითხა მისტერ ჯოსიმ.

— კარგად.

— კიჩოზე ხომ არაფერი იტკინე?

— არა.

— ოდესმე იფიქრებდი, რომ აქ, ამისთანა თევზს გადავეყრებოდით?

— არა.

— ჩრანდე, ჩრანდე,<sup>1</sup> — იმეორებდა კარლოსი. მეძებარი ძალლივით კანკ-

1. ჩრანდე — (ესპ) — დიდი

ალებდა, კარგი მეძებარი ძალლივით.  
– ასეთი თევზი არასოდეს შემხვედრია.  
არასოდეს. არასოდეს..

თევზი საათი და ოცი წუთი ალარ გა-  
მოჩენილა. ძალიან ძლიერი დინება იყო  
და ქვემოთ, ქოჯიმარის სანინააღმდეგო  
იმ მიმართულებით მიგვაქანებდა, სა-  
დაც პირველად თევზმა გაიფართხალა  
და იქიდან ასე, ექვსიოდე მილით იყო  
დაშორებული. დაღლილობას ვარდნობ-  
დი, თუმცა ხელ-ფეხს მარჯვედ ვამოძ-  
რავებდი და ანკესიც საკმაოდ მყარად  
მეჭირა, თან ვფრთხილობდი, რომ  
უხეშად არ მომექაჩა ან მებიძგებინა.  
ახლა უკვე მისი ამოთრევაც შემეძლო.  
იოლი არ იყო, თუმცა შესაძლებელი  
გახლდათ, რადგან თოვიც სათანადო  
მიმართულებით მეჭირა.

– ზემოთ ამოსვლას აპირებს, – თქვა  
კარლოსმა. – ზოგჯერ დიდი თევზები  
ასე იქცევიან და შენც შეგიძლია, რომ  
ბარჯით დაითრიო, ვიდრე ჯერ კიდევ  
ვერაფერს ხვდება.

– ახლა ზემოთ რატომ უნდა ამოვ-  
იდეს? – ვკითხე მე.

– დაბნეულია, – თქვა კარლოსმა. –  
და, შეგიძლია, შენს ნებას დაუმორჩი-  
ლო. არ იცის, რა ელოდება.

– ვერც ვერასოდეს უნდა მიხვდეს,  
– ვთქვი მე.

– გამოწელილი ცხრაას კილოზე მეტ  
ხორცს დაყრის, – თქვა კარლოსმა.

– ხმამაღლა საუბარს მოერიდე, –  
თქვა მისტერ ჯონიმ. – გინდა, რომ  
საქმე სხვანაირად შეტრიალდეს, კაპ?

– არა.

როცა თევზი ისევ გამოჩნდა, მი-  
ვხვდით, რეალურად რამხელაც იქნე-  
ბოდა. ვერ ვიტყვი, რომ საშიში, თუმ-  
ცა არაჩვეულებრივი ნამდვილად იყო.  
გულმკერდი, დიდი ფართლებით, ორ  
გრძელ, მენამულ, ბასრპირიან ცელს  
რომ მიუგავდა, წყალში ნელა და მშვი-  
დად, თითქმის უმოძრაოდ იდო, მერე  
ნავი შენიშნა და კოჭაზე თოვიც ისე  
მალე თავდებოდა, თითქოს მსუბუქ ავ-

ტომობილს მივდევდით. თევზმა გეზი  
ჩრდილო-დასავლეთისკენ აიღო და თან  
ისე ხტოდა, რომ აქეთ-იქიდან წყალს  
აჩქაფუნებდა.

ისევ ნავის კიჩოსკენ გავემართე და  
ბოლო გაფართხალებამდე მივედევნეთ.  
ახლა უკვე ქვემოთ, თითქმის მოროს  
სანინააღმდეგო მხარეს მიცურავდ. მე  
ზურგით კიჩოს მივეყრდენი.

– დალევა ხომ არ გინდა, კაპ? –  
მკითხა მისტერ ჯონიმ.

– არა, – მივუგე მე. – კარლოს  
უთხარი, კოჭა ცოტათი ისე დაზეთოს,  
რომ შეეფები არ მომხვდეს და უფრო  
მარილიანი წყალიც დამასხას.

– ჩემგან მართლა არაფერი გჭირდ-  
ება, კაპ?

– როი ხელი და ახალი ზურგი, –  
ვთქვი მე. – ეს ნაბიჭვარი ახლაც ისე-  
თივე ენერგიულია, როგორც თავიდან.

მეორედ თევზი საათ-ნახევრის შემ-  
დეგ გამოჩნდა. ქოჯიმართან ჩაისრია-  
ლა. ისევ ისე ხტოდა და მიდევნებისას  
ნავის ცხვირზე ვიყავი.

როცა კვლავ კიჩოზე დავბრუნდი და  
დაჯდომა მოვახერხე, მისტერ ჯონიმ  
მკითხა:

– რას შვრება, კაპ?

– ისევ იმას, რასაც ყოველთვის,  
თუმცა ანკესის ტემპი იკლებს.

ანკესი მთლიანად ჩაძირული ნავის  
ცხვირივით მოხრილიყო, მაგრამ, როცა  
ზემოთ ამოვათრიე, როგორც საჭირო  
იყო, ისე ვეღარ გავასწორე.

– ცოტაოდენი თოვილა შერჩენია,  
– თქვა მისტერ ჯონიმ. – შეგიძლია,  
სამუდამოდაც ჩაავლო, კაპ. თავზე  
წყლის დასხმა კიდევ ხომ არ გინდა?

– ჯერ არა, – ვთქვი მე. – ანკესზე  
ვდარდობ. თევზის წონამ ტემპი დაა-  
კარგვინა.

ერთი საათის მოგვიანებით თევზი  
ჩვენკენ შეუპოვრად, კარგად მოცურავ-  
და და თან დიდ, ნელ წრეებს აკეთებდა.

– დაღლილია, – თქვა კარლოსმა.  
– ახლა იოლად ამოვათრევთ. ამდენი

ხტუნვით ფილტვის პარკუჭები ჰაერით აქვს სავსე და სიღრმეში ვეღარ ჩავა.

— ანკესი გაფუჭდა, — ვთქვი მე. — ახლა საერთოდ ვეღარ გავასწორებ.

მართალი იყო. ანკესის წვერი წყლის ზედაპირს ეხებოდა, როცა თევზი უნდა ამოგეთრია და თოკი კოჭაზე დაგეხვია, აღარ მოქმედებდა. უკვე აღარაფრად ვარგოდა. ანკესის პროექციას ჰეგვდა. ყოველ მოქარვაზე რამდენიმე ინჩის სიგრძის მომატება ისევ შემეძლო, სულ ეს იყო.

თევზი, შენელებული მოძრაობით, წრებს აკეთებდა და, როცა ნახევრად-წრიული მოძრაობა დაიწყო, კოჭაზე დახვეული მთელი თოკი თან გაიყოლა. მეორე წრეზე ახლოს მოთრევა შეიძლებული მაგრამ ასეთი ანკესით მას ვერც ძალას გამოვაცლიდი და ვერც ვერაფერს ვუბრძანებდი.

— ცუდია, კაპ, — ვუთხარი მისტერ ჯოსის. ასე რიგრიგობით მივმართავდით ერთმანეთს. — თუ ქვევით ჩავა და იქ მოკვდება, მაშინ საერთოდ ვერასოდეს დავიჭრთ.

— კარლოსი ამბობს, რომ ზევით მოდის. ამბობს, რომ ხტუნაობისას ბევრი ჰაერი ყლაპა, სიღრმისკენ წასვლის თავი აღარა აქვს და ამიტომ იქ ვერ მოკვდება. ის ამბობს, რომ ბევრი ხტუნაობის შემდეგ დიდი თევზი საბოლოოდ ასე იქცევიან. დავთვალე და ოცდათქვსმეტი წახტომი აქვს გაკეთებული. შეიძლება, უფრო მეტიც, ალბათ, გამომრჩა.

ეს მისტერ ჯოსის ასეთი ვრცელი სიტყვით გამოსვლის პირველი შემთხვევა იყო და მთაბეჭდილების ქვეშ აღმოვჩნდი. ზუსტად მაშინ თევზი სულ უფრო და უფრო ქვემოთ ცურვას მოჰყვა. ორივე ხელით კოჭას ბარაბანს ვიყავი ჩაბლაუჭებული, ანკესი თითქმის გარდამტეხი ადგილის მიმართულებით მქონდა მიშვერილი და კოჭას ლითონის ბარაბანის ნელი ბიძგებით მოძრაობას თითებით ვგრძნობდი.

— რა დრო გავიდა? — ვკითხე მისტერ ჯოსის.

— უკვე სამი საათი და ორმოცდაათი წუთია, რაც ამ დღეში ხარ.

— მგონი, შენ თქვი, რომ ქვევით ვეღარ ჩააღწევს და იქ არ მოკვდებაო, — ვუთხარი კარლოსს.

— ჰემინგუეი, ზემოთ ამოსვლა მოუწევს. ზევით ამოვა, ვიცი.

— თევზისაც იგივე უნდა უთხრა, — ვთქვი მე.

— ცოტა წყალი მიაწოდე, კარლოს, — თქვა მისტერ ჯოსიმ. — ნუ ლაპარაკობ, კაპ.

ყინულივით წყალი მესიამოვნა, მაჯებზეც დავისხი და კარლოსს ვთხოვე, რომ კისერშიც ჩაესხა. ოფლისგან მხრები მარილიანი მქონდა და იქ, სადაც აღჭურვილობა მეკეთა, გადამყვლეფოდა, თუმცა მზე ისე აჭერდა, რომ ჭრილობიდან სისხლსაც ვერ ვგრძნობდი. ივლისი იდგა და მზეც ზენიტში იყო.

— თავზე ცოტა მეტი ზღვის წყალი ისევ დაასხი, — თქვა მისტერ ჯოსიმ. — ღრუბლით მობანე.

ზუსტად მაშინ, ანკესმა მოძრაობა შეწყვიტა. თევზი ერთხანს ისე უძრავად იყო, რომ მეგონა, ქამანდი ბეტონის ბოძისთვის მქონდა ჩავლებული და შემდეგ ნელა, ზევით ამოსვლა დაიწყო. ანკესი მაჯით მარტომ გავასწორე, რადგან ზამბარა ღერძს საერთოდ აღარ შერჩენდა და მტირალა ტირიფის ხესავით უხალისო იყო.

თევზი წყლის ზედაპირის ქვეშ ასე, დაახლოებით ერთ საჟენზე იყო და დანახვა შეგვეძლო. ორ დიდ, გამოშვერილფრთიან, ისფერ გრძელზოლებიან კანჯოს ჰეგვდა და კვლავ წრებს არტყამდა. წრის შესამცირებლად მთელი ძალა მოვიკრიბე, რათა გატეხილი მკედი ისევ გამომეყენებინა, რომელზეც თოკი უკვე აღარ იყო. ის უცბად და მოულოდნელად არ გამტყდარა. უბრალოდ, არაქათი გამოეცალა.

— დიდი იალქნის თოკს ოცდაათი სა-  
უენი მოაჭერი, — ვუთხარი კარლოსს. —  
თევზს წრებისკენ მივათრევ და, როცა  
ზემოთ ამოვა, საკმარისი თოკი გვექნე-  
ბა, დიდს სწრაფად მივაბამ და ანკესებ-  
საც შევცვლი.

მას შემდეგ, რაც ანკესი გატყდა,  
თევზის დაჭერით მსოფლიო ან სხვა  
რაიმე სახის რეკორდის დამყარების  
საკითხი აღარ იდგა, მაგრამ ახლა  
უკვე თევზი დაქანცულიყო და მძიმე  
კბილანით მისი დაჭერა შესაძლებელი  
იქნებოდა. ერთადერთი გასაჭირი მხ-  
ოლოდ ის გვქონდა, რომ დიდი ანკესი  
თხუთმეტთოკიანი მკედისთვის ძალიან  
დაჭიმული იყო. მხოლოდ ამ პრობლე-  
მის ნინაშედა ვიდექით და ეს მე უნდა  
გადამეწყვიტა.

კარლოსი დიდი და მძიმე კოჭიდან  
ოცდათექვსმეტ თეთრ თოკს ხსნიდა,  
გაშლილი მკლავებით ზომავდა და, რო-  
გორც კი ძუები ანკესიდან ამოათრია,  
გემბანზე მოისროლა. რამდენადაც  
შემეძლო, გამოუსადეგარი ანკესით,  
თევზი მაგრად მყავდა ჩაჭიდებული  
და დავინახე, რომ კარლოსმა თეთრი  
თოკი გადაჭრა და ძუაში სიგრძეზე  
ჩადო.

— ძალიან კარგი, კაპ, — ვუთხარი  
მისტერ ჯოსის. — ახლა, როცა თევზი  
თავის წრეს მიუახლოვდება, ამ თოკს  
აიღებ, თანაც ისე, რომ კარლოსს ორი  
თოკის სწრაფად გაკეთების საშუალება  
მისცე. უბრალოდ, მშვიდად და მოხ-  
ერხებულად აიღე.

თევზი წრებს დინჯი მოძრაობებით  
ხაზავდა. მისტერ ჯოსი თოკს ფეხდა-  
ფეხ მიათრევდა, მერე თეთრ თოკზე  
გამოსანასკვად კარლოსს მიაწოდა.

— ერთმანეთს გადააბა, — თქვა მის-  
ტერ ჯოსიმ. — ხელში ასე, დაახლოებით  
ერთ იარდამდე მწვანე, თხუთმეტი თა-  
ვისუფალი, დამატებითი თოკი ჰქონდა  
და, როგორც კი თევზი წრეს მოადგე-  
ბოდა, მოქმედი თოკი ხელში გამზადე-  
ბული ეჭირა. პატარა ანკესს ხელი გა-

ვუშვი, ძირს დავდე და კარლოსს დიდი  
გამოვართვი.

— როცა მზად იქნება, გადაჭერი, —  
ვუთხარი კარლოსს. მისტერ ჯოსის კი  
ვუთხარი:

— შენი მოადუნე, მშვიდად და მოხ-  
ერხებულად გეჭიროს, კაპ. მერე მე  
მსუბუქად, უმნიშვნელოდ დავამუხრუ-  
ჭებ, ვიდრე არ შევიგრძნობთ, რომ  
მოგვიახლოვდა.

მწვანე თოკსა და დიდ თევზს ვუთ-  
ვალთვალებდი, როცა კარლოსმა გადაჭ-  
რა. მერე ისეთი ყვირილი მომესმა, რო-  
გორიც არასდროს გამიგონია, ისეთი,  
ყოველგვარ იმედდაკარგულ, ჭუიდან  
შეშლილ ადამიანს რომ აღმოხდება.  
მერე დავინახე, მისტერ ჯოსის ხელი-  
დან როგორ დაუცურდა მწვანე თოკი  
და მის დაბლა, სულ უფრო და უფრო  
დაბლა დაშვებას თვალს არ ვაშორებ-  
დი. საბოლოოდ, მთლიანად გაქრა. კარ-  
ლოსს თავისივე გაკეთებული კვანძის  
მარყუჟი შეცდომით გადაეჭრა. თევზი  
აღარსად ჩანდა.

— კაპ, ვუთხრი მისტერ ჯოსის. —  
ძალიან ცუდად გამოიყურებოდა, მერე  
საათს დახედა.

— უკვე ოთხი საათი და ოცდაორი  
წუთი გავიდა, — თქვა მან.

კარლოსის სანახავად დაბლა ჩავედი.  
თავი დაეხარა და არწყევდა. ვუთხარი,  
რომ ნუ ინერვიულებდა, რადგან ასეთი  
რამ ყველას შეიძლება დამართონდა.  
ნამზეური სახე გაჰყინვოდა და ისე  
ხმადაბლა და უცნაურად საუბრობდა,  
ძლივს მესმოდა.

— მთელი ცხოვრება ვთევზაობ და  
ასეთი უშველებელი თევზი ჯერაც  
არ შემხვედრია. თავიც დავილუპე და  
თქვენც დაგლუპეთ.

— ჯანდაბამდე გზაც ჰქონია, —  
ვუთხარი. — ასეთი სისულელები არ  
უნდა თქვა. უამრავ, უფრო დიდ თე-  
ვზსაც დავიჭერთ. — თუმცა, ასე არ  
მოხდა.

მისტერ ჯოსი და მე კიჩოზე

ვისხედით და ანიტა დინებაზე გვყვავდა მიშვებული. ზღვის ყურეში მშვენიერი დარი იდგა, მხოლოდ ნელი სიო უბერავდა და პატარა მთებს გავცქეროდით, სანაპიროს უკნიდან რომ მოჩანდა. მისტერ ჯოსი მხრებზე, გადატყავებულ ხელებსა და ფეხის გულებზე მერკუროქრომის მაღამოს მისვამდა, მერე ორი მწკლარტე ვისკი ერთმანეთში გააზავა.

— კარლოსი როგორ არის? — ვკითხე მე.

— საშინლად გულგატეხილია. იქ ზის, ჩაკუზული.

— ვუთხარი, თავს ნუ იდანაშაულებ-მეთქი.

— მართალი ხარ, მაგრამ არ შეუძლია.

— დიდი თევზების დაჭერა ისევ გინდა? — ვკითხე მე.

— ეს ერთადერთი რამაა, რაც ყოველთვისაც მინდა, — მიპასუხა მისტერ ჯოსიმ.

— რას იტყვი, კარგად ვმართავდი, კაპ?

— ეშმაკსაც წაულია, დიახ.

— არა. სიმართლე მითხარი.

— მგონი, ნავის ქირაობა დღეს მთავრდება. ახლა ვითევზავებ, ისე, არაფრისთვის, თუ გინდა.

— არა.

— მეც ასე მირჩევნია. გახსოვს, თევზი, ვითომც არაფერი, ნეშენალ ჰოტელისკენ რომ გაემართა?

— მის შესახებ ყველაფერი მახსოვს.

— ხომ კარგად წერ, კაპ? დილაადრი-ან წერა რთულია, ხომ?

— როგორც შემიძლია, ისე ვწერ.

— ასე გააგრძელე. ყველას მოეწონება და ყველაფერი კარგად იქნება.

— შეიძლება ხვალ დილისთვის გადავდო.

— რატომ?

— ზურგი მტკივა.

— თავი არ გტკივა, არა? ზურგით ხომ არ წერ.

— ხელებიც ამტკივდა.

— ჯანდაბა! ფანქრის დაჭერა ხომ მაინც შეგიძლია? დილით მიხვდები, რომ წერის ხასიათზე ხარ.

ჩემდა გასაოცრად, ასე მოვიქეცი და კარგადაც წავიმუშავე. რვა საათზე ნავსადგურის გარეთ ვიყავით და ესეც კიდევ ერთი მშვენიერი დღე იყო — ახლაც ნელი სიო უბერავდა და მოროს ციხე-კოშკთან კვლავაც ისეთივე დინება იყო, როგორიც გუშინწინ. იმ დღეს, როცა კრიალა წყალში თევზაობას შევუდებით, მსუბუქი საჭირო ნივთები არ ამოგვილაგებია. ასე ხშირად ვიქცეოდით. ერთი დიდი, სამეფო სკუმბრია, რომელიც ასე, ოთხ ფუნტს იწონიდა, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ამოვათრიე, ნამდვილად დიდი აღჭურვილობიდან, რომელიც მძიმე ანკესისა და ოცდათექვსმეტ, თეთრთოკიანი კოჭასგან შედგებოდა. კარლოსმა გუშინწინ მოხსნილი ოცდაათსაჟენიანი თოკები ერთმანეთს გადააბა და ხუთინჩიანი კოჭა სავსე იყო. ერთადერთი პრობლემა ის იყო, რომ ანკესი ძალიან მოუქნელი გახლდათ. როცა დიდი თევზის დაჭერა გსურს, დაჭიმული ანკესი მეთევზეს ბოლოს უღებს, ხოლო ანკესი, რომელიც კარგად იღუნება, სწორედაც რომ თევზის მოსაკლავადაა გამოსადეგი.

კარლოსი მხოლოდ მაშინ საუბრობდა, როცა საჭირო იყო და მომხდარს ისევ მწარედ განიცდიდა. მე წერვიულობა არ შემეძლო, რადგან ძალიან მტკიოდა, ხოლო მისტერ ჯოსი ის ადამიანი იყო, რომელიც არასოდეს დანაღვლიანდებოდა.

— მთელი დილა მარტო იმ შეჩვენებულ თავს აქნევს, — თქვა მან. — ასე თევზს უკან ვერ დააბრუნებს.

— თავს როგორ გრძნობ, კაპ? — ვკითხე მე.

— კარგად, — თქვა მისტერ ჯოსიმ. — წუხელის ქალაქის გარეუბანში წავედი. დავჯექი, მოედანზე გოგონათა ანსამბლს მოვუსმინე, რამდენიმე ბოთლი

ლუდიც დავლიე, მერე დონავანთან შევიარე. იქ კი ისეთი ამბავი დატრი-ალდა...

— რა ამბავი?

— კარგი არაფერი. ცუდი, კაპ. მიხ-არია, იქ რომ არ იყავი.

— მომიყევი, — ვთქვი მე, თან ანკე-სი ხელში სწორი მიმართულებით და სიმაღლეზეც კარგად მეჭირა. დიდი სკუმბრიის სატყუარა ნავის გავლით დატოვებულ ზვირთის კიდეს გადაახ-ტა. კარლოსმა ანიტა მოატრიალა და კაბანას ციხესიმაგრის გასწვრივ დინე-ბას მიჰყვა. თეთრი ცილინდრის ფორ-მის სატყუარა ზვირთებზე ხტოდა და მიქანაობდა. მისტერ ჯოსი თავის სკამზე მოკალათდა და კიჩოს მხარეს დიდი სკუმბრიის კიდევ ერთ სატყუ-არას ნელ-ნელა უშვებდა.

— დონავანთან ერთ კაცს გადავ-ეყარე, რომელიც ამტკიცებდა, საიდუმ-ლო პოლიციის კაპიტანი ვარო. მითხრა, რომ ჩემი იერი მოეწონა და ადგილზევე ნებისმიერ ადამიანს მოკლავდა, რათა ჩემთვის ესიამოვნებინა. მის დაწყნარე-ბას შევეცადე, მაგრამ მითხრა, რომ მოვწონდი და ამის დასამტკიცებლად ვინძეს მოკვლა სურდა. ის მაჩადოს! ერთ-ერთი განსაკუთრებული პოლ-იციელი იყო. ის ხელკეტიანი პოლ-იციელები...

— მე მათ ვიცნობ.

— ვხვდები, რომ იცნობ, კაპ, თუმცა, მიხარია, იქ რომ არ იყავი.

— ასეთი რა ქნა?

— იმის დასანახად, თუ როგორ მოვ-წონდი, ვინძეს მოკვლა აიჩემა. მე კი ვაგრძელებდი, რომ საჭირო არ იყო, უბრალოდ დავლიოთ და დაივიწყე-მეთქი. ცოტა ხანს დაწყნარდა და მერე ისევ იმავეს იმეორებდა.

— მშვენიერი ყმაწვილი ყოფილა.

— არაფრის მაქნისი, კაპ. თევზის ამ-ბის მოყოლას შევეცადე, იქნებ ეს აზრი თავიდან ამოეგდო, მაგრამ მითხრა: „ეგ შენი თევზი მონაჩმახია. არასოდეს

არაფერი დაგიჭერია, ხომ ასეა?“ მე ვუთხარი: „კარგი, თევზი მონაჩმახია. მოდი, შევთანხმდეთ და ორივე შინ წავიდეთ“. „სად ჯანდაბაში უნდა წა-ვიდე!“ — ამბობდა ის. „შენი გულისთვის ვიღაცის მოკვლას ვაპირებ და თევზი სისულელეა. არანაირი თევზი არ ყო-ფილა. ხომ კარგად გაიგე?“ მერე ღამე მშვიდობისა ვუსურვე და დონავანს ფული გადავუხადე. ამ პოლიციელმა ფული ბარის იატაკზე დაყარა და ზედ ფეხით შედგა. „სად ჯანდაბაში მიდიხ-არ?“ — მითხრა მან. „შენ ჩემი მეგობარი ხარ და აქ უნდა დარჩე!“ ასე რომ, ისევ დავემშვიდობე და დონავანს ვუთხარი: „დონავან, ვწუხვარ, რომ შენი ფული იატაკზე ყრია-მეთქი“. არ ვიცოდი, ეს პოლიციელი რას მოიმოქმედებდა და არც მაინტერესებდა. შინ მივდიოდი. როგორც კი წამოსვლა დავაპირე, იარა-ლი გააძრო და საბრალო გალეგოს, რო-მელიც ბარში ღუდს სვამდა და მთელი ღამე ხმაც არ ამოუღია, დამბაჩის ყუა ჩაარტყა. ვერავინ ვერაფერი უთხრა, ვერც მე. შემრცხვა, კაპ.

— ახლა უკვე ასე დიდხანს ვეღარ გაგრძელდება, — ვთქვი მე.

— ვიცი, რადგან უკვე აღარ შეიძლე-ბა, მაგრამ ყველაზე მეტად რაც არ მომეწონა, ისაა, რომ ამბობდა — შენი ხახე მომეწონაო. ეგეთი რა ჯანდაბის იერი მე მაქვს, კაპ, რომ პოლიციელს მოსწონებოდა?

მისტერ ჯოსის ხახე მეც ძალიან მომწონდა, ყველაზე მეტადაც, თუკი ვინძეს ვიცნობდი. ამის შესაფასებლად დიდი ხანი დამჭირდა, რადგან ეს ის იყო, რომელზეც სწრაფი და ყალბი წარმატების ნიშან-წყალსაც ვერ ხახ-ავდით. ის ზღვაზე, შემოსავლიან ბარებ-ში, სხვა აზარტულ მოთამაშეებთან ერ-თად, კარტის თამაშსა და დიდი რისკის შემცველ საქმიანობაში ჩამოყალიბდა, ცივი და სხარტი გონების წყალობით. სახის არც ერთი ნაკვთი, გარდა თვა-ლებისა, რომლებიც ყველაზე ნათელ და

მზიან დღეს, ხმელთაშუა ზღვაზე კიდევ უფრო კრიალა და უცნაურად ცისფერი იყო, მოსაწონი არ გახლდათ. საოცარი თვალები გააჩნდა და სახე, ახლა რომ დახვრეტილ ტყავს მიუგავდა, არც თუ ისე ლამაზი ჰქონდა.

— კარგი იერი გაქვს, კაპ, — ვუთხარი მე. შეიძლება ერთადერთი კარგი რამ, რაც იმ ნაბიჭვარს გაუკეთებია, ისაა, რომ მან ამის დანახვა შეძლო.

— კარგი, ვაპირებ, ვიდრე ამ საქმი-ანობას არ მოვრჩებით, ფარულ ბუნაგებს მოვერიდო, — თქვა მისტერ ჯოსიმ. იქ, მოედანზე, გოგონათა ანსამბლთან ერთად ჯდომა და იმ მომლერალი გოგოს მოსმენა მშვენიერი და საოცარი იყო. მართლა კარგად ხარ, კაპ?

— ძალიან ცუდად ვარ, — ვთქვი მე.

— შიგნეულობა ხომ არ გტკივა? ყოველთვის ვდარდობდი, როცა კიჩოზე იყავი.

— არა, ვთქვი მე. ზურგი მტკივა.

— ხელ-ფეხის ტკივილი არაფერია და საიალქნე მოწყობილობაც ავკეცე, — თქვა მისტერ ჯოსიმ. აღარ გაგალიზიანებს. მართლა კარგად იმუშავე, კაპ?

— ნამდვილად, — ვთქვი მე. — ჩვევაში მაქვს, დაწყება მიჭირს და მერე უკვე იქიდან თავის დაღწევა, რთულია.

— ვიცი, რომ ჩვეულება ცუდი რამ არის, — თქვა მისტერ ჯოსიმ. — და მუშაობა, სხვა რომელიმე ჩვევაზე მეტად, ადამიანის ბოლოს მომლებია, მაგრამ შენ შემთხვევაში ასე არ არის. როცა

მუშაობ, სხვა აღარაფერი გახსოვს.

ნაპირს გავყურებდი და კირის გამო-საწვავ ღუმელთან ახლოს ვიყავით, სანაპიროსთან ახლოს, სადაც წყალი ძალიან ღრმა იყო და გოლფსტრიმი თითემის ნაპირს ეხეთქებოდა. ღუმლი-დან სუსტი კვამლი ამოდიოდა და მტვერში გახვეული, კლდოვანი სანაპიროს გასწვრივ მოძრავი სატვირთო მანქანა შევნიშნე. რამდენიმე ჩიტი სატყუარას ნაგლეჯის თავზე დაფრინავდა, მერე კარლოსის ყვირილი მომესმა: „მარლი-ნი! მარლი-ნი!“

ორივემ ერთდროულად დავინახეთ — წყალში ღრმად იყო და ძალიან მუქად ჩანდა. როგორც შევნიშნე, თევზმა თავისი წამოშვერილი ცხვირი წყლიდან ამოყო და პირით სატყუარა სკუმბრია ეჭირა. უშნოდ წამოშვერილი ცხვირი ჰქონდა, მრგვალი, სქელი და მოკლე და მის უკან, წყლის ზედპირზე, სხვა დიდი თევზიც გამოჩნდა.

— დააცადეთ, გადასანსლოს! — დაილრიალა კარლოსმა. — უკვე პირში აქვს.

მისტერ ჯოსი კოჭაზე სატყუარიანი თოკის უკან გადახვევას შეუდგა და ჩემი ანკესის დაჭიმვას ველოდებოდი, რაც იმის მიმანიშნებელი იქნებოდა, რომ მარლინმა სატყუარა ნამდვილად გადაყლაპა.

ინგლისურიდან თარგმნა  
მაია ბოლაშვილმა

## ოოსებ ჭუმბურიძე



### სად იმალება ფერწერის ღმერთი? (ნათელა იანქოშვილის ახალი სიცოცხლე)

ალარც კი მახსოვს, ასე რომელი წერილი დავიწყე ან დავიწყე თუ არა.

თუმცა, ასეც რომ იყოს, უკვე გან-სხვავებული შესავალია.



კინოსცენარს რომ ვწერდე, ასე და-ვიწყებდი:

სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი სახელოსნო.

სტუდენტი სადიპლომო ნახატზე მუ-შაობს. შემოვა ხელმძღვანელი, მოლ-ბერტს შეათვალიერებს და ჩაილაპარა-კებს: „სა-ინ-ტე-რე-სო-ა-ა-ა!“ შემდეგ მონაფეს ფუნჯის გამოართმევს და ეტ-ყვის: „შეიძლება, გავაგრძელო?“ პასუხს არ დაელოდება და ხატვას შეუდგება. რამდენიმე მონასმის შემდეგ, მონაფეს მიმართავს: „მიდი, დაამთავრე!“ ოსტა-ტი გადის. შეგირდი ნახატს სწრაფად წაშლის და ხატვას თავიდან დაიწყებს...



ეს ნამდვილად მოხდა.

სტუდენტი ნათელა იანქოშვილი იყო, ხელმძღვანელი – მოსე თოიძე.

სახელგანთხემულ მხატვარს არ სწყე-ნია და სადიპლომო ნამუშევარი უმაღ-ლესი ქულით შეუფასა.

აკადემიაში თვით დავით კაკაბაძე-მაც გამოარჩია და სტიპენდია ერთა-დერთს დაუნიშნა. მანვე პირველმა შე-ნიშნა ნიჭიერი შეგირდის ერთი „უარ-ყოფითი“ თვისება: სიჯიუტე.



მხატვრის სიცოცხლეში, კინოსცე-ნარს ასე დავამთავრებდი:

მოსკოვი. ლიტერატორთა სახლი. ნათელა იანქოშვილის ნახატების პერ-სონალური გამოფენა. უამრავი დამ-თვალიერებელი. გამოჩენილ ქართველ და რუს მწერალთა, ხელოვანთა და ხელოვნებისმოდნეთა აღფრთოვანება. აღტაცების გამომხატველი ჩანაწერები შთაბეჭდილებათა წიგნში:

„არავის მსგავსი მხატვარი“;

„დიდი კოლორისტული გაბედულება“;

„ფერთა მუსიკა“;


„მეტყველი მოქნევა ფუნჯისა“...

სწორედ იქ იტყვის ნოდარ დუმბაძე:

„არ მინდა, ვთქვა, რომ ნათელა იანქოშვილისა დღეს არ ესმით, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ის მომავლის მხატვარია.“

ერთი ცოპილი მხატვარი კი არცთუ მხოლოდ თავისთვის ჩაილაპარაკებს: „იმ სიჯიუტემ ამ გამარჯვებამდე მოიყვანა.“

ესეც აუცილებლად უნდა ვთქვათ: „მდუღარებაი სულისა“ – ასე შეაფასა ნათელა იანქოშვილის პირველი პერსონალური გამოფენა აკადემიკოსმა შალვა ამირანაშვილმა.



ერთი მხატვარი კი არცთუ მხოლოდ თავისთვის ჩაილაპარაკებს: „იმ სიჯიუტემ ამ გამარჯვებამდე მოიყვანა.“



ნოდარ დუმბაძის სიტყვებს, ცხადია, ვერ შეველეოდი, მაგრამ კინოსცენარს დღეს ასე აღარ დავამთავრებდი.

ოლონდ, არა იმის შიშით, რომ „რუსულ ფინალად“ ჩამითვლიდნენ, უბრალოდ, იმის საჩვენებლად, რომ ნათელა იანქოშვილის ხელოვნების აღიარება შორს გასცდა ყოფილ საბჭოთა სივრცეს და მის ნახატებს უდიდესი მოწონება აქვთ სტამბულში, კიოლნში, ბერლინში, ბრიუსელში, ნიუ იორკში...



ნათელა იანქოშვილი და მისი მეუღლე, ცნობილი მწერალი ლადო ავალიანი ერთ-ერთი გამოჩენილი კომპოზიტორის შემოქმედებით საღამოს დაესწრებიან. კონცერტის შემდეგ შინ დაბრუნებული მხატვარი დღიურში ჩაწერს: „თუ ამ საუკუნეში შემფასებელი არ გამოუჩნდება, მაშინ დაიბადება მომავალ საუკუნეში“.

თითქოს, საკუთარ თავზე წერს.

თუმცა დაფასება და აღიარება არც იმ კომპოზიტორს აკლდა და არც ნათელა იანქოშვილს.

საქართველოს სახალხო მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

ყველაზე მაღალი და საპატიო ტიტულები.

ბოლოს და ბოლოს, სხვას ვის ლირსებია „ერთი მხატვრის მუზეუმი“, თანაც საღ?! – რუსთაველის გამზირზე!

მაგრამ მისი ნამდვილი საერთაშორისო

აღიარება მაინც ოცდამეერთე საუკუნეში დაიწყება.

●  
ესეც კარგი კადრი იქნებოდა კინოს-  
ცენარისათვის:

კომუნისტების ეპოქა.

მხატვარი, რომელსაც სახელოსნო  
არა და არ აღირსეს, ცეკას პირველ  
მდივანთან შესახვედრად მისულა. შე-  
ვარდნაძის კაბინეტიდან ვერიკო ანჯა-  
ფარიძე გამოვა. ცხადია, ერთმანეთს  
მოიკითხავენ. „ნათელა, მოსკოვში გა-  
მოფენა გქონდა?“ – ჰკითხავს მსახი-  
ობი. უარყოფით პასუხს რომ მიიღებს,  
ეტყვის: „აუცილებლად უნდა იზრუნო  
ამაზე.“

სხვათა შორის, დღიურში ამ ეპი-  
ზოდს მთლად სიმპათიით არ ჩაინიშ-  
ნავს. არცთუ ძნელად შესამჩნევი ირო-  
ნიით აღნიშნავს, რომ ვერიკო ჭკვიანია  
და იცის, როგორ უნდა მიაღწიოს აღი-  
არებას.

ვერიკოს კი ვერ გავამტყუნებთ: იმ  
დროს ხომ ყველა გზა მოსკოვში მიდი-  
ოდა და იქაური გამოფენის დიდი წარ-  
მატება რომ არა, შესაძლოა, შევარდნა-  
ძესაც არ გამოედო თავი „ერთი მხატ-  
ვრის მუზეუმის“ გასახსნელად, მით  
უფრო, რომ ამ საქმის ჩაშლას მხატ-  
ვრის არაერთი კოლეგა ცდილობდა.

და როგორ ამაყობდა იმით, რომ ერ-  
თსა და იმავე ქალაქში არსებობდა ხე-  
ლოვნების ორი უნიკალური კერა, ორი  
დიდი ქალბატონის(ამას მე ვამბობ) სა-  
ხელთან დაკავშირებული:

ერთი მსახიობის თეატრი – ფიქრის  
გორაზე;

ერთი მხატვრის მუზეუმი – რუსთა-  
ველის გამზირზე.

და თვით მამაზეციერი მინაზე მხო-  
ლოდ ამის სათქმელად რომ ჩამოვიდეს,  
მაინც ვერ დავიჯერებ, რომ თუნდაც  
ღრმად მოხუცებულმა მხატვარმა, საღ  
გონებაზე, მუზეუმისთვის ამ სტატუსის  
გაუქმებას მოაწერა ხელი.

მაგრამ ეს სხვა სტატიის თემაა და,  
რაც მთავარია, სახელმწიფოს, ერის,  
საზოგადოების ღირსების საკითხია.

ჯაყო, ჯერჯერობით და საუბედუ-  
როდ, კვლავაც ცოცხალია!

●  
ნათელა იანქოშვილი ბევრი რამით  
მაგონებდა ვერიკოს, უპირველესად კი  
იმით, რაც ბერძენმა ტრაგიკოსმა მსა-  
ხიობმა ასპასია პაპატანასიუმ დიდი ხე-  
ლოვანის ალლოთი შეიცნო და თავის ს  
ქართველ კოლეგას ასე მიმართა: „შენ  
ხარ ძალა საქართველოს მიწისა!“

ვერიკოს ძალა კოლხური მიწიდან  
მოდიოდა, იანქოშვილისა – კახეთიდან.

ერთხელ ხელი და თვალი მიმოავლო  
დიდ დარბაზში გამოფენილ თავის ნა-  
ხატებს და მითხრა: „ყველა ტილო ჩე-  
მი ხელითა გადაჭიმული. იცით, ეს რა  
ძნელი და დამქანცველია?!“

არ გამკვირვებია.

●  
გურჯაანში დაიბადა.  
სწორედ იმ წელს, როცა ფიროსმანი  
გარდაიცვალა.

ერთადერთი, ვისაც შეადარებენ,  
ყოველთვის ფიროსმანი იქნება.

ფიროსმანი იყო ერთადერთი, ვისაც  
ქართველ მხატვართაგან გულით აღი-  
არებდა.

დაპირებული ნახატი ჩემთვის რომ  
ვერა და ვერ გაიმეტა, ერთი ძალიან  
კარგი მხატვარი ვუხსენე და მთელი  
სერიოზულობით ვუთხარი:

„ – მან სამი ნახატი მაჩუქა, თქვენ  
კი – ერთიც არა“. –

კახური პირდაპირობით მომიგო:

„ – იმან გინდ გაჩუქოს და გინდ –  
არა“. –

ერთხელ კიდევ უფრო ცნობილ და  
აღიარებულ მხატვარზე მეუბნება: „ეგ  
ფერებს საერთოდ ვერ ხედავს. დგას  
და პირდაპირ იხატავს თბილისურ ეზო-  
ებს. მხატვრობა იმის დახატვა კი არ  
არის, რასაც ყველა ხედავს, შთაბეჭ-  
დილების გადმოცემა უნდა შეგეძლოს.  
ხელოვნება განწყობილებაა. მე დღეს

წარმოსახვით ვხატავ იმას, რაც ოც-დათი წლის წინათ მღეთაში მინახავს და განმიცდია. ეგენი კიდევ პირდაპირ იხატავენ. მხატვარს, ნიჭის გარდა, სა-მი აუცილებელი რამ სჭირდება: ფერ-წერის ტექნიკა, უტყუარი ინტუიცია და დიდი ნებისყოფა. ზოგჯერ ცოდნაც ინტუიციით მოგეწოდება. ხელოვანი თავის გზაზე სწორად მიდის ინტუიციის საშუალებით და ზუსტად გრძნობს ეპოქას. უამისოდ ნამდვილი ხელოვნება ვერ შეიქმნება“.

●  
ხშირად ამბობდნენ, მძიმე, ხისტი ხა-სიათი აქვსო და მასთან ურთიერთობას გაურბოდნენ.

მტრობდნენ კიდეც.  
დაუნდობლადაც.  
მარტო ხარო. გვერდით არავინ გიდ-გასო - უსისინებდნენ.  
პასუხი გამზადებული ჰქონდა:  
„მარტო ის არის, ვინც ძლიერია. აბა, ვინ იდგა ფიროსმანის გვერდით?!”  
ეს – შემოქმედებაში, ცხოვრებაში კი სულაც არ იყო მარტო, გვერდით ედ-გა კეთილშობილი ინტელიგენტი ლადო ავალიანი, ვინც თითქმის მთელი ცხოვ-რება, ფაქტობრივად, მის შემოქმედებითს წარმატებებს მიუძღვნა.

თუმცა, ამ სრულიად გამორჩეული წყვილის ერთად ყოფნას მაინც „ორის მარტოობა“ დავარქვი. როცა ბატონი ლადო გარდაიცვალა, გაზეთ „თბილისში“ გამოვაქვეყნე გამოსათხოვარი, რომელიც ასე დავასათაურე: „ერთის წას-ვლა ორის მარტოობიდან.“ იმავე საღა-მოს, „მოამბეში“ უურნალისტმა დოდო იორდანიშვილმა ჩემი ტექსტი თითქმის მთლიანად წაიკითხა.

დრო რომ გავიდა, მითხრა, იქნებ როგორმე შევეგუო ულადოობას, ცოტა მოვხასიათდე და აუცილებლად დაგხა-ტავო.

არ მინდა-მეთქი.

გაოცება ვერ დამალა. ვინ არ ოც-

ნებობდა ამაზე, მათ შორის, ერთი მა-ლალჩინოსნის მეუღლე, ვისგანაც დავა-ლებულიც კი იყო.

არ დახატა.

აბა, ეგ რა დასახატავიაო?!

მე კი უარს ვეუბნებოდი?!

– არ გინდა რომ დაგხატო?

– მე თქვენი ნახატი მინდა და არა ის, რომ დამხატოთ.

– კარგი, მაშინ ახალს დავხატავ და გაჩუქებ.

ველარ დახატა.

მაშინ მივხვდი, რას ნიშნავდა მის-თვის ლადო, რომ ეს მართლაც განუ-ყოფელი ორი იყო.

●  
დიახ, ეს ნამდვილად გამორჩეული წყვილი იყო.

აკაკი განერელია წერდა, გამოჩენილი პიროვნებების წასვლა პეიზაჟსაც ალარიბებსო და მაგალითად ის მოჰყავდა, რომ რუსთაველის გამზირს გე-რონტი ქიქოძის დინჯი სიარული აღარ ამშვენებდა.

ვისაც უნახავს, როგორ გამოდიოდნენ ნათელა და ლადო რუსთაველის პროსპექტზე, განსხვავებულად ჩაც-მულნი, როგორ უხდებოდნენ ქუჩას პრემიერაზე, კონცერტზე თუ გამო-ფენაზე მიმავალნი, აუცილებლად იგ-რძნობდა „პეიზაჟის გაღარიბებას“.

ამირან გომართელმა შენიშნა, მხატ-ვარს ლადო უფრო ჰერცინის გადარიბებას.

ვეთანხმები, თუმცა, ნათელას გა-რეგნობაშიც ასევე იყო რაღაც ძალიან საინტერესო, ხელოვანისთვის სანატ-რელი.

გრიგოლ აბაშიძის ულამაზეს მეუღ-ლეს ხატავს. ერთ-ერთი სეანსის დროს, ქალბატონი ლამარა ეუბნება: „გიცქე-რით და ვფიქრობ, რა კარგი დასახატი ხართ. თვითონ თქვენ უნდა დაიხატოთ თქვენი თავი, როგორც ფრესკა: შავი თმები, მოყვითალო სახე, მწვანე ფო-ნი“.

მხატვარი გაბრაზდება და ეტყვის, რომ არ უყვარს, როცა ხატვის პროცესში ხელს უშლიან.



პორტრეტი ნათელა იანქოშვილის სტიქიაა.

არაერთი უეჭველ შედევრადაა აღი-არებული: მამის პორტრეტი, ნინო ჭავჭავაძე, ზინა კვერენჩილაძე, მარინე თბილელი, ლადო ავალიანი...

ის პიროვნების სულს, ხასიათს, შინაგან სამყაროს ხატავს.

მისი ნაამბობი:

„ძალიან გამიჭირდა მედეა ჯაფარიძის პორტრეტის შექმნა. თითქოს, რა უნდა ლამაზი ქალის დახატვას, არადა, გავწვალდი. ვგრძნობდი, რომ ის მხოლოდ ფერია არ იყო, სილამაზისა და გარეგნული სათნოების მიღმა, ძლიერი ხასიათიც იმაღლოდა. ვთხოვე, კლეოპატრას წითელი კაბა ჩაეცვა და პორტრეტიც შედგა.

ერთმა მომღერალმა სეანსზე, ფიზიკური ნაკლის დასაფარავად, დიდი შავი მოსახამი მოტანა. მხატვარს კი სწორედ იმის ჩვენება უნდოდა, თუ რა „ლამაზი სულის ჭურჭელი“ იყო მომღერლის არცთულამაზი სხეული. პორტრეტიც ზუსტად ამას გვიჩვენებს.



იანქოშვილის პორტრეტები საქ-ვეყნოდ ცნობილია, მაგრამ ზემოთ ნახსენები დიდი საერთაშორისო აღიარება მაინც პეიზაჟებს უკავშირდება.


და მივადექით კიდეც იმას, რაც სიახლეა და განსაკუთრებით უნდა გვახარებდეს.

ეს არის ინფორმაცია, რომელიც ლონდონში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულემ გიორგი ლალიაშვილმა ინტერნეტისივრცეში გაავრცელა:

„ცნობილმა გერმანულმა გამომცემლობამ „Himer“-მა გერმანულ და ინგლისურ ენებზე ცალ-ცალკე გამოსცა წიგნი: „ნათელა იანქოშვილი – მხატვრის ცხოვრება იძულებასა და თავისუფლებას შორის“.

ამავე ინფორმაციით ვიგებთ, რომ წიგნის ავტორია ბერლინის „Galerie Komfeld“-ის სამხატვრო ხელმძღვანელი მამუკა ბლიაძე, ვინც ორი წელი მოანდომა ნათელა იანქოშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მასალების შეგროვებას.

წიგნი ჯერ ხელთ არ მჭერია, მაგრამ ვერ დავმაღავ სიამაყეს იმის გამო, რომ იქ, ცნობილ გერმანულ, ინგლისელ, იტალიელ, ამერიკელ, რუს და ქართველ არტკრიტიკოსთა მოსაზრებების შეგროვებას.



ბებს შორის, ჩემი მოგონებანიც არის შესული.



მე ვიცნობ მამუკა ბლიაძეს.

სწორედ ორი წლის წინათ, თბილის-ში მისივე თხოვნით შევხვდი.

ბატონმა მამუკამ მიამბო, თუ რა დღითიდლე ძლიერდება დასავლეთში ინტერესი ნათელა იანქოშვილის ნახატების მიმართ.


გ ა ო ც ე -  
ბულნი კით-  
ხ უ ლ ო ბ ე ნ :  
„ვინ არის?“  
„ჰოლანდიე-  
ლია?“ შეიტ-  
ყობენ, რომ  
ქართველია.  
მერე ამას  
კითხულო-  
ბენ: „აქამდე  
სად იყო?!“  
„რატომ არ  
ვიცოდით?!“

მაინც რა  
ხ ი ბ ლ ა ვ თ  
ასე ძალიან  
იანქოშვი-  
ლის პეიზა-  
ჟებში?

ბ ა ტ ო -  
ნი მამუკას  
ნაამბობით  
დავასკვენი,  
რომ სწო-

რედ ის ხიბლავთ, რაც თავის დროზე  
მოსკოვშიც შენიშნეს და შთაბეჭდილე-  
ბათა წიგნშიც ჩაწერეს, თუნდაც შავისა  
და მწვანის კონფლიქტის თაობაზე:

„ვაოგნებული ვარ ამ შავი ფერით,  
ფერით გლოვისა და კაეშანისა, რო-  
მელიც აქ, ბრწყინვალე მხატვართან,  
უეცრად ათამაშდა, გაცოცხლდა, სიხა-  
რულის მომნიჭებლად იქცა“.



„ნათელა იანქოშვილის ფერწერა  
გაოცებთ თავისი თვითმყოფადობით,  
იმით, რომ იგი არ ჰგავს არცერთ სხვა  
მხატვარს. ფართო, მოულოდნელი მო-  
ნასმები – ესაა თავისებური ვირტუო-  
ზული იმპროვიზაცია, რომელიც ადამი-  
ანის სულში დიდი ემოციური ძალით  
იჭრება“.



მონასმებზე უნდა შევჩერდეთ.

ეს ნათელა  
იანქოშვილის  
ერთ - ერთი  
მთავარი „კო-  
ზირია.“

რა თქმა  
უნდა, ყველა-  
ზე უკეთ, ეს  
თვითონ იცის.

ამიტომაც  
ამბობს ასეთი  
დაბეჯითებით:

„დ ი დ ი  
მნიშვნელო-  
ბა აქვს, რო-  
გორ დაიჭერ  
ფუნჯს, რო-  
გორ მოუსვამ.  
სწორედ ფუნ-  
ჯის მოსმა-  
ში იგრძნობთ  
და დაინახავთ  
ფერწერის  
ღმერთს.“

უნდა ვაღი-

არო:: ნამდვილად ვგრძნობ და ვხედავ,  
სად იმალება ფერწერის ღმერთი, როცა  
ნათელა იანქოშვილის ნახატებზე მლე-  
თის, იყალთოსა თუ ალავერდის თავზე  
მოარულ ღრუბლებს ვუყურებ.

არადა, თითქოს, ერთი ჩვეულებრი-  
ვი მონასმია, ფერთა უპრალო მოძრა-  
ობა.

მაგრამ რა ძლიერი მონასმია?!

აი, ძალა საქართველოს მიწისა!

●  
ნათელა იანქოშვილის ნახატებზე, ძირითადად, ოთხი ფერია – უკვე ნახსენებ შავსა და მწვანეს ყვითელი და წითელი ემატება.

ყველგან გაოცებით საუბრობენ მის სურათებში აღბეჭდილ ფერთა მუსიკაზე.

მოსკოველ დამთვალიერებელს ამ მუსიკამ სკრიაპინი მოაგონა, მე კი განსაკუთრებით იმან გამახარა, რაც მამუკა ბლიაძისგან გავიგე:

„ნათელა იანქოშვილის ნახატებს დასავლეთში ქართულ პოლიფონიას ადარებენ. ეს აელვებული წითელი და ყვითელი ფერები, თითქოს, ფერწერაში ჩვენებური კრინისა და კრიმანჭულის გადატანაა. მათში გაოცებასა და სიხარულს კიდევ ერთი რამ იწვევს: ორმოცდათი წლის წინათ შექმნილ სურათებს ისეთი ჩაუმქრალი სიცოცხლის ბეჭედი აზით, თითქოს, მხატვარმა ეს - ესაა დაამთავრაო“.

აი, რატომ ვიტყოდი უარს „რუსულ ფინალზე“.

●  
„ჩაუმქრალი სიცოცხლე“ – ამით, მართლაც ბევრს აოცებს ნათელა იანქოშვილის ნახატები.

„მაინც, რა საიდუმლო იცოდა ისეთი, რომ ეს შავი და წითელი არასოდეს ხუნდება?! – საქართველოშიც ხშირად მომისმენია მსგავსი გაოცება.

მეც ვიცი ეს საიდუმლო, – მითხრა ერთმა საკმაოდ კარგმა მხატვარმა.

დავუჯერებდი, მისი ფერებიც ასევე ჩაუმქრალი სიცოცხლით რომ ელავ-დნენ.

რამდენიმე თვის წინათ, ამირან გო-მართელთან ერთად, ჩვენი ყველაზე თვალსაჩინო მხატვრების გამოფენას ვათვალიერებდი.

გულდაწყვეტილნი ვუცქერდით, როგორ გახუნებულიყო არაერთი შედევრი, ფოტოებიდან (ინტერნეტსივრციდან) რომ უფრო ცოცხალნი გვეჩვენებიან. გულდამძიმებულებს უცებ შორიდან რაღაცამ შემოგვანათა. დავაკვირდით და ფიროსმანის მებადურის წითელი ხალათი იყო...

●  
„ფიროსმანის შემდეგ, ყველაზე საერთაშორისო ქართველი მხატვარი“ – ესეც მამუკა ბლიაძის შეფასებაა, რისი განვრცობაც კიდევ უფრო საინტერესოა: როგორც ლე დანტიუმ და ძმებმა ზდანევიჩებმა სამყაროს აღმოუჩინეს ფიროსმანი, ერთი საუკუნის შემდეგ ბერლინის „ჩალერიი კომფელდ“ – ის მფლობელებმა აღფრედ კორნფელდმა და ანნე ლანგმანმა მსოფლიოს ნათელა იანქოშვილის ხელოვნება გააცნეს. ისინი თხუთმეტი წლის წინათ ეწვივნენ საქართველოს, აღფრთოვანდნენ იანქოშვილის შემოქმედებით და 2012 წელს თავიანთ გალერეაში მისი პერსონალური გამოფენა გამართეს.

და დაინყო კიდეც ნათელა იანქოშვილის ახალი სიცოცხლე ოცდამერთე საუკუნეში!

●  
ისევ ფიროსმანთან პარალელი.  
კი, გულით უყვარდა, მაგრამ შედარება მაინც არ სიამოვნებდა.

ერთხელ მითხრა: „აბა რა მაქვს მე ფიროსმანისა, იმის გარდა, რომ ორივენი ქართველები ვართ, თანაც, კახელები?!“

მიხარია, რომ ამას მართლა ვერ ვხვდები.

უფრო მეტად კი ის მიხარია, რომ ფიროსმანიც გვყავს და იანქოშვილიც...